178
960/2

178/2

საბჭოთა საქართველო

37

4

19 თბილისი 60

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

№ 4

ივლისი-აგვისტო

1960 წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისთვის

გ. ღამბაშიძე — თბილისში ამერიკის საკონსულოს დაზვერვითი და კონტრრევოლუციური საქმიანობა 1918 — 1920 წ. წ. . . . 3

ვ. მაისურაძე — კანონი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ 12

პ. ელისეიკინი — კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის სასამართლო წესით დადგენის თავისებურებანი 18

ზ. მამისაშვილი — სახელმწიფო არბიტრაჟი ახალი ამოცანების წინაშე 24

საზოგადოებრიობა ებრძვის დანაშაულს

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 26 მარტის დადგენილება № 2 29

დ. საბაშვილი — საზოგადოებრიობა სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში 33

ა. ნოდია — საზოგადოებრიობის მიერ დამნაშავეთა გამოსწორების ზოგიერთი საკითხის შესახებ 38

ჭ. შარეიძე — საზოგადოებრივ ბრალმდებელთა და დამცველთა სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ 40

შ. ესიტაშვილი — მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ... 43

ა. ბროკიშვილი — არცერთი დარღვევა და დანაშაული რაზმეულთა რეაგირების გარეშე 44

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 26 მარტის დადგენილება № 3 46

ა. ქღენტი — გადაჭრით ვებრძოლოთ დამნაშავეობას ახალგაზრდობაში 51

ო. მგელაძე — ექსპერტის ინიციატივის შესახებ კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩატარებისას 55

ზ. მესენგისერი — როცა რაიონში არ იგრძნობა პროკურორის ხელი 57

ფელეტონი

ზ. ქუთათელი — რ. ბოთერაშვილი იცინის 63

ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის მასალები 65

ქართული იურიდიული ტერმინოლოგიისათვის

მ. ლომიძე — ვერიდოთ ხელოვნური ტერმინების შემოღებას, დავხვეწოთ „ლექსიკონი“. 76

ინფორმაცია 79

სასამართლო პრაქტიკა 91

იუმორის კუთხე 95

8054

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

К 40-ЛЕТИЮ СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ

Г. Гамбашидзе — Разведывательная и контрреволюционная деятельность консульства США в Тбилиси в 1918-1920 г. г. 3
В. Майсурадзе — Закон о судоустройстве Грузинской ССР 12
П. Елисеикин—Особенности судебного установления фактов иждивения 18
З. Мамисашвили—Государственный арбитраж перед новыми задачами 24

ОБЩЕСТВЕННОСТЬ В БОРЬБЕ С ПРЕСТУПНОСТЬЮ

Постановление пленума Верховного Суда СССР от 26 марта 1960 г. № 2. 29
Д. Сабашвили — Общественность в борьбе за укрепление социалистического правопорядка 33
А. Нодия — О некоторых вопросах исправления преступников общественностью 38
Ч. Шареидзе — Об участии общественных обвинителей и общественных защитников на судебном процессе . . 40
Ш. Еситашвили — Существуют только на бумаге . . 43
А. Брокишвили — Ни одно нарушение и преступление вне реагирования дружин 44

ПРАКТИКА РАБОТЫ ОРГАНОВ СУДА И ПРОКУРАТУРЫ

Постановление пленума Верховного Суда СССР от 26 марта 1960 г. № 3 46
А. Жгенти — За решительное искоренение преступности среди молодежи 51
О. Мгеладзе — Об инициативе эксперта в проведении криминалистической экспертизы 55
З. Месенгиссер — Когда в районе не чувствуется рука прокурора 57

ФЕЛЬЕТОН

З. Кутатели — Р. Ботерашвили смеется 63
Материалы Грузинской юридической терминологии 65

К ГРУЗИНСКОЙ ЮРИДИЧЕСКОЙ ТЕРМИНОЛОГИИ

М. Ломидзе — Остерегаться от введения исскуственных терминов, отшлифовать «словарь» 76
Информация 79
Судебная практика 91
Уголок Юмора 95

გ. ღამგაშიძე

თბილისში ამერიკის საკონსულოს დაზვერვითი და კონტრრევოლუციური საქმიანობა 1918—1920 წლებში*

1961 წლის 25 თებერვალს სრულდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 40 წლისთავი. ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით რედაქცია ჟურნალის მეოთხე ნომრიდან იწყებს წერილების სერიის გამოქვეყნებას, რომლებშიც გაშუქებული იქნება ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა თავისი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის.

ქართველ ხალხს შეუპოვარი ბრძოლა მოუხდა არა მარტო შინაური მტრების, მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებმაც საერთაშორისო რეაქციული ძალების მხარდაჭერით შეძლეს დროებით ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება, არამედ უცხოეთის კონტრრევოლუციონერთა წინააღმდეგაც. ამ წერილში ნაჩვენებია ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოს დაზვერვითი საქმიანობა, რასაც იგი ეწეოდა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის ხელისშესაშლელად, იმ მიზნით, რომ ეკონომიურად და პოლიტიკურად დაემონებინათ საქართველო.

ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოს დაარსება თბილისში ქრონოლოგიურად მოთხვევა იმ პერიოდს, როცა ამერიკის იმპერიალიზმმა პირველად სცადა ხელთ ეგდო მსოფლიო ჰეგემონია და თავისი ეკონომიური და სამხედრო გავლენის ქვეშ მოექცია უძლიერეს კაპიტალისტური სახელმწიფოები. აშშ მოკავშირეებით ჩაება პირველ მსოფლიო ომში. თექვმეტის სამი წლის განმავლობაში იგი ინტენსიურად ვაჭრობდა მეომარ ქვეყნებთან, ყოველნაირად უწყობდა ხელს ორი მოწინააღმდეგე იმპერიალისტური ბანაკის დაუძლურებას. თუ ამის დასაწყისისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებს ევროპის ქვეყნების 4,5 მილიარდი დოლარი ემართა, ომის ბოლოს მდგომარეობა დიამეტრალურად შეიცვალა, აშშ მდიდარ კრედიტორად იქცა და ამჯერად უკვე ევროპის ქვეყნებს ემართათ მისი 10 მილიარდი დოლარი.

1917 წლის გაზაფხულზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ომი გამოუცხადა გერმანიას. ამ გზით ამერიკის მესვეურნი ფიქრობდნენ გაჭიანურებული ომი სწრაფად დაემთავრებინათ თავის სასარგებლოდ და, სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან კავშირში, საფუძველშივე ჩაეხშოთ მშრომელთა ფართო რევოლუციური მოძრაობა მსოფლიოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით კი რუსეთში, სადაც რევოლუცია ისეთი ტემპით ვითარდებოდა, რომ იქმნებოდა კაპიტალისტური წყობილების დამხობის რეალური შესაძლებლობა. აი, ამ დროს, დროებითი მთავრობის თანხმობით, ძველი რუსეთის ყველა უმთავრეს სტრატეგიულ პუნქტში, მათ შორის თბილისში, შეიქმნა ამერიკელთა საკონსულოები.

ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოს საქმიანობა თბილისში პრინციპულად არ განსხვავდებოდა სხვა საკონსულოების საქმიანობისაგან. იმპერიალისტური სახელმწიფოების საკონსულოები რუსეთში წარმოადგენდნენ

---

*საკონსულ ვ. სმიტის საქმიანობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოცემული დოკუმენტების მიხედვით.. (Papers Relating to the Foreign Relations of the us: 1918. Russia., v. II, pp 57-8 648. Washington, 1931-1932)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრებს, რომელთა გარშემო იკრიბებოდნენ კონტრრევოლუციური ელემენტები და რომელთა ფინანსური დახმარებითა და ხელმძღვანელობით ხდებოდა რეაქციონერთა ძალების დარაზმვა მზარდ რევოლუციასთან საბრძოლველად. იმპერიალისტური სახელმწიფოები და მათი დიპლომატური წარმომადგენლები ატარებდნენ ანტისაბჭოთა პოლიტიკას, საერთო ძალით გამოდიოდნენ ყველგან, სადაც ჩნდებოდა ე. წ. „ბოლშევიკური საშიშროება", ანუ სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების „საშიშროება".

ამერიკისა და სხვა სახელმწიფოების საკონსულოები ყველა საშუალებით ცდილობდნენ გაეძლიერებინათ უცხო ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიური პოზიციები რუსეთში, გაეღვივებინათ ნაციონალისტური ტენდენციები განაპირა რაიონებში და მოემზადებინათ ნიადაგი ქვეყნის დანაწილებისათვის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის. კერძოდ, ამერიკელ კოლონიზატორთა მთელი საქმიანობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში მიზნად ისახავდა აქ ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკური გავლენისა და ეკონომიური პოზიციების გაძლიერებას, ხოლო მომავალში ამ მდიდარი და მნიშვნელოვანი სტრატეგიული რაიონის ამერიკის კოლონიად გადაქცევას.

საკონსულო თბილისში წარმოადგენდა მოსკოვში მოკალათებული ამერიკის გენერალური საკონსულოს განყოფილებას. თბილისის საკონსულოს მოქმედების ძალზე დიდი არე ჰქონდა, რადგან იგი ითვლებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთადერთ წარმომადგენლობად არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელ სამხრეთ რუსეთში. საკონსულოს საქმიანობას სათავეში ედგა გამოცდილი ჯაშუში, მსხვილი პროვოკაციების მოწყობის ოსტატი ვ. სმიტი. კონსული სმიტი იყო შვილი ამერიკის ძველი რეზიდენტისა ამიერკავკასიაში, იგი აქ დაიბადა, აღიზარდა და პირადად იცნობდა კავკასიელ კონტრრევოლუციონერთა ყველა გამოჩენილ მეთაურს.

სმიტში ზიზღს იწვევდა ქართველი ხალხის მისწრაფება პროგრესისაკენ, მისი რევოლუციური სულისკვეთება, მისი უსაზღვრო თავისუფლებისმოყვარეობა. სმიტის აზრით რევოლუცია ქაოსი იყო, რომლის წინააღმდეგ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ერთად უნდა ებრძოლათ ადგილობრივ „საიმედო" ელემენტებზე დაყრდნობით. საერთო ხელმძღვანელობა საქმისადმი, რომელსაც სმიტი „წესრიგის აღდგენას" უწოდებდა, შეეძლოთ თავს ედოთ მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამერიკის კონსული უაღრესად აგრესული და ფართო დამპყრობლური გეგმების მქონე ამერიკის იმპერიალიზმის ტიპიურ წარმომადგენლად გვევლინება, რომელიც მზად იყო გაეღო ყოველგვარი ხარჯი, ოღონდ მოეხერხებინა რევოლუციის განადგურება, რადგან ამერიკის იმპერიალიზმის ყაჩაღურ მისწრაფებებს წინ პირველ რიგში სწორედ რევოლუციური ძალები ეღობებოდნენ.

ამერიკის კონსული უშუალო მონაწილე იყო პოლიტიკური ბრძოლისა, რომელიც კავკასიაში სწარმოებდა რევოლუციურ და კონტრრევოლუციურ ძალებს შორის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის საკონსულოები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ რევოლუციის გაღრმავებისათვის ამიერკავკასიაში, ჩამოეშორებინათ მშრომელი მასები რუსეთის ინდუსტრიული ცენტრების მოწინავე პროლეტარიატისაგან, რომ ამით დაესუსტებინათ რევოლუციური ძალები საერთოდ და განსაკუთრებით კი განაპირა რაიონებში.

სმიტი კარგად იცნობდა ქართველ მენშევიკთა პოლიტიკურ პროგრამას, იცნობდა მათ ნაციონალისტურ მისწრაფებებს, მოჩვენებითი სოციალისტობას. რუსეთში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში მენშევიკები უნდა გადაქცეულიყვნენ ძალად, რომელზე დაყრდნობითაც იმპერიალისტები ფიქრობდნენ საქართველოში გაბატონებას, მის გამოყენებას რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მიზნით 1917 წლის ივლისში ამერიკის საკონსულომ თბილისში შეიმუშავა ამიერკავკასიის ფრონტის სრული რეორგანიზაციის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა აქ ქართული და სომხური ეროვნული ნაწილების გადმოყვანას. სმიტი ადრევე ზრუნავდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციისათვის მზა რეგულარული სამხედრო ნაწილების მისაწოდებლად.

მაგრამ ამერიკელ იმპერიალისტთა ეს გეგმა ჩაიფუშა, მოვლენები სწრაფად ვითარდებოდნენ. პეტროგრადსა და სხვა ქალაქებში პირობები მომზადებული აღმოჩნდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. ცნობამ ძლევამოსილი რევოლუციის შესახებ სრული დაბნეულობა გამოიწვია ქართველ მენშევიკებში. ნ. ჟორდანია და სხვები ბოლშევიკთა მიერ ძალაუფლების ხელში აღებას საბედისწერო შეცდომად თვლიდნენ და ზოიოსოვდნენ, რომ მათ ნებაყოფლობით დაეთმოთ ხელისუფლება „კანონიერი" დროებითი მთავრობისათვის.

1917 წლის 9 ნოემბერს, რევოლუციის გამარჯვების მეორე დღესვე ვ. სმიტი აცნობებდა საგელმწიფო დეპარტამენტს, რომ ამერიკული ფინანსური დახმარების გარეშე ამიერკავკასი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის კონტრრევოლუციური ხელისუფლება ხუთ დღესაც ვერ გასძლებსო. ოფიციალურად არ არის დადასტურებული გაიღო თუ არა ამერიკის მთავრობამ აღნიშნული თანხა, რომ ქართველ მენშევიკთა ხელისუფლება გადაერჩინა. საერთოდ ცნობილია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი ძალზე ფრთხილად აწარმოებდა ანალოგიურ ოპერაციებს და არა მარტო მოითხოვდა სრულ გარანტიას იმისას, რომ ფული უშედეგოდ არ დაკარგულიყო, არამედ საიდუმლოდ ინახავდა ასეთი „დახმარების" ფაქტებს. ცნობილია რამდენიმე შემთხვევა, როცა ამერიკელი იმპერიალისტები კონტრრევოლუციონერებს გადასცემდნენ მსხვილ თანხებს შუამავალთა მეშვეობით. შესაძლებელია ამერიკის საკონსულო ამჯერადაც ასე მოიქცა. ყოველ შემთხვევაში, არსებულმა ხელისუფლებამ, რომელიც სმიტის აზრით ხუთ დღეში უნდა დამხობილიყო 10 მილიონ ამერიკულ დოლარს თუ არ მიიღებდა, მდგომარეობა კიდევ უფრო განიმტკიცა და 15 ნოემბერს კონტრრევოლუციონერთა საერთო შეკრებაზე ახალი მთავრობა შეჰქმნა — ე. წ. ამიერკავკასიის კომისარიატი.

ამერიკული „დახმარება", რომ მიღებულ იქნა, ეს დასტურდება იმ გარემოებითაც, რომ 1917 წლის ნოემბრიდან მოყოლებული სმიტი მენშევიკთა საქმიანობის სრულ კურსში იყო, აძლევდა მათ დავალებებს, წინასწარ ეცნობოდა გასატარებელ ღონისძიებათა გეგმებს, ისმენდა მოხსენებებს, ესწრებოდა შეკრებებს და სხვ. მაგალითად სმიტმა ადრევე იცოდა ამიერკავკასიის კომისარიატის მომავალი შექმნის შესახებ, იცოდა, რომ ახალი ხელისუფალნი არ დასდებენ თურქეთთან სეპარატულ ან დროებით ზავს, რაც მთავარია, მისთვის ცნობილი იყო, რომ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საწარმოებლად გაუერთიანდებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის თეთრგვარდიელებს. მომდევნო დღეებში, როცა დაიწყო მოლაპარაკება ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შესაქმნელად, სმიტი თხოვდა სახელმწიფო დეპარტამენტს ნებართვას ეცნობედე-ფაქტოდ ეს გაერთიანებანი.

მაგრამ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა საკითხი მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნია, რაც იქიდან ჩანს, რომ სახელმწიფო მდივანმა რ. ლანსინგმა სმიტის დეპეშა ცნობილ პოლკოვნიკ ე. ხაუზს გადაუგზავნა. ხაუზს თუმცა ოფიციალურად არავითარი სახელმწიფოებრივი ან დიპლომატური პოსტი არ ეჭირა, მაგრამ პრეზიდენტის სპეციალურ მრჩეველად ითვლებოდა, ამერიკისა და პრეზიდენტის სახელით მოლაპარაკებებს აწარმოებდა და უმნიშვნელოვანეს საკითხებს სწყვეტდა ლოიდ ჯორჯთან და კლემანსოსთან ერთად. ხაუზის პასუხიდან ლანსინგისადმი ჩანს, რომ იგი მზად იყო მხარი დაეჭირა სმიტის მოთხოვნისათვის ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის ცნობისა და მხარდაჭერის შესახებ, მაგრამ შიშს გამოთქვამდა — ვაი თუ არეულობის ხელშეწყობამ, მაშინ როცა ამერიკას იქ სერიოზული დასაყრდენი არ აქვს, საწინააღმდეგო შედეგები გამოიღოს, ე. ი. რევოლუციამ გაიმარჯვოსო. 1 დეკემბერს ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა თათბირმა სპეციალურად განიხილა სმიტის წინადადება და, თუმცა კონტრრევოლუციონერთა ხელშეწყობის იდეას ყველამ მხარი დაუჭირა, იმჯერად გადაწყდა სამხედრო მისიების გაგზავნით დაკმაყოფილებულიყვნენ.

1917 წლის დეკემბრის მიმოწერა სმიტსა და სახელმწიფო დეპარტამენტს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. თვით შერჩევით გამოქვეყნებული დოკუმენტებიც კი ფარდას ხდიან ამერიკელ იმპერიალისტთა მზაკვრულ როლს და აქტიურ მონაწილეობას იმ გაფორებულ პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელსაც ამიერკავკასიის მშრომელი მასები ეწოდნენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. ამერიკელები, რაღა თქმა უნდა, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, კონტრრევოლუციური ბანაკის ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის როლში გვევლინებიან.

1917 წლის დეკემბრისათვის რევოლუციონერთა ძალები იმდენად გაიზარდნენ, რომ რეაქციული წრეები მთლიანად დემორალიზებულნი აღმოჩნდნენ. ბოლშევიკური ორგანიზაციების მოთხოვნით 10 დეკემბერს თბილისში შეიკრიბა კავკასიის არმიის სამხარეო ყრილობა. ბოლშევიკურ ფრაქციაში 160 დელეგატი იყო. თავმჯდომარედ არჩეული იქნა ბოლშევიკი გ. ყორღანოვი. მის მუშაობას სათავეში ედგა ს. შაუმიანი. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ, განკარგულება გასცა დაეკავებინათ ამიერკავკასიის კომისარიატის ბრძანებით ჩრდილოეთ კავკასიის თეთრგვარდიელთათვის გაგზავნილი სამხედრო საჭურველით დატვირთული ეშელონები. 12 დეკემბერს კავკასიის არმიის რევოლუციურმა სამხარეო საბჭომ აირჩია არმიის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, ამიერკავკასიის რაიონებში შეჰქმნა კიდევ ხუთი ადგილობრივი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი.

როგორც ვხედავთ პოლიტიკური სიტუაცია უკიდურესად იყო დაძაბული. არ ჩანდა ძალა, რომელიც შეძლებდა მოზღვავებული რევოლუციის შეჩერებას. კონტრრევოლუცია უკანასკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელ ძალებს იკრებდა, მთელი მუშაობა მიმდინარეობდა ამერიკელთა აშკარა ხელმძღვანელობით. სმიტი დეპეშას დეპეშაზე ჰგზავნიდა ვაშინგტონსა და პარიზში, მოითხოვდა ფართო კრედიტებს, რომელთაც მდგომარეობა უნდა „გადაერჩინათ". 11 დეკემბერს მან სპეციალურ თათბირზე თავისთან მიიწვია ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები და ე. წ. სამხრეთ-აღმოსავლეთის ფედერაციის „მთავრობის" თავმჯდომარე ხარლამოვი. უკანასკნელმა საიდუმლო შეკრებულებას ჩაუბარა ანგარიში თეთრგვარდიული გაერთიანების შეკოწიწების მიმდინარეობის შესახებ. ხარლამოვის აზრით მის ფედერაციაში შესვლის სურვილი უკვე განეცხადებინა ურალის კაზაკებს, წარმატებით მიმდინარეობდა მოლაპარაკება უკრაინასთან, კალედინისა და ალექსეევის არმიებს თითქოს უკვე შესწევდათ უნარი სამარის, ტამბოვის, სარატოვის დაკავებისა. აცნობებდა რა იმავე დღეს ლანსინგს თათბირის მასალებს, სმიტი თხოვდა მას სასწრაფო ხელშეწყობას ხალხით, ფულით, აღჭურვილობით.

როგორც ჩანს თათბირზევე გადაწყდა დაწყებულიყო საერთო შეტევა ამერიკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების დასარბევად. ოპერაციას უმთავრესად ამერიკელები აფინანსებდნენ. იგი უნდა ჩატარებულიყო სმიტის გეგმის მიხედვით და მისივე ხელმძღვანელობით. ყოველივე ეს ნათლად ჩანს კონსულის მიერ ლანსინგისადმი 12 დეკემბერს გაგზავნილი დეპეშის ტექსტიდან და მასალებიდან.

სმიტი აცნობებდა ვაშინგტონს: „ამერიკავკასიის პრემიერ-მინისტრმა შემატყობინა მე დღეს, რომ თუ მთავრობა დაუყოვნებლივ არ მიიღებს 60 მილიონ მანეთს, მას აიძულებენ გადასცეს ხელისუფლება ბოლშევიკებს. ეს დიდი უბედურება იქნება, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ შემოთავაზებულ კავშირს ფედერაციასთან, რომელზედაც მე მივუთითებდი 11 დეკემბრის დეპეშაში. დაბეჯითებით გთხოვთ, როგორც წინასწარი ღონისძიება, დეპეშით მოცეთ სანქცია ამ თანხის მთ განკარგულებაში გადასაცემად, თანაც ხარჯვა დაექვემდებარება მოკავშირეთა საერთო კონტროლს. თუ სესხი მიეცემა ასეთი პირობით, მე ვფიქრობ, რომ შევძლებ თურქეთის ფრონტიდან მომავალი მთელი ბოლშევიკური ჯარის განიარაღებას. დღეს არსენალი უკვე დაიკავა მთავრობამ, გაწმინდა რა იგი ბოლშევიკებისაგან. მე არ ვეღი დიდ სისხლისღვრას, თუ აღნიშნული ღონისძიებები გატარდება სწრაფად. განუწყვეტელი კავშირი მაქვს რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის ფედერაციასთან".

ამერიკის კონსულის ეს დეპეშა ვაშინგტონს გაიგზავნა კავკასიის არმიის ყრილობის მუშაობის დაძაბულ დღეებში. სურათი მიახლოებით ასე წარმოგვიდგება: 10 დეკემბერს ყრილობა იწყებს მუშაობას და, გამოხატავს რა მშრომელი მასების საერთო განწყობილებასა და სულისკვეთებას, ჩამოყალიბებულს ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის პოლიტიკურ პლატფორმაში, გამოდის ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ინიციატორად და იწყებს კიდეც პრაქტიკულ მოქმედებას. მეორე დღესვე ეწყობა თათბირი სმიტთან, ხდება სიტუაციის შეფასება, მუშავდება კონტრრევოლუციური გამოსვლის გეგმა. 12 დეკემბერს ამიერკავკასიის მთავრობა სთხოვს ამერიკის კონსულს დახმარებას, როგორც ჩანს თვით მოკავშირეთა რჩევით და იწყებს შეტევას. მისი სამხედრო შენაერთები იკავებენ არსენალს, რომელიც მანამ ბოლშევიკური ნაწილების ხელთ იყო.

აქედან მოყოლებული მთელი ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა მძაფრი რეპრესიები ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ, მზადდება არმიის განიარაღების დეტალური გეგმა. სამი დღის შემდეგ, 15 დეკემბერს, სმიტმა მიიღო ლანსინგის პასუხი, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი აცნობებდა კონსულს, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი მაღალ შეფასებას აძლევს მის მოხსენებით ბარათებს, შედგენილს დიდი გულმოდგინებით. ერთი სიტყვით, ამერიკის მთავრობამ აკურთხა ბოლშევიკური სამხედრო ნაწილების განიარაღების სმიტისეული გეგმა და როგორც ჩანს გაიღო ფულიც. საპასუხო დეპეშაში სმიტი აცნობებდა ვაშინგტონს, რომ ინგლისელებმა მიიღეს გეგმა და ანგარიშს აბარებდა მისი განხორციელების მიმდინარეობაზე. ამერიკის საკონსულომ მოძრაობაში მოიყვანა მთელი კავკასიის კონტრრევოლუციური ძალები. დეპეშის ბოლოს სმიტი სწერდა ლანსინგს: „ამ დაწესებულებაში საშუშაოს დიდ ზრდასთან დაკავშირებით აუცილებელია დახმარება, სულ ცოტა, კიდევ ორი თანამშრომლითაო".

სმიტის მოადგილე, ვიცე-კონსული დულიტლი, სასწრაფოდ იქნა მივლინებული ჩრდილოეთ კავკასიაში ხარლამოვთან საიდუმლო შეხვედრისათვის და მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტის გადასაცემად, რომელშიც ზუსტად იყო მითითებული ჩრდილოეთ კავკასიის თეთრგვარდიელთა ვალდებულებანი. ბარათის დასაწყისში სმიტი ატყობინებდა ხარლამოვს, რომ მოკავშირენი სულ მალე გაუწევენ მას მსხვილ ფინანსურ დახმარებას, რადგან ეს ერთადერთი გზაა რუსეთის გადასარჩენადო, ამასთანავე მიუთითებდა, რომ ვიდრე ამიერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასია შეუკავშირდებოდეს სამხრეთ-აღმოსავლეთის ფედერაციას, აუცილებელია ზოგიერთი წინასწარი ღონისძიების განხორციელება, რომლებიც დააჩქარებენ და შესაძლებელს გახდიან აშკარა კავშირის გაფორმებასო.

ერთი სიტყვით, ხარლამოვმა მიიღო მეტად სერიოზული დავალება. ჯერ ერთი, მას არ უნდა დაეშვა ამიერკავკასიაში დახმარების მოსვლა ცენტრის რევოლუციური ძალებისა ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცების სახით, რომელნიც უმთავრესად ქართველი, სომეხი და სხვა ეროვნებისანი უნდა ყოფილიყვნენ და მეორე, თვით უნდა გაეგზავნა თეთრგვარდიული ნაწილები ამიერკავკასიაში ბოლშევიკთა წინააღმდეგ საერთო შეტევაში მონაწილეობის მისაღებად. სმიტი პირდაპირ მიუთითებდა თავის ბარათში, რომ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის ბოლშევიკური ძალები განადგურებული იქნებიან, აქაურ კონტრრევოლუციონერებს მიეცემათ საშუალება აშკარად შეჰკრან კავშირი ჩრდილოეთის თეთრგვარდიულ ფედერაციასთანო.

არ უნდა გავვაკვირვოს იმ გარემოებამ, რომ სმიტი, ადრე ამიერკავკასიის ფრონტის რეორგანიზაციის იდეის წამომყენებელი, რომელიც სულ რამოდენიმე თვის წინად მოითხოვდა საქართველოსა და სამხეთში ეროვნული ნაწილების ჩამოყვანას, ამჯერად სხვა პოზიციებზე დგას. განვლილ ნახევარ წელიწადში ბევრი რამ შეიცვალა, შეიცვალნენ, უწინარეს ყოვლისა, ადამიანები, მუშები და გლეხები, რომელნიც რუსეთში იყვნენ სამხედრო სამსახურში. მათ საკუთარი თვალით იხილეს რევოლუცია, ბევრი უშუალოდ მონაწილეობდა მის წარმატებაში, დიდი უმრავლესობა საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა თვით ამიერკავკასიაში რადიკალური სოციალური ცვლილებების გატარების აუცილებლობაში. დიპლომატური პასპორტებით აღჭურვილი ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი აგენტები მომხრენი არ იქნებოდნენ იმისა, რომ ამიერკავკასიაში შემოეშვათ „წესრიგის“ ასეთი დამრღვევნი.

აუცილებელია ზოგი რამ ითქვას ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების თბილისში მოკალათებულ წარმომადგენელთა ურთიერთდამოკიდებულებაზე, მით უმეტეს, რომ სმიტი თავის ბარათში ხარლამოვისადმი გვევლინება სამივე მოკავშირის სახელით და ამას გარდა, სწორედ დეკემბრის ბოლოს დაიდო ინგლის-საფრანგეთის ცნობილი შეთანხმება, რომლის ძალითაც ამ ორმა იმპერიალისტურმა სახელმწიფომ გავლენის სფეროებად გაიყო ყოფილი რუსეთის იმპერიის უზარმაზარი ნაწილი — უკრაინიდან მოყოლებული კავკასიამდე (უკანასკნელი ინგლისმა მიისაკუთრა). ოქტომბრის რევოლუციისადმი დამოკიდებულების საკითხში მთავარ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის აზრთა არავითარი პრინციპული სხვაობა არ ყოფილა. პირიქით, ისინი თავიდანვე დაირაზმნენ სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ და დაუყოვნებლივ გააჩაღეს ინტერვენცია ჯერ გერმანიისა და თურქეთის ჯარების მეშვეობით, ხოლო როცა საბჭოთა მთავრობამ აიძულა გერმანია დათანხმებოდა ზავის ხელმოწერაზე და დაიდო კიდეც ბრესტის ზავი (1918 წლის აპრილის დასაწყისში), მაშინვე დაიწყეს ერთიანი სამხედრო ინტერვენცია ჩრდილოეთში და შორეულ აღმოსავლეთში.

მაგრამ ინტერვენციაში მონაწილეობის საფასურად თვითეული იმპერიალისტური სახელმწიფო ცდილობდა ხელში ჩაეგდო რაც შეიძლებოდა მეტი. ყოველგვარი შეთანხმება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის იდებოდა რუსი, უკრაინელი, ქართველი, აზერბაიჯანელი და სხვა ხალხების ხარჯზე, მათი ინტერესების საწინააღმდეგოდ და ითვალისწინებდა ამ ხალხთა მონებად გადაქცევას. მაგრამ არ შეიძლება ისე წარმოვიდგინოთ საქმე, თითქოს იმპერიალისტური მთავრობები ამ საკითხში მოქმედებდნენ ერთიანი ფრონტით. მათ შორის ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეხლა-შემოხლას.

ამერიკის კონსულის გადაჭარბებული აქტივობა თბილისში სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა ინგლისის მმართველ წრეებში და ამ გარემოებამ, სხვა მიზეზებთან ერთად, ხელი შეუწყო ინგლის-საფრანგეთის სათანადო ხელშეკრულების წაჩქარებად გაფორმებას 1917 წლის 23 დეკემბერს. კონვენცია თავისთავად გულისხმობდა ანტისაბჭოთა ინტერვენციას და ოფიციალურად ითვალისწინებდა ამერიკის ფინანსურ მონაწილეობას ამ კამპანიაში, რადგან ამერიკის ფინანსური და მატერიალური დახმარების გარეშე წარმოუდგენელი იყო ინტერვენციის ფართო მასშტაბით წარმოება. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ ინფორმაციის მიღების დღესვე, 28 დეკემბერს ლანსინგმა დეპეშა გაუგზავნა სმიტს, რომლითაც კონსულისაგან მოითხოვდა ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლებთან კონტაქტში მუშაობას, ისე კი, რომ მათ მიერ ლონდონსა და პარიზიდან მიღებული ინსტრუქციების კურსში ყოფილიყო.

ამერიკა, როგორც ვხედავთ, დათმობაზე წავიდა, რაც არ არის ძნელი ასახსნელი. მოვლენები თავისი გზით ვითარდებოდნენ, ამიერკავკასიაში გრძელდებოდა უკიდურესი დაძაბულობა. კავკასიის ფრონტიდან მასობრივად იხსნებოდნენ სამხედრო ნაწილები და აშკარად ავლენდნენ თავის რევოლუციონურ განწყობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებას, მზადდებოდა ფართო ოპერაცია მათ განსაიარაღებლად, რაც საერთოდ ამერიკავკასიის ბოლშევიკური ძალების განადგურების ერთი მომენტი იყო. თვით პირობები მოითხოვდნენ ამერიკა-ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენელთა ერთობლივ მოქმედებას. ლანსინგის 28 დეკემბრის დეპეშა სმიტისადმი ითვალისწინებდა მომენტის სირთულეს და მოუწოდებდა კონსულს ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლებთან მეტი კონტაქტისაკენ.

მაშინდელ პირობებში მენშევიკები გვევლინებოდნენ ამერიკა-ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა ნება-სურვილის მორჩილ, მაგრამ არა პასიურ შემსრულებლებად. ნ. ჟორდანიას, ნ. ჩხეიძეს, ი. წერეთელს, ნ. რამიშვილს და სხვებს უკვე ჰქონდათ შეძენილი რევოლუციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლის მდიდარი გამოცდილება, მათ არა ერთხელ საქვეყნოდ გამოამჟღავნეს სიძულვილი მდაბიო ხალხისადმი. ერთერთ ბარათში ნ. ჩხეიძე, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, წერდა პოლკოვნიკ ხაზუს: „საქართველო იქცა ოაზისად ყოფილ რუსეთის იმპერიაში. თავისუფლება დამყარდა ანარქიის გარეშე, მოეწყო დემოკრატიული მმართველობა და არა მმართველობა ბრბოსი“.

იმპერიალისტებს ესმოდათ, რომ ასეთ ხალხზე დაყრდნობა შეიძლებოდა და მენშევიკებიც ამართლებდნენ დამყარებულ იმედებს. თბილისში საალყო მდგომარეობა იყო გამოცხადებული, როგორც ვთქვით მენშევიკთა ნაწილებმა დაიკავეს არსენალი, ბოლშევიკურად განწყობილი სამხედრო შენაერთები ქალაქიდან გაჰყავდათ, წარმოებდა აღვირახსნილი კამპანია ბოლშევიკების სახელის გასატეხად, მასებისაგან მათი იზოლაციისათვის, ძლიერდებოდა რეპრესიები. სათანადო მზადება განხორციელდა მენშევიკთა ერთგულ საბჭოებშიც. მათ სხდომებზე გამოდიოდნენ მენშევიკთა ბელადები, რომლებიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ საბჭოების წევრებისათვის სამხედრო ნაწილების განიარაღების აუცილებლობა.

1918 წლის 6 იანვარს ამიერკავკასიის ყველა საბჭოს ნ. ჟორდანიას ხელმოწერით გაეგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ვინაიდან რუსეთში მიმავალ სამხედრო ნაწილებს თან მიაქვთ იარაღი და თუ დროებით ზავი წარმატებით არ დამთავრდა, ნაციონალური ნაწილები შეიძლება ისე დარჩნენ, რომ საკმაო იარაღი არ ექნეთ ფრონტის დასაცავად. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრმა დაადგინა წინადადება მისცეს ყველა საბჭოს მიიღოს ზომები მიმავალი ნაწილებისათვის იარაღის ჩამოსართმევად და ყოველი შემთხვევის შესახებ აცნობონ სამხარეო ცენტრს“.

რკინიგზის დასაკავებლად ამიერკავკასიის კომისარიატმა ელიზავეტპოლში გაგზავნა სპეციალური ჯავშნოსანი მატარებელი. მენშევიკთა წარმომადგენლები უშუალოდ მონაწილეობდნენ უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა-ყლეტაში, რაც 9 იანვარს დაიწყო. გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“ იტყობინებოდა: „1918 წლის იანვრის პირველ ნახევარში რკინიგზის ხაზზე თბილისიდან ელიზავეტპოლამდე შეიარაღებულ მუსლიმანთა ათასიანმა ბანდებმა ელიზავეტპოლის მუსლიმანთა ნაციონალური კომიტეტის წევრის მეთაურობით და ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ გამოგზავნილი ჯავშნოსანი მატარებლის დახმარებით რამდენჯერმე ძალით განაიარაღეს რუსეთში მიმავალი სამხედრო ნაწილები. ამასთან, მოკლული და დასახიჩრებულია ათასობით რუსი ჯარისკაცი, რომელთა გვამებით მოფენილია რკინიგზის ხაზი. მათ ჩამოართვეს 15 000-მდე თოფი, 70-მდე ტყვიამფრქვევი და ორი ათეული ზარბაზანი“ (ი. სტალინი, თხ. ტ. 4, გვ. 59-60).

ასეთი იყო იმ მზაკვრული პროვოკაციის ფინალი, რომლის უშუალო ავტორი იყო ამერიკის შეერთებული შტატების თბილისელი კონსული ვ. სმიტი, მის ცინიზმს არ ჰქონდა საზღვარი. „მე არ ველი დიდ სისხლის ღვრას“, წერდა ვითომდა გულუბრყვილოდ ლანსინგს სმიტი, როცა აცნობდა თავის გეგმას ბოლშევიკურად განწყობილი სამხედრო ნაწილების განიარაღების შესახებ, ხოლო მენშევიკთა წარმომადგენლებს ავალებდა შეგნებულად გაემწვავებინათ ურთიერთობა სამხედრო ეშელონებთან, აუცილებლად გამოეწვიათ შეტაკება. ოპერაციის განხორციელებით ამერიკელი იმპერიალისტები ანგარიშობდნენ, ჯერ ერთი, დაესუსტებინათ რევოლუცია, წაერთმიათ მისთვის ათეულ-ათასობით კარგად შეიარაღებული და დისციპლინირებული ერთგული ჯარისკაცი, მოეპოვებინათ ძალა, რომელსაც უნარი შესწევდა და მზად იყო გამოსარჩლებოდა მშრომელ მასებს, და მეორე, დაეთრგუნათ ამიერკავკასიის ხალხების რევოლუციური სულისკვეთება და განემტკიცებინათ აქაური კონტრრევოლუციონერთა მდგომარეობა.

შამხორში ათასობით უდანაშაულო ჯარისკაცთა დახვრეტის ცნობამ აღშფოთება გამოიწვია მშრომელთა მასებში. მიტინგებსა და კრებებზე ბოლშევიკები ნიღაბს ხდიდნენ მენშევიკ ბელადებს, რომელთა „სოციალისტობა“ ცარიელ სიტყვებს არ შორდებოდა, მაშინ, როცა საქმით ისინი მემამულეებისა და კაპიტალისტების ერთგულ დამცველებად გამოდიოდნენ. მენშევიკები ყოველგვარ საშუალებას მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართავდნენ რათა დაემალათ საზოგადოებრიობისაგან თავიანთი ვერაგული როლი შამხორის ტრაგედიაში, ცდილობდნენ მიეფუჩჩებინათ სისხლიანი საქმე და ამასთან ერთად აფართოებდნენ რეპრესიებს, აპატიმრებდნენ და ხვრეტდნენ კომუნისტებს, რომლებიც მოუწოდებდნენ მშრომელებს მენშევიკური ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ჯერ კიდევ არ გაციებულიყო შამხორის მსხვერპლთა ნეშტი, რომ თბილისში, ალექსანდროვის ბაღში ახალი მსხვილი პროვოკაცია მოეწყო: მენშევიკთა ბრძანებით, სრულიად უმიზეზოდ, მზეცურად დახვრეტილ იქნა მუშათა მშვიდობიანი მიტინგი. ამას მოჰყვა დადგენილება ბოლშევიკური გაზეთების დახურვისა და ს. შაუმიანის დაპატიმრების შესახებ.

მძვინვარე რეპრესიებმა გამოიწვიეს რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობა. იგი ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა ოქტომბრის რევოლუციის, მთელ რუსეთში მისი ტრიუმფალური მარშის გავლენით. დაიწყო გლეხთა აჯანყებები ლეჩხუმის, სენაკის, ზუგდიდის მაზრებში, გაიშალა რევოლუციური მოძრაობა სამხრეთ-ოსეთსა და აფხაზეთში. ამიტომაც არის რომ სმიტის მომდევნო დეპეშები გაგზავნილი ვაშინგტონსა და პარიზში აღწერენ იმ საგანგაშო მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა საქართველოში, მიუთითებენ მშრომელთა შორის ბოლშევიკური განწყობილების ზრდაზე.

ასეთ დაძაბულ ვითარებაშიც კი იმპერიალისტი მოკავშირეები ჭარბ ინტერესს იჩენდნენ ერთმანეთისადმი, ცდილობდნენ არ გამოჰპაროდათ რაიმე საეჭვო ნაბიჯები, რომ მეზობელს არ დაესწრო და არ ღალატონებოდა ნადავლს. მაგალითად, ინგლისელები დაჟინებით განაგრძობდნენ სმიტის თვალყურის დევნებას, მათში შიშს იწვევდა ამერიკის კონსულის მეტისმეტი აქტივობა. ზოგიერთ შემთხვევაში ინგლისელები მიმართავდნენ უკიდურეს ზომებს და იწყებოდა ამერიკა-ინგლისის მთავრობების მიმოწერა საქართველოს საკითხებზე.

მაგალითად, ინგლისისათვის ცნობილი გახდა, რომ სმიტი ყოველნაირად უწყობდა ხელს თბილისში ჩამოსულ ამერიკელ ფინანსისტებს, რომელნიც დიდ ინტერესს იჩენდნენ საქართველოს პოლიტიკური ბედისადმი. მათ, როგორც მიმოწერიდან ჩანს, თურმე გადაუწყვეტიათ მენშევიკთა ხელისუფლების მხარდაჭერა და საქართველოს „დამოუკიდებლობის დაფინანსება". ცხადია რომ ფინანსისტთა მოქმედება არ შეიძლებოდა ყოფილიყო მათი პირადი ინიციატივის გამოვლინება, აშკარაა რომ მათ უკან იდგა ამერიკის იმპერიალიზმი. სმიტს ალბად ჰქონდა სათანადო ინსტრუქციები და ის კი თითქოსდა ამ უბრალო სიმპათიებს მხარდამჭერად მოგვევლინა.

ინგლისის მთავრობამ სათანადო შეფასება მისცა ამ „უწყინარ" ღონისძიებას. ინგლისის ელჩმა ვაშინგტონში 1918 წლის 16 თებერვალს სპეციალური მემორანდუმით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს, რომლითაც ატყობინებდა, რომ ამჟამად თბილისში მყოფი სამი ამერიკელი მოქალაქე საქართველოს დამოუკიდებლობის დაფინანსებას აპირებსო. ინგლისი მიესალმება ამერიკის ყოველგვარ ინტერესს ამიერკავკასიისადმი — ვკითხულობთ ნოტაში, — მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტმა უნდა დაარიგოს თავისი წარმომადგენელი თბილისში, რომ მან არაფერი წამოიწყოს იქ ინგლისის სრული ინფორმაციისა და თანხმობის გარეშეო.

ნოტის უკმეხი ტონი, მისი შინაარსი არ ტოვებდა ადგილს ორჭოფობისათვის და ამერიკის მთავრობას აგონებდა, რომ არსებობს 1917 წლის 23 დეკემბრის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება, რომლის ძალითაც ამიერკავკასია, კერძოდ საქართველო, ინგლისს ეკუთვნოდა. მართალია ამერიკა უშუალოდ არ იყო შეთანხმების მონაწილე, მაგრამ მისთვის დეტალებში ცნობილი იყო კონვენციის შინაარსი და ამას გარდა შეთანხმება ითვალისწინებდა ამერიკის უშუალო და ხელმძღვანელ მონაწილეობას ანტისაბჭოთა ინტერვენციაში. ასეთ პირობებში ამერიკის შეერთებული შტატების ყოველგვარი მოქმედება, რომლის მიზანი შეიძლებოდა ყოფილიყო ამერიკის იმპერიალიზმის პოზიციების განმტკიცება ამიერკავკასიაში, საფუძველს უთხრიდა ინგლისის ინტერესებს და, ბუნებრივია, ინგლისის მთავრობა ამერიკელთა ასეთ მოქმედებას არ მოიწონებდა.

ინგლისის ნოტა, ამასთან ერთად, აგებინებდა ამერიკის მთავრობას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები ამიერკავკასიაში შესაძლებელია კვლავ გახდეს მსჯელობის საგნადო. სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს ნოტის ის ადგილი, სადაც ინგლისელები მოუწოდებენ ამერიკელებს ეთრობლივი მოქმედებისაკენ. ე. ი. იმოქმედეთ, მაგრამ მოგვწოდეთ სრული ინფორმაცია ყველაფერზე რის წამოწყებასაც აპირებთ და არაფერი გააკეთოთ ჩვენი თანხმობის გარეშეო.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ამჯერადაც უკან დახევა მოუხდა. უფრო მეტიც, მარტის ბოლოს სახელმწიფო მდივანმა ლანსინგმა მკვახე დეპეშა გაუგზავნა სმიტს, როგორც ჩანს იმ დეპეშის საპასუხოდ, რომელშიაც კონსული მთავრობას აცნობდა თავის ახალ გეგმებს ამიერკავკასიაში ამერიკელთა საქმიანობის შემდგომი გაფართოების შესახებ. ლან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინგის დეპეშაში სმიტისადმი პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ მიაჩნია საჭიროდ აქტიური სამხედრო ოპერაციების წარმოება ამიერკავკასიის ფრონტზე. ეს რა თქმა უნდა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ამერიკა უარს ამბობდა ამიერკავკასიისათვის ბრძოლაში მონაწილეობაზე.

1918 წლის მარტ-აპრილში ამერიკის მთავრობას ხელთ ჰქონდათ დაწვრილებითი ინფორმაცია ამიერკავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე, მენშევიკთა და დაშნაკთა სამხედრო ძალებზე, მათ საომარ მზადყოფნაზე, მატერიალურ რესურსებსა და რეზერვებზე. როგორ ჩანს, სმიტის მოხსენებითი ბარათები, კერძოდ მისი დეპეშები გაგზავნილი ვაშინგტონს 10, 11 და 12 მარტს (შემთხვევითი არ არის, რომ ისინი სახელმწიფო დეპარტამენტის პუბლიკაციებში არ შევიდნენ), წარმოადგენდნენ ძირითად წყაროს, რომლითაც ამერიკის მთავრობა იყო აქაური მდგომარეობის საქმის კურსში. ლანსინგის ზემომოყვანილი მითითება, რომ ამერიკა არ აპირებდა ხელი შეეწყო აქტიური საომარი მოქმედებისათვის ამიერკავკასიის ფრონტზე, უნდა გავიგოთ ისე, რომ ამ ეტაპზე ამერიკას არ ჰქონდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელში ჩაგდების იმედი და ამის გამო არც აპირებდა ურთიერთობის გამწვავებას ინგლისთან.

1918 წლის აპრილსა და მაისში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი დიდ ყურადღებას უთმობდა ქართულ-სომხური სამხედრო შენაერთების შექმნის საკითხს. 16 აპრილს ლანსინგმა სპეციალური ბარათით მიმართა საფრანგეთის ელჩს, რომელშიაც მიუთითებდა დაახლოებით 150 ათასიანი ქართულ-სომხური არმიის შექმნის შესაძლებლობაზე. ამერიკის მთავრობა საჭიროდ მიიჩნევდა ამ საკითხის მოკავშირეთა სამხედრო საბჭოს სხდომაზე განხილვას და მოუწოდებდა საერთო ღონე ეხმარათ საქმის წარმატებით დაბოლოებისათვის.

ქართულ-სომხური სამხედრო ნაწილების შექმნის იდეა წარმოადგენდა ანტანტისა ბჭოთა ინტერვენციისა და რუსეთში სამოქალაქო ომის შემდგომი გაფართოების იმპერიალისტური გეგმების ნაწილს.

ასეთ პირობებში, 150 ათასიან ქართულ-სომხურ კონტრრევოლუციურ არმიას დიდი სამსახურის გაწევა შეეძლო იმპერიალისტებისათვის. მაგრამ ეს მაცდუნებელი ღონისძიება მეტად რთულიც იყო, რის გამოც შეერთებული შტატები დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ ინგლისთან მოლაპარაკებისას. 24 აპრილს ამერიკის ელჩი იტყობინებოდა ლონდონიდან, რომ ამერიკელი გენერალი ბლისი შეხვდა ინგლისის მთავრობის წარმომადგენელს. ბლისს განსაკუთრებით აინტერესებდა შეეტყო ინგლისელთა აზრი ამიერკავკასიის კონტრრევოლუციისადმი შესაძლებელ ფინანსურ და სხვა დახმარების მკვეთრად გაძლიერებაზე.

ინგლისის მთავრობას არ შეეძლო კეთილი განწყობილება გამოეჩინა ამერიკელთა იდეისადმი. ამიერკავკასიაში ძლიერი ქართულ-სომხური არმიის შექმნა მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ინგლისის მაშინდელ სტრატეგიულ გეგმებს.

ინგლისის მთავრობა სწორედ იმიტომ აბამდა ასეთ რთულ დიპლომატურ ქსელს, რომ ამიერკავკასია მას დარჩენოდა. ამერიკის გეგმა ქართულ-სომხური სამხედრო შენაერთების შექმნის შესახებ კი საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა ინგლისელთა მისწრაფებებს და ამიერკავკასიას ფაქტიურად მთლიანად უგდებდა ხელში შეერთებულ შტატებს, რადგან მათი გეგმითა და ფულით შექმნილი არმია ცხადია ამერიკელთა მეთაურობის ქვეშ მოექცეოდა და მათი ნება სურვილის ერთგული დამცველი იქნებოდა. ბუნებრივია, რომ ასეთ იდეებს ინგლისელები (და ფრანგებიც) მბარს არ დაუჭერდნენ. ხოლო მათი თანხმობის გარეშე ყოველგვარ ასეთ გეგმას ჩაშლა მოელოდა.

1918 წლის მაისის თვიდან თბილისსა და მოსკოვს შორის დაირღვა სატელეგრაფო კავშირი და სმიტის მოხსენებები ვაშინგტონს აღწევდნენ სხვადასხვა გზებით. მაისსა და ივნისში გერმანიის იმპერიალიზმის აქტივობამ ამიერკავკასიაში უმაღლეს წერტილს მიაღწია. 28 მაისს დაიდო ხელშეკრულება გერმანიასა და საქართველოს შორის, რომლის მიხედვითაც ქვეყანა გერმანიის კოლონიად იქცა. 30 მაისს გერმანელთა დიპლომატური მისია უკვე თბილისში იყო. დღედღეზე იყო მოსალოდნელი მათი სამხედრო ნაწილების ჩამოსვლა და მთელი საქართველოს ოკუპაცია. თავის იმდროინდელ პატაკებში სმიტი ძველებურადვე მეტ ყურადღებას უთმობდა პოლიტიკური სიტუაციის ანალიზსა და საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების „საშიშროებას", ვიდრე გერმანელთა და თურქთა ურდოების შემოსევის საფრთხეს.

ამერიკელთა საკონსულო განაგრძობდა აქტიურ მოქმედებას. მენშევიკთა ხელმძღვანელები სმიტის ხშირი სტუმრები იყვნენ, იღებდნენ მისგან რჩევა-დარიგებებს, აცნობდნენ თავიანთ გეგმებსა და განზრახვებს. 25 მაისს, მაგალითად, სმიტის სტუმარი იყო ნ. რამიშვილი, რომელმაც ამერიკის კონსულს მოახსენა ბათუმის სამშვიდობო მოლაპარაკების მიმდინარეობაზე და მენშევიკთა განზრახვაზე მჭიდროდ დაეკავშირებინათ საქართველოს ბედი გერმანიის იმპერიალიზმთან. რამიშვილმა არც ის დაუმალა კონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულს, რომ მეორე დღეს ამიერკავკასიის ფედერაცია წყვეტდა თავის არსებობას და გამოცხადდებოდა საქართველოს „დამოუკიდებლობა“.

როგორც ჩანს ივნისის დასაწყისისათვის ამერიკის საკონსულომ შესწყვიტა არსებობა და სმიტმა დატოვა თბილისი. ჯერ მოსკოვიდან, ხოლო შემდეგ სხვა ქალაქებიდან სმიტი განაგრძობდა გაცხოველებულ მიმოწერას ვაშინგტონთან. იგი აწვდიდა სახელმწიფო დეპარტამენტს ცნობებს ამიერკავკასიის პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობაზე. როგორც მისი პატაკებიდან ჩანს, იგი განაგრძობდა ცნობების მიღებას ფართო აგენტურული ქსელიდან, რომელიც მან შექმნა მთელ კავკასიაში და განსაკუთრებით საინტერესო მასალებს დაუყოვნებლივ ჰგზავნიდა ვაშინგტონსა და პარიზში.

სახელმწიფო დეპარტამენტმა 1918 წლის ივლისის ბოლოს თავის ერთერთ დოკუმენტში შეაჯამა ამერიკის წარმომადგენელთა საქმიანობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ბარათის დასაწყისში, რომელიც 31 ივლისს გაეგზავნა ვაშინგტონიდან ამერიკის ელჩს ინგლისში, ნათქვამი იყო, რომ გერმანელებმა სერიოზულ გამარჯვებებს მიაღწიეს ჯერ ევროპულ რუსეთში, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიაში. ბარათში საერთო შეფასება ეძლეოდა სმიტის საქმიანობას თბილისში. კონსული გვაცნობებდა ამიერკავკასიაში შექმნილ მძიმე სიტუაციაზე — ვკითხულობთ დოკუმენტში. — მას სურდა არა მარტო დახმარებოდა საქართველოსა და სომხეთს, არამედ ცდილობდა გამოეყენებინა აქ მცხოვრები ქრისტიანული ხალხები მოსალოდნელი საშიშროების წინააღმდეგ საბრძოლველად და ამ მიზნით უწევდა მათ ფინანსურ დახმარებას და საერთო ხელმძღვანელობას. ბარათში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ სიტუაცია ამიერკავკასიაში მთლიანად შეიცვალა. გერმანელებმა დაიპყრეს საქართველო და იმავ დროს უგულვებელჰყოფენ სომხეთს — წერდა ლანსინგი. ელჩს ევალებოდა შეხვედროდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ბალფურს და გაემახვილებინა მისი ყურადღება შექმნილ მდგომარეობაზე.

ბარათის შინაარსი მრავალმხრივ არის საინტერესო. შეიძლება დავუშვათ, რომ ინგლისელებმა ძირითადად შესძლეს თავიანთ განზრახვათა შესრულება ამიერკავკასიაში. მხარე მართლაც იქცა გერმანია-თურქეთის უთანხმოების არედ. გერმანელები, მაგალითად, დიდი სიამოვნებით მოახდენდნენ საქართველოს გარდა სომხეთისა და, მით უმეტეს, აზერბაიჯანის ოკუპაციას, მაგრამ ასეთი ნაბიჯი თურქეთთან აშკარა მტრობას უდრიდა. თურქეთმა მართალია მიიღო სომხეთსა და აზერბაიჯანში გაბატონების შესაძლებლობა. მაგრამ მისი მდგომარეობა ამ ქვეყნებში მყარი არასოდეს არ ყოფილა.

ამას გარდა, ინგლისელებმა საიმედოდ ჩაუკეტეს ამიერკავკასიის კარი ამერიკელებს, ხოლო თავისთვის შეინარჩუნეს მეტად მოხერხებული გზა სამხრეთის მხრიდან, სპარსეთიდან. რამდენიმე თვის შემდეგ ინგლისის მთავრობამ კარგად გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე სწრაფად დაიკავა მთელი ამიერკავკასია, ამასთან ანგარიში არ გაუწია არამც თუ ამერიკას, თვით საფრანგეთსაც კი, 1917 წლის 23 დეკემბრის შეთანხმების მეორე მონაწილეს, რომლის დიპლომატიური წარმომადგენელი არც კი აუშვეს ინგლისის სამხედრო გემზე, რომელზედაც მუდროსის დროებითი ზავი დაიდო და გაფორმდა თურქეთის ომიდან გამოსვლა.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც ვხედავთ, ჰქონდათ მიზეზი, რომ არასასიამოვნო პერსპექტივით უკმაყოფილო ყოფილიყვნენ. მიუხედავად მისი კონსულის „დავწლისა“. მიუხედავად აქაური კონტრრევოლუციისადმი ფინანსური დახმარებისა და მისდამი ხელმძღვანელობისა, იქმნებოდა პირობები, რომლებიც ამზადებდნენ ამიერკავკასიაში ინგლისის ერთპიროვნული ბატონობის შესაძლებლობას. შემთხვევითი არ არის, აგრეთვე, ბარათის ის ადგილი, სადაც აღნიშნულია გერმანელთა მიერ დაშნაკური სომხეთის ინტერესების ერთგვარ იგნორირებაზე.

ასე მთავრდება ამერიკის საკონსულოს კონტრრევოლუციონური და იმპერიალისტური საქმიანობის პირველი ეტაპი საქართველოსა და მთელ კავკასიაში. ამერიკელი კონსული სმიტი კვლავ მოევლინა თბილისს როცა გერმანიის დამარცხების შემდეგ, ქალაქი ინგლისელთა ჯარებმა დაიკავეს. 1919 წლის პირველ ნახევარში საკონსულოს გავლენა იქაურ პოლიტიკურ ცხოვრებაზე არ უნდა იყოს საგრძნობი, რადგან ოკუპაციის პირველ თვეებში ინგლისელები მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონნი გახდნენ. მაგრამ 1919 წლის ივლისის თვიდან მოყოლებული საქართველოში მენშევიკების ბატონობის ბოლომდე ამერიკელთა პოზიციები აქ განუწყვეტლივ ძლიერდებოდა, რაც დაკავშირებული იყო ამერიკელი პოლკოვნიკის ჰასკელის სახელთან, რომელიც პარიზის საზავო კონფერენციამ თუმცა სომხეთის უმაღლეს კომისრად დანიშნა, ცდილობდა თავისი უფლებამოსილება მთელ ამიერკავკასიაზე გაევრცელებინა. ამერიკის საკონსულო თბილისში ივლისიდან ჰასკელს დაუმორჩილეს, ხოლო სმიტი ამერიკელი პოლკოვნიკის ჩამოსვლის შემდეგ როგორც ჩანს აქედან გაიწვიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ

ვ. მაისურაძე
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის წარდგენით 1960 წლის 25 ივნისს ერთხმად მიიღო კანონი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ. ამ კანონის მიღება დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა. მასში საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების წყობისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები.

კანონის პირველ თავში მოცემულია სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სასამართლო წყობილების ისეთი დემოკრატიული პრინციპები, როგორიცაა — სასამართლოების შექმნა არჩევითობის საწყისებზე, ყველა სასამართლოში საქმეთა კოლეგიალური განხილვა, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება, სამართალწარმოება ქართულ ენაზე, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებში ავტონომიური რესპუბლიკისა ან ავტონომიური ოლქის ენაზე, იმ პირთათვის, რომლებმაც ეს ენა არ იციან საქმის მასალების სრული გაცნობა მთარგმნელის საშუალებით, აგრეთვე, სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება, ყველა სასამართლოში საქმეთა ღია განხილვა, ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა, მართლმსაჯულების განხორციელებისას სახალხო მსაჯულთა და მოსამართლეთა თანასწორი უფლება და სხვა.

სასამართლოს წინაშე მდგომი ამოცანების შესახებ კანონში აღნიშნულია, რომ სასამართლო მთელი თავისი საქმიანობით ზრდის მოქალაქეებს სამშობლოსა და კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი მოპყრობის, შრომის დისციპლინის დაცვის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსებისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებათა გამოყენებით სასამართლო არა მარტო სჯის დამნაშავეებს, არამედ აგრეთვე მიზნად ისახავს მათ გამოსწორებას და ხელახლა აღზრდას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უკანასკნელ ხანებში დასახეს ღონისძიებანი დახაშაულობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის შემდგომი გაძლიერებისათვის. ითვალისწინებს რა ამას, კანონის მე-15 მუხლი აწესებს, რომ საზოგადოებრივი ბრალდება და დაცვა სასამართლოებში შეუძლიათ განახორციელონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და რომ საზოგადოებრივ ბრალმდებლებს და საზოგადოებრივ დამცველებს მუშა-მოსამსახურეთა რიცხვიდან სასამართლოში მოვალეობის შესრულებისას უნდა შეენახოთ ხელფასი, ხოლო არა მომუშავე პირებს უნდა

აუნაზღაურდეთ ხარჯები, რაც დაკავშირებული იქნება ამ მოვალეობის შესრულებასთან. ანალოგიური წესი ვრცელდება სახალხო მსაჯულების მიმართაც.

კანონის მეორე თავი მიძღვნილი აქვს სასამართლო სისტემის ყველაზე მრავალრიცხოვან და ძირითად რგოლს—სახალხო სასამართლოებს. ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებამდე, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, საქართველოშიც არსებობდა რაიონის (ქალაქის) უბნის სახალხო სასამართლოები. რაიონებში (ქალაქებში) რამდენიმე სახალხო სასამართლო იყო. ეს ერთგვარად აძნელებდა მართლმსაჯულების განხორციელებისას რაიონის (ქალაქის) მასშტაბითაც კი ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დადგენას, იწვევდა ზედმეტი შტატების არსებობას და სხვ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1956 წლის 3 აგვისტოს ბრძანებულებით — „საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში სახალხო სასამართლოების გაერთიანების შესახებ“ — მოკავშირე რესპუბლიკებს შორის პირველმა გადადგა ნაბიჯი არსებული სასამართლო სისტემის გამარტივებისაკენ, შემოიღო რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სისტემა. შემდგომში ეს განხორციელდა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც და საბოლოოდ განმტკიცებულ იქნა სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლებით.

იმისათვის, რომ მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობა მიიღონ ცხოვრების გამოცდილების მქონე პირებმა და უფრო ფართო საზოგადოებრიობამ, კანონი აწესებს, რომ მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნას სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება და არჩევნების დღისათვის შეუსრულდა 25 წელი, ნაცვლად არსებული 23 წლის ასაკისა. ასევე შეიცვალა ვადა, რომლითაც ირჩეოდნენ მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი. მოსამართლეებისათვის მანამდე არსებული 3 წლის ვადის მაგივრად დაწესდა 5 წელი, ხოლო მსაჯულებისათვის 2 წელი. სახალხო მოსამართლეებს აირჩევენ რაიონის (ქალაქის) მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ხოლო სახალხო სასამართლოს მსაჯულებს კი მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხთა საერთო კრებები მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრებები, სამხედრო ნაწილები ღია კენჭისყრით ორი წლის ვადით.

კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე რაიონებში (ქალაქებში), სადაც არჩეულია რამდენიმე სახალხო მოსამართლე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო, ხოლო ქალაქად, — სადაც არ არის რაიონული დაყოფა — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო, შესაბამისად: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით, არჩეულ მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს[1].

ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო წყობილების კანონისაგან განსხვავებით ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლო წყობილების კანონები იმ

---

[1] 1959-60 წლებში სასამართლო წყობილების შესახებ კანონები მიღებულია ყაზახეთის, უზბეკეთის, სომხეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, თურქმენეთის და უკრაინის რესპუბლიკებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონებში (ქალაქებში), სადაც არჩეულია რამდენიმე მოსამართლე, ირჩევენ არა სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს, არამედ უფროს მოსამართლეს. ჩვენის აზრით სახელწოდება სასამართლოს თავმჯდომარე უფრო სწორია, ვიდრე უფროსი მოსამართლე, ვინაიდან რაიონში (ქალაქში) ყველა სახალხო მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ, იხილავენ ერთნაირი კატეგორიისა და სიმძიმის სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის საქმეებს, ასე რომ ამ თვალსაზრისით მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის.

სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებაზე კანონში ნათქვამია, რომ იგი:

1. თავმჯდომარეობს სასამართლოს სხდომებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას.

2. ანაწილებს საქმეებს სახალხო მოსამართლეებს შორის.

3. ხელმძღვანელობს:

ა) სასამართლოს პრაქტიკის შესწავლას;

ბ) სასამართლოს კანცელარიის მუშაობას;

გ) სასამართლოს აღმასრულებლების მუშაობას.

4. აწყობს და აწესრიგებს:

ა) ამხანაგური სასამართლოებისადმი დახმარებას;

ბ) მთხოვნელთა მიღებას და მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვას;

გ) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ანგარიშგებას ამომრჩევლების წინაშე;

დ) მოსამართლეთა მუშაობას მოსახლეობაში საბჭოთა კანონების განმარტების დარგში;

ე) სახალხო მსაჯულებთან მეცადინეობის ჩატარებას;

ვ) სტატისტიკური ანგარიშების წარმოებას.

იმ რაიონებში (ქალაქებში), სადაც არის ერთი სახალხო მოსამართლე, მისი სამუშაოზე დროებით არყოფნის შემთხვევაში სახალხო მოსამართლის მოვალეობა ეკისრება სხვა უახლოესი რაიონის (ქალაქის) სახალხო მოსამართლეს. რაც შეეხება ისეთ რაიონებს (ქალაქებს), რომლებიც თავისი ბუნებრივი პირობების ან ტერიტორიული სიშორის გამო შორეულ რაიონად ჩაითვლება, სახალხო მოსამართლის მოვალეობის აღსრულება იქ შეიძლება დაეკისროს სახალხო მსაჯულს.

ავტონომიური ოლქის სასამართლოს საქმიანობისადმი მიძღვნილია კანონის ძესამე თავი. კანონის შესაბამისად ოლქის სასამართლო შედგება თავმჯდომარის, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან და მოქმედებს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის, სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიისა და სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობით.

თუ ადრე საკავშირო კანონმდებლობის შესაბამისად ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას განსაზღვრავდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ახალი კანონით ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრთა შემადგენლობით, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის მიერ დადგენილი რაოდენობით.

პრეზიდიუმი განიხილავს პროტესტებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლოების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე, საოლქო სასამართლოს განჩინებებზე, აგრეთვე სახალხო სასამართლოს რევიზიის შედეგებს.

ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლო ისევე, როგორც ავტონომიური ოლქის სასამართლო, ძირითადად ადრინდელ პრინციპებზეა აგებული, მხოლოდ აქაც უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა ოდენობას ადგენს უკვე არა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, არამედ თვით ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. ასე რომ, როგორც ავტონომიური ოლქის, ისე ავტონომიური რესპუბლიკების უფლებები ამ დარგში საგრძნობლად გაფართოვდა.

საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს — საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლო ორგანოს. მას ეკისრება ზედამხედველობა გაუწიოს რესპუბლიკის ყველა სასამართლო ორგანოების საქმიანობას. ახალ კანონში, როგორც მნიშვნელოვანი მომენტი, უნდა აღინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსათვის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მინიჭება.

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის 51-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო შედგება: თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან და მოქმედებს: ა) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის, ბ) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის, გ) სასამართლოს პრეზიდიუმისა და დ) სასამართლოს პლენუმის შემადგენლობით.

როგორც ვხედავთ, უმაღლეს სასამართლოს არსებულ შემადგენლობას დაეჭატა სასამართლოს პლენუმი. უმაღლეს სასამართლოსთან პლენუმის დაარსება დამყარებულია სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლების 25-ე მუხლზე. რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმს, მისი შექმნის მიზანშეწონილობა მინდობილი აქვს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას, ჩვენთან ის ჩათვლილია საჭიროდ და კანონმა გაითვალისწინა იგი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი შედგება: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და ყველა წევრისაგან, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისაგან, რომელნიც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის წევრები არიან თანამდებობის მიხედვით.

პლენუმის სხდომებზე საქართველოს სსრ პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია.

პლენუმის სხდომები მოიწვევა სამ თვეში ერთხელ მაინც. პლენუმის დადგენილება მიიღება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სხდომაზე მონაწილე წევრთა ხმის უბრალო უმრავლესობით.

პლენუმის შემადგენლობაში ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისა და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების წევრებად შეყვანა მაღლა სწევს ამ სასამართლოების თავმჯდომარეების ავტორიტეტს და მიმართულია ავტონომიურ ოლქსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში მართლმსაჯულების განხორციელებისას საბჭოთა კანონიერების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომი სტაბილიზაციისა და სასამართლო პრაქტიკის ერთიანობის განმტკიცებისაკენ.

უმაღლესი სასამართლოს პლენუმს აკისრია შემდგომი მეტად საპასუხისმგებლო და სერიოზული ამოცანები:

ა) აძლევს სასამართლოებს სახელმძღვანელო განმარტებებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს რესპუბლიკური კანონმდებლობის შეფარდების საკითხებზე, სასამართლო პრაქტიკის, სასამართლო სტატისტიკისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების განზოგადოებისა და აგრეთვე საქართველოს სსრ პროკურორის წარდგინებათა საფუძველზე; ბ) შედის წარდგინებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საკანონმდებლო წესით გადასაწყვეტი საკითხებისა და საქართველოს სსრ კანონების განმარტების შესახებ; გ) განიხილავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, მისი მოადგილეების, საქართველოს სსრ პროკურორის და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე; დ) ისმენს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარეების ანგარიშს კოლეგიების მუშაობის შესახებ; ე) ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრთა რიცხვიდან სასამართლო კოლეგიების შემადგენლობებს; ვ) ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებულ დისციპლინურ საქმეთა კოლეგიას; ზ) განიხილავს საჩივრებს დისციპლინურ საქმეთა კოლეგიების გადაწყვეტილებებზე.

კანონის მეექვსე თავი ეხება მოსამართლეთა სისხლის სამართლებრივ და დისციპლინარულ პასუხისმგებლობას, ხოლო მეშვიდე თავი სასამართლოს აღმასრულებლების საქმიანობას, მათი დანიშვნისა და განთავისუფლების წესს. კანონის 66-ე მუხლში ხაზგასმულია, რომ მოთხოვნები სასამართლოს გადაწყვეტილებათა, განაჩენთა, განჩინებათა და დადგენილებათა აღსრულების შესახებ, რომლებსაც სასამართლოს აღმასრულებლები წარადგენენ, სავალდებულოა ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის.

საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ მიიღო აგრეთვე დადგენილება საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე და დაადგინა, რომ ის სახალხო მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები, რომლებიც არჩეული იყვნენ საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის მიღებამდე, მათზე დაკისრებულ მოვალეობის აღსრულებას განაგრძობენ მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, ე. ი. ეს დადგენილება ეხება მხოლოდ კანონის მიღებამდე არჩეულ მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს. ამავე დადგენილებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაევალა დაემტკიცებია საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების ნუსხა, რომლებსაც ძალა უნდა დაეკარგათ საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა/წლის 16 ივლისის სხდომაზე განიხილა ეს საკითხი და დაამტკიცა ძალადაკარგული აქტების ნუსხა.

როგორც ცნობილია, მთელი რიგი საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, სასამართლოს პრეზიდიუმების შექმნა, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესი და სხვა, წესრიგდებოდა საკავშირო კანონმდებლობით, რომელთა გაუქმებაც საკავშირო საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციაში შედის, ამიტომ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 25 ივნისს აღძრა შუამდგომლობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე შესაბამისი საკავშირო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ საქართველოს სსრ-ის ტერიტორიისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა რა აღნიშნული საკითხი, 1960 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით რიგი საკანონმდებლო აქტებისა ჩათვალა ძალადაკარგულად საქართველოს სსრ ტერიტორიისათვის.

ახალი კანონის ცხოვრებაში განუხრელად და ზუსტად გატარება უზრუნველყოფს საბჭოთა კანონიერების განმტკიცებას და მართლმსაჯულების განხორციელებას საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი იმ ამოცანების შესაბამისად, რაც დასახულია ჩვენს წინაშე თანამედროვე ეტაპზე — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

8059

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის სასამართლო წესით დადგენის თავისებურებანი

ჯ. ელისეიკინი

საბჭოთა კანონი კმაყოფაზე ყოფნის ფაქტს მთელ რიგ შემთხვევებში გარკვეულ უფლებრივ შედეგებთან აკავშირებს: მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის მიღების უფლება, სამემკვიდრეო ურთიერთობათა აღმოცენება და სხვა.

ცალკეულ შემთხვევებში საჭირო ხდება კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის სასამართლო წესით დადგენა. კმაყოფაზე ყოფნის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის სასამართლო წესით დადგენა წარმოადგენს სასამართლოს საქმიანობას, რომელიც მიმართულია საბჭოთა მოქალაქეთათვის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების: პირადი საკუთრების მემკვიდრეობის, მოხუცებულობის, ავადმყოფობისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის გამო მატერიალური უზრუნველყოფის მიღების უფლებების განხორციელებისაკენ (სსრკ კონსტიტუციის მე-10 და მე-20 მუხლები). ე. ი. კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის არსებობის ან არ არსებობის სწორად დადგენა არა მარტო ხელს უწყობს მოქალაქეთა მიერ კანონიერი უფლებების განხორციელებას, არამედ იცავს საბჭოთა სახელმწიფოსა და ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესებს ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი პირების მოთხოვნებისაგან, რომლებიც მიზნად ისახავენ კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის სასამართლო წესის ანგარებით გამოყენებას.

კმაყოფაზე ყოფნის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის სასამართლო განხილვა წარმოებს განსაკუთრებული, ე. ი. უდავო წარმოების წესით (რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 191-193 მუხლები და მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების შესაბამისი მუხლები, სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 7 მაისის № 3 დადგენილება). ამ საქმეთა განხილვის ძირითადი თავისებურებანი შემდეგში გამოიხატება:

1. სასამართლო წესით იურიდიული ფაქტების დადგენა წარმოებს მხოლოდ მაშინ, როდესაც დაინტერესებულ პირისათვის შეუძლებელია ამ ფაქტის დამადასტურებელი სათანადო საბუთების მიღება ან შეუძლებელია დაკარგული ან განადგურებული დოკუმენტების აღდგენა. მოსამართლე იურიდიული ფაქტის შესახებ განცხადების მიღებისას ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში განმცხადებელს მოსთხოვოს წერილობითი მტკიცებები, რომლებიც ადასტურებენ მოცემული ფაქტის დამდგენი დოკუმენტების მიღების ან აღდგენის შეუძლებლობას.

მაგრამ ეს წესი ვერ გავრცელდება კმაყოფაზე ყოფნის შესახებ იურიდიული ფაქტის დადგენის საქმეებზე. ამ ფაქტებისათვის კანონი არ ადგენს მათი რეგისტრაციის განსაზღვრულ ფორმას. ამიტომ ამ საქმეებზე სასამართლოს არ შეუძლია მოსთხოვოს განმცხადებელს სათანადო დოკუმენტების მიღების შეუძლებლობის მტკიცებები.

2. განსაზღვრულ პირობებში კმაყოფაზე ყოფნის ფაქტი, კანონის ძალით, არ წარმოშობს რაიმე ცვლილებებს განმცხადებლის ქონებრივ მდგომარეობაში. მაგალითად: გარდაცვალებული პირის ვისიმე კმაყოფაზე ყოფნის ფაქტი ამ უკანასკნელისათვის არ ქმნის რაიმე უფლებრივ შედეგებს; ძმისშვილების, ბიძების ან დეიდების და აგრეთვე ყველა გარეშე პირის გარდაცვალებული მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩენალის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტს არ შეუძლია შეუქმნას დასახელებულ ნათესავებს და პირებს უფლება მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის მიღებისათვის[1], მემკვიდრეობის დამტოვებლის ან მარჩენალის სიცოცხლის დროს მათ კმაყოფაზე ყოფნამ არ შეიძლება წარმოშვას უფლება მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის ან მემკვიდრეობის მიღებაზე.

სასამართლოებმა არ უნდა მიიღონ წარმოებაში კმაყოფაზე ყოფნის ისეთი ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებები, რომელთაც არ შეუძლიათ გამოიწვიონ რაიმე ცვლილება განმცხადებლის ქონებრივ მდგომარეობაში.

დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენა მიმართული კანონის გვერდის ასახვევი მიზნების მისაღწევად. ასეთ შემთხვევაში სასამართლოებმა უარი უნდა განაცხადონ განცხადებების მიღებაზე და თვითეულ შემთხვევაში გულდასმით შეამოწმონ ნამდვილი მიზნები, რომელსაც ესწრაფვის განმცხადებელი ფაქტის დადგენის საშუალებით.

სასამართლოს წარმოებაში არ შეიძლება მიღებული იქნას ისეთი პირის განცხადება, რომელმაც ერთხელ უკვე მიმართა სასამართლოს იმავე ფაქტის დადგენისათვის იმავე მიზნით.

და ბოლოს, სასამართლოებმა უარი უნდა თქვან კმაყოფაზე ყოფნის დადგენის შესახებ განცხადებების მიღებაზე, როდესაც განმცხადებელს არ გააჩნია რაიმე განსაზღვრული უფლებრივი მიზანი.

3. სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი 1957 წლის 7 მაისის № 3 დადგენილებით ავალებს სასამართლოებს გამოარკვიონ, თუ რომელი პირი და ორგანიზაცია შეიძლება იყოს დაინტერესებული ყველა ცალკეულ შემთხვევაში იურიდიული ფაქტის დადგენის შედეგით. იურიდიული ფაქტის დადგენის საქმის სასამართლო განხილვაში დაინტერესებულ პირთა და ორგანიზაციების მონაწილეობა თვითმიზანს კი არ წარმოადგენს, არამედ იგი განიხილება როგორც სოციალისტური სახელმწიფოს, კოოპერატიული ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეთა უფლებების დაცვის გარანტია. ამავე დროს, დაინტერესებულ პირებისა და ორგანიზაციების მონაწილეობა იურიდიული ფაქტების დადგენის საქმეში უშუალოდ უწყობს ხელს სასამართლოს მიერ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, რამდენადაც ამ პირებს და ორგანიზაციებს უფლება აქვთ წარმოუდგინონ სასამართლოს თავიანთი მოსაზრებანი და მტკიცებები სასამართლოს მიერ დასადგენი ფაქტების არსებობისა ან არარსებობის შესახებ. ამიტომ იურიდიული ფაქტების დადგენის საქმეთა განხილვა დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე წარმოადგენს სახელმწიფოსა და მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების სერიოზულ დარღვევას, ხოლო ამგვარ პირობებში გამოტანილი დადგენილება საეჭვოა კანონიერი და დასაბუთებული იყოს და ამდენად უნდა გაუქმდეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის შედეგით ნამდვილად დაინტერესებული პირის ან ორგანიზაციის დადგენას. კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენისაა ისეთი პირის ან ორგანიზაციის წარმომადგენლის გამოძახება და სასამართლო სხდომაში მონაწილეობა, რომელიც არ შეიძლება დაინტერესებული იყოს საქმის შედეგით, ხელს არ შეუწყობს საქმის სწორ გადაწყვეტას. ლენინგრადის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა, გააუქმა რა ქ. ლენინგრადის ყოფანოვის

[1] 1956 წლის 14 ივლისის კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ, მუხ. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს დადგენილება, მიუთითა: „სასამართლომ არ გამოარკვია, თუ რომელი ორგანოა ნამდვილად დაინტერესებული საქმის შედეგით: ქდანოვის რაიონის სოციუზრუნველყოფის განყოფილება, რომელიც მონაწილეობას იღებდა საქმეში როგორც დაინტერესებული ორგანიზაცია, თუ სამხედრო უწყების ორგანოები, ვინაიდან საქმე ეხება სამხედრო პირის — ოფიცრის დაღუპვის გამო პენსიის დანიშვნას[1]“.

4. სსრკ უმაღლესი სასამართლოს 1954 წლის 7 მაისის № 3 დადგენილების მე-9 პუნქტის შესაბამისად სასამართლო წყვეტს განსაკუთრებული წარმოების წესით საქმის განხილვას, თუ დაინტერესებული პირი ან ორგანიზაცია აღძრავს დავას სამოქალაქო უფლების შესახებ, ან თუ თვით სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ მოცემულ საქმეზე ფაქტის დადგენა უშუალოდ დაკავშირებულია სამოქალაქო უფლების დავის გადაწყვეტასთან. ასეთ შემთხვევაში დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს შეუძლიათ წარადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე.

მაგრამ ამ საერთო წესის გამოყენება უფლების განხორციელების მიზნით იურიდიული ფაქტების სასამართლო წესით დადგენის ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამ უფლების საკითხი არ ექვემდებარება სასამართლო გადაწყვეტას, მოქალაქეთათვის შეუძლებელს გახდიდა მათი კანონიერი უფლებების განხორციელებას.

როგორც ცნობილია, პენსიის დანიშვნის საკითხი ადმინისტრაციული წესით წყდება; ხოლო კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენა, როგორც ეს უკვე აღინიშნა, წარმოებს მხოლოდ სასამართლო წესით, ამიტომ საჭიროა მიჩნეულ იქნას, რომ თუ პენსიის დანიშვნის მიზნით კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენისას დავა წამოიჭრება კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის არსებობის ან არარსებობის შესახებ, ეს დავა ყველა პირობებში უნდა გადაწყდეს განსაკუთრებული წარმოების წესით.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც დავა აღმოცენდება კმაყოფაზე ყოფნის ისეთი ფაქტის გამო, რომელიც ქონების დამკვიდრების უფლებას იძლევა, ან დავა აღმოცენდება თვით განმცხადებლის სამემკვიდრეო უფლების შესახებ, კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენაზე განსაკუთრებული წარმოება უნდა შეწყდეს.

5. რის დადგენა შეუძლია და უნდა დაადგინოს სასამართლომ კმაყოფაზე ყოფნის იურიდიული ფაქტის დადგენისას. ფაქტი თუ ამ ფაქტთან დაკავშირებული განმცხადებლის უფლება? რა უნდა ვიგულისხმოთ კმაყოფაზე ყოფნის ცნების ქვეშ? რა საკითხები უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ, სანამ კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის არსებობის ან არარსებობის დასკვნამდე მივიდოდეს, რომელიც ერთ შემთხვევაში უფლებას იძლევა პენსიის მიღებაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში — მემკვიდრეობის მიღებაზე?

სახელმწიფო პენსიების დანიშვნის და გაცემის წესების შესახებ დებულების 148 პუნქტისა და სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 7 მაისის № 3 დადგენილების შესაბამისად, სასამართლო წესით დადგენას ექვემდებარება კმაყოფაზე ყოფნის ფაქტები.

პენსიის დანიშვნის საკითხს სწყვეტენ პენსიების დამნიშვნელი კომისიები, რომლებსაც აყალიბებენ მშრომელთა დეპუტატების სარაიონო (საქალაქო) საბ-

[1] ლენინგრადის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის პრაქტიკიდან 1958 წლის 14 თებერვლის დადგენილება № 44-გ-86.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოების აღმასრულებელი კომიტეტები (1956 წლის 14 ივლისის კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ, მუხლი 5.). მოკავშირე რესპუბლიკების დებულებებით ნოტარიატის შესახებ დადგენილია, რომ სამემკვიდრეო უფლების მოწმობების გაცემას განაგებენ სახელმწიფო სანოტარო კანტორები.

ამრიგად, სასამართლოს შეუძლია და მოვალეა გააკეთოს ერთი რამ — დაადგინოს განმცხადებლის გარდაცვლილი მარჩენალის ან მემკვიდრეობის დამტოვებელი პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის არსებობა ან არარსებობა. სასამართლოს მიერ განმცხადებლის პენსიაზე ან მემკვიდრეობაზე უფლების, ან კუთვნილი პენსიისა, ან მემკვიდრეობის ოდენობის საკითხების გადაწყვეტა ნიშნავს სასამართლოს უკანონო შეჭრას ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენციაში, იწვევს საბჭოთა სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების შებღალვას.

კმაყოფაზე ყოფნის ცნება, ისევე როგორც ყველა სხვა იურიდიული ფაქტის ცნება მატერიალური სამართლის ნორმებში უნდა მოინახოს. კმაყოფაზე ყოფნის ცნება შემდეგნაირადაა განსაზღვრული სახელმწიფო პენსიების დანიშვნის და გაცემის წესების შესახებ დებულების 61 პუნქტში: „გარდაცვალებულის ოჯახის წევრები ითვლებიან მის კმაყოფაზე ნამყოფად, თუ ისინი მის სრულ კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ან იღებდნენ მისგან დახმარებას, რაც მათთვის არსებობის საშუალებათა მუდმივი და ძირითადი წყარო იყო. გარდაცვლილის კმაყოფაზე ნამყოფად არ ითვლება მეუღლე (ცოლი, ქმარი), რომელიც კოლმეურნეობის შრომისუნარიანი წევრი იყო". ოჯახის წევრების ნუსხა მოცემულია ამავე დებულების მე-60 მუხლში და სახელმწიფო პენსიების შესახებ კანონის 28-ე მუხლში. ამრიგად, კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის ცნობისათვის, რომელიც წარმოადგენს საფუძველს მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნისათვის, სასამართლომ უნდა დაადგინოს: 1) რომ განმცხადებელი გარდაცვლილის ოჯახის წევრს წარმოადგენდა; 2) რომ განმცხადებელს სავსებით არჩენდა გარდაცვლილი, ან უწევდა დახმარებას, რომელიც მისთვის არსებობის საშუალების ძირითად და მუდმივ წყაროს წარმოადგენდა; 3) რომ განმცხადებელი — გარდაცვლილის მეუღლე — არ წარმოადგენს კოლმეურნეობის შრომისუნარიან წევრს.

კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის ცნობისათვის, რომელიც საფუძველია სამემკვიდრეო ურთიერთობათა აღმოცენებისათვის, საჭიროა აგრეთვე, რომ მემკვიდრეობის დამტოვებელი პირის მიერ გაწეულ მატერიალურ დახმარებას ქონდეს სისტემატური ხასიათი, კმაყოფაზე მყოფისათვის არსებობის საშუალების ძირითად წყაროს წარმოადგენდეს და ეს დახმარება გაწეული ყოფილიყო არა ნაკლები ერთი წლისა მემკვიდრეობის დამტოვებელი პირის გარდაცვალებამდე. ამ შემთხვევაში კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის ცნობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ნათესაურ დამოკიდებულებას[1].

ამჟამად მოქმედი საპენსიო უზრუნველყოფის კანონმდებლობის თანახმად განმცხადებლისათვის მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის მიღების უფლების აღმოცენება ყოველთვის არ არის დამოკიდებული იმაზე, რომ მის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტს თან სდევს შრომისუუნარობა. მაგალითად, გარდაცვლილი მარ-

[1] В. И. Серебровский, Очерки Советского наследственного права, 1953 стр. 72; Б. С. Антимонов, К. А. Граве, Советское наследственное право, 1953, стр. 128-129.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენალის შვილებს, ძმებს, დებს და შვილიშვილებს, რომლებსაც 18 წელი არ შესრულებიათ და მოსწავლეები არიან, აგრეთვე მის მეუღლეს, რომელიც გარდაცვლილი მარჩენალის 8 წლის ასაკის მიუღწეველი შვილების, ძმების, დების და შვილიშვილების მოვლითაა დაკავებული, მიუხედავად ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობისა, უფლება აქვთ მიიღონ პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო. ამრიგად უკვე ამ მიზეზითაც ზემომოყვანილი მოსაზრება არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულად.

სასამართლოს მიერ კმაყოფაზე ყოფნის ფაქტებთან ერთად შრომისუუნარობის დადგენა იწვევს იმას, რომ სასამართლო ერთდროულად სწყვეტს პენსიის ან მემკვიდრეობის მიღების უფლებასაც, რაც შორდება ამ საქმეებზე სასამართლო კომპეტენციის ფარგლებს.

6. წარმოება კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ, ისევე, როგორც ყოველივე წარმოება იურიდიული ფაქტის დადგენაზე, მთავრდება დადგენილების გამოტანით, რომელიც უნდა შეიცავდეს პასუხს განმცხადებლის თხოვნაზე ფაქტის დადასტურების შესახებ. დადგენილებაში განმცხადებლის თხოვნაზე პასუხის გაუცემლობა ან არასრული პასუხი განიხილება როგორც განმცხადებლის უფლებების დარღვევა და იგი გასაუქმებელია.

დადგენილებები კმაყოფაზე ყოფნის იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ უნდა იქნას გამოტანილი მტკიცებების გულდასმით შემოწმების საფუძველზე. მასში მითითებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ დადგენილი კმაყოფაზე ყოფნის იურიდიული ფაქტის ძირითადი ნიშნები, მტკიცებები, რომელთა საფუძველზე სასამართლო მივიდა დასკვნამდე კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის არსებობის ან არარსებობის შესახებ და აგრეთვე ფაქტის დადგენის მიზანი.

არ შეიძლება დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ სასამართლოს დადგენილებაში დადგენილი ფაქტის მიზნის აღნიშვნა არ ნიშნავს იმას, რომ „დადგენილება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა მიზნებისათვის. თუ, ვთქვათ, სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტი მემკვიდრეობის დამტოვებელი გარდაცვლილი პირის კმაყოფაზე ყოფნის შესახებ სამემკვიდრეო უფლების გაფორმების მიზნით, მაშინ სასამართლოს დადგენილება შეიძლება გამოყენებული იქნას აგრეთვე პენსიის მისაღებადაც“[1].

მართლაც, დადგენილებები სხვა სახის იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ დადგენილებაში აღნიშნულ მიზნისათვის, არამედ სხვა მიზნებისთვისაც, მაგრამ ამ წესის გავრცელება შეიძლება მხოლოდ ისეთი იურიდიული ფაქტების დადგენის დადგენილებებზე, რომელთა ცნება არ იცვლება იმის მიხედვით, თუ რა მიზნითაა დადგენილი ფაქტი (ქორწინების რეგისტრაცია, დაბადების რეგისტრაცია და სხვ.) კმაყოფაზე ყოფნას არა აქვს ამგვარი ერთიანი გაგება. სასამართლომ უნდა გამოარკვიოს სხვადასხვა საკითხები პენსიის მიღების მიზნისათვის და ფაქტის დადგენის დროს. ამიტომ სასამართლოს დადგენილებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს მის მიერ დადგენილი ფაქტის ნიშნები და მისი დადგენის მიზანი.

---

[1] Г. К. Крючков, Судебное установление юридических фактов, 1956, стр. 56-57.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელმწიფო არბიტრაჟი ახალი ამოცანების წინაშე

ზ. მამისაშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან
არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის არბიტრი

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ, რაც განხორციელდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1957 წლის თებერვლის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1957 წლის 10 მაისს მიღებული კანონის საფუძველზე, უდიდესი როლი შეასრულა სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, არსებული მატერიალური რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენებისა და ცალკეულ საწარმოთა და მშენებლობათა მიერ გეგმების წარმატებით შესრულების საქმეში. ამ ცვლილებების შედეგად ხელმძღვანელობა უშუალოდ დაუკავშირდა წარმოებას, იგი უფრო მოქნილი და ოპერატიული გახდა. თავის მხრივ კი საწარმოებს მეტი საშუალება მიეცათ დამოუკიდებელი და ინიციატივიანი მოქმედებისათვის.

მრეწველობის მართვის ფორმის გარდაქმნამ, ზედმეტი საშუალედო რგოლების ლიკვიდაციამ, საწარმოთა ოპერატიული დამოუკიდებლობის გაფართოებამ გამოიწვია სოციალისტურ საწარმოთა შორის ხელშეკრულებითი ურთიერთობის განმტკიცების აუცილებლობა.

სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული მრეწველობასთან, მშენებლობასთან და სოციალისტურ ორგანიზაციათა ყველა სახის სამეურნეო საქმიანობასთან. სახელმწიფო არბიტრაჟის მეშვეობით ხდება ორგანიზაციებს შორის პროდუქციის მიწოდებაზე თუ მშენებლობის წარმოებაზე ხელშეკრულების გაფორმებისას წამოჭრილი საერთო საკითხების განხილვა და სათანადო კანონის შეფარდებით ხელშეკრულების გაფორმება ორივე მხრივ მისაღებ პირობებში, შემდგომში კი ორგანიზაციათა შორის წამოჭრილი ყველა სახის ქონებრივი დავის განხილვა.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის საფუძვლიანმა გარდაქმნამ, რაც პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელდა უკანასკნელ ხანს, სახელმწიფო არბიტრაჟი ახალი, სერიოზული ამოცანების წინაშე დააყენა. მრეწველობის მართვის ფორმის სრულყოფასთან დაკავშირებით წამოიჭრა იმ ნორმატიული აქტების კოდიფიკაციის საკითხი, რომლებიც სოციალისტური საწარმოების ურთიერთობას არეგულირებენ.

1959 წლის 22 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდებისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულებები. ამ დებულებებმა შეცვალეს მანამდე არსებული მრავალრიცხოვანი მიწოდების ძირითადი პირობები და შესამჩნევად გააადვილა ორგანიზაციათა შორის უფლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების საკითხები. როგორც ცნობილია, მანამდე ყველა სახის პროდუქციას თავისი მიწოდების ძირითადი პირობები ჰქონდა, რომლებიც ხშირად დამტკიცებული იყო შესაბამისი სამინისტროების და უწყებების მიერ და გამომდინარეობდა უწყებრივი ინტერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებიდან. ცალკეული რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებისათვის კი ცალკეული და განსხვავებული ძირითადი პირობები არსებობდა. ყოველივე ეს აძნელებდა ორგანიზაციათა ურთიერთობის რეგულირებას და ართულებდა უდიდესი მოცულობის ნორმატიული აქტებით სარგებლობას.

ზემოაღნიშნულმა დებულებებმა გაიუქმეს ყველა მანამდე არსებული მიწოდების ძირითადი პირობები და სოციალისტურ ორგანიზაციათა ურთიერთობის ერთიანი წესი შეიმუშავეს. იმის გამო, რომ ცალკეული სახის პროდუქციას მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებები აქვს, საჭირო შეიქნა დებულებებთან ერთად მიწოდების განსაკუთრებული პირობების შემუშავება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მიხედვით აღნიშნული განსაკუთრებული პირობების შედგენა და დამტკიცება დაევალათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომისიასთან არსებულ პროდუქციის რესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარ სამმართველოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს. ამჟამად აღნიშნული განსაკუთრებული პირობები მტკიცდება და მათი ძალაში შესვლით საგრძნობლად გაადვილდება საარბიტრაჟო დავების განხილვა, როგორ მხარეებისათვის, ისე არბიტრაჟის ორგანოებისათვის.

სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობის მეთოდების განსაზღვრის, არბიტრაჟის განვითარების გზებისა და იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, რომელიც არბიტრაჟის წინაშე დგას თანამედროვე ეტაპზე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 23 ივლისის დადგენილებას „სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობის შესახებ“.

საკავშირო მთავრობის ამ დადგენილების საფუძველზე მიღებული იქნა ჩვენი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

მთავრობის აღნიშნულ დადგენილებაში ლაპარაკია იმ ნაკლოვანებაზე, რაც სახელმწიფო არბიტრაჟს გააჩნია თავის მუშაობაში და დასახულია ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაც არბიტრაჟს მოუხდება სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნისა და არბიტრაჟის კომპეტენციის გაფართოებასთან დაკავშირებით.

დადგენილებით საგრძნობლად გაიზარდა არბიტრაჟის კომპეტენცია. ამჟამად არბიტრაჟის განხილვას ექვემდებარება სახელმწიფო, კოოპერაციულ (გარდა კოლმეურნეობებისა) და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა, საწარმოებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილი ყველა იმ დავის განხილვაც, რომელიც ადრე სასამართლო ორგანოების ქვემდებარეობას შეადგენდა. რესპუბლიკური არბიტრაჟის განხილვას დაექვემდებარა 100.000 მანეთამდე თანხის დავები ორგანიზაციებს შორის, ნაცვლად არსებული 50 ათას მანეთისა, წინასახელშეკრულებო დავები რკინიგზის სამმართველოსთან თუ ვაგონების სადღეღამისო ბრუნვა 100-ზე მეტს არ შეადგენს და წინასახელშეკრულებო დავები 10 მილიონ მანეთამდე თანხაზე, გარდა ამისა რესპუბლიკის არბიტრაჟმა შეიძლება განიხილოს ყველა სხვა სახის დავა, რომელსაც მას გადასცემს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი.

რესპუბლიკის არბიტრაჟის კომპეტენციების გაფართოებამ გასარჩევ საქმეთა რაოდენობის შესამჩნევი გაზრდა გამოიწვია. თუ 1959 წლის 1 აპრილისათვის არბიტრაჟში შემოსულ წინასახელშეკრულებო დავების ოდენობა 62-ს შეადგენდა, 1960 წელს იმავე რიცხვისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოსულად ითვლება 407 საქმე, ქონებრივი დავების ოდენობა კი იმავე პერიოდისათვის 2433-დან 3.200-დე გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე არბიტრაჟს მოუწევს 8000 საქმემდე გარჩევა, ეს კი ორჯერ აღემატება გასულ წელს გარჩეულ საქმეთა რაოდენობას.

დადგენილების მიხედვით არბიტრაჟის უმთავრეს ამოცანას შეადგენს: დავის გადაწყვეტის დროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა უფლებებისა და კანონიერი უფლებების დაცვა და ქონებრივი სანქციების განუხრელად გამოყენება სახელშეკრულებო ვალდებულებათა, განსაკუთრებით კი სხვა ეკონომიურ-ადმინისტრაციულ რაიონებში ან მოკავშირე რესპუბლიკებში ანდა საერთო-საკავშირო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად პროდუქციის მიწოდების ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.

ცნობილია, რომ საბჭოთა წყობილების ერთერთ გადამწყვეტ უპირატესობას, მის უდიდეს ძალას შეადგენს სახალხო მეურნეობის გეგმიანი მართვა. შვიდწლიანი გეგმა ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მძლავრ ამაღლებას ითვალისწინებს, ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომ ყველა საწარმო წარმატებით ასრულებდეს სახელმწიფო დავალებებს და ამასთან, არამარტო აღწევდეს საერთო პროდუქციის გეგმის შესრულებას, არამედ დადგენილი ასორტიმენტით პროდუქციის რიტმულად გამოშვებას.

ცალკეულ საწარმოს მიერ გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვების ჩაშლის ფაქტი უნდა შევაფასოთ არა როგორც მოცემულ საწარმოს ან და მისი ზემდგომი ორგანოს უწყებრივი საქმე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი საქმე, რომ იგი საერთო ჯამში აფერხებს შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესრულებას, რადგან ერთი სახის პროდუქციის მიუწოდებლობამ შეიძლება გამოიწვიოს მეორე სახის პროდუქციის მიუწოდებლობაც და საბოლოო ჯამში გეგმის შეუსრულებლობა მრავალი საწარმოს მიერ. მაგალითად მადნის მიუწოდებლობამ შეიძლება გამოიწვიოს მეტალურგიული ქარხნის მიერ ლითონის გამოშვების გეგმის შეუსრულებლობა, ლითონის ნაკლები ოდენობით მიწოდება თავის მხრივ გამოიწვევს მანქანათმშენებელი ქარხნის გეგმის ჩაშლას ულითონობის გამო და ა. შ.

მაშასადამე მსგავსი დარღვევების აღკვეთა, სახელშეკრულებო დისციპლინის მკაცრად დაცვა, არბიტრაჟის უპირველეს ამოცანას შეადგენს.

დადგენილებაში განსაკუთრებით არის აღნიშნული სხვა ადმინისტრაციულ რაიონებში ან მოკავშირე რესპუბლიკებში ან და საერთო საკავშირო დანიშნულების მიზნებისათვის პროდუქციის მიწოდების ვალდებულების პირველ რიგში შესრულების აუცილებლობის შესახებ. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ზოგიერთი ხელმძღვანელი იჩენს მიდრეკილებას ადგილობრივი მოთხოვნილებების პირველ რიგში დაკმაყოფილებისადმი. ეს კი იწვევს საერთო-საკავშირო გეგმის ჩაშლას. ამიტომ კანონმდებლის მიერ აღნიშნული შემთხვევებისათვის დაწესებულია გადიდებული საჯარიმო სანქცია, რაც ერთნახევარჯერ მეტია ჩვეულებრივ სანქციასთან შედარებით. თუ კი მაგალითად რესპუბლიკის შიგნით საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიუწოდებლობისათვის დაწესებულია სანქცია მიუწოდებელი პროდუქციის ღირებულების 3 პროცენტის ოდენობით, სხვა რესპუბლიკის ორგანიზაციისათვის მიუწოდებლობის შემთხვევაში სანქცია ერთნახევარჯერ მეტს ე. ი. 4,5 პროცენტს შეადგენს.

პარტია და მთავრობა ყოველთვის მიუთითებენ, რომ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა, და უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციის რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა სოციალისტურ საწარმოთა ერთერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს. ამ მითითებამ სათანადო ასახვა ჰპოვა საბჭოთა კანონმდებლობაშიც. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1940 წლის 10 ივლისის ბრძანებულების მიხედვით „უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისა და სამრეწველო საწარმოთა მიერ სავალდებულო სტანდარტების დარღვევისათვის პასუხისგებლობის შესახებ“ დირექტორები, მთავარი ინჟინრები და ტექნიკური კონტროლის უფროსები უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისა და სავალდებულო სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში მიცემულ იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

აღნიშნულის გარდა სამრეწველო საწარმოები და პროდუქციის მიმწოდებელი სამეურნეო ორგანიზაციები ვალდებული არიან მყიდველებს აუნაზღაურონ უხარისხო პროდუქციის მიწოდებით გამოწვეული ზარალი და გადაიხადონ ძირითადი პირობებით დაწესებული საჯარიმო სანქციები. უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვება სახალხო მეურნეობას უდიდეს ზარალს აყენებს. ასეთი პროდუქციის გამოშვება უშუალო შედეგია საწარმოთა მიერ დაწესებული ტექნოლოგიური პროცესის დარღვევისა, პროდუქციის დასამზადებლად წინასწარი განზრახვით უხარისხო ნედლეულის გამოყენებისა, უუნარო ხელმძღვანელობისა და სხვა.

პრაქტიკის გაცნობა გვიჩვენებს, რომ ამ მხრივ არბიტრაჟი ყველა საქმეზე არ ახდენს საწარმოთა მიერ უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის მისთვის მინიჭებული უფლებების გამოყენებას. ხშირად არბიტრაჟი არ აყენებს საკითხს სათანადო ორგანოთა წინაშე. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ზემდგომი ორგანო გადამჭრელ ზომებს არ იღებს შემჩნეული დარღვევის ლიკვიდაციისათვის, საკითხი ყოველთვის არ ხდება პარტიული და ხელმძღვანელი ორგანოების მსჯელობის საგნად. მომავალში არბიტრაჟმა კიდევ მეტი პრინციპულობით უნდა დასვას საკითხი სახალხო მეურნეობის საბჭოების, მთავრობისა და პარტიული ორგანოების წინაშე.

ცნობილია, რომ აბრიტრაჟის საქმიანობა და ამოცანები მარტო კონკრეტულ საქმეებზე გადაწყვეტილებების მიღებით არ შემოიფარგლება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წ. 23 ივლისის დადგენილების მე-9 პუნქტით და არბიტრაჟის დებულებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ შეტყობინებას, რომელსაც სახელმწიფო არბიტრაჟები აგზავნიან დაწესებულებებისა და საწარმოების ზემდგომ ორგანიზაციებში, საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში. ამ შეტყობინებებში არბიტრაჟი ამხელს ყველა იმ მიზეზებს, რამაც ხელი შეუშალა პარტიისა და მთავრობის დავალებების შესრულებას, შესაბამისი ორგანოები კი ვალდებული არიან მიიღონ ზომები მხილებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ სახელმწიფო არბიტრაჟს. ამასთან, თუ დადგენილად დაინახავს თანამდებობის პირთა დანაშაულს მიყენებულ ზარალში, მოითხოვონ დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა.

გარდა ცალკეულ საქმეებზე აღმოჩენილი ნაკლოვანებებისა, არბიტრაჟი ვალდებულია დარღვევების განმეორებისას მოახდინოს ერთგვაროვან საქმეებზე დაშვებული ტიპიური დარღვევის გაანალიზება და დააყენოს საკითხი ზემდგომ ორგანოთა წინაშე შემჩნეული ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის მიზნით.

მიმდინარე წელს სახელმწიფო არბიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჟის მიერ გაგზავნილ იქნა 26 სხვადასხვა სახის შეტყობინება. მათ შორის საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ, სტავროპოლის მხარის სახალხო მეურნეობის საბჭოების, საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კონტროლის კომისიის და სხვა ორგანოთა სახელზე. ამასთან, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ ოთხივე შეტყობინებებზე მაშინვე მიიღო სათანადო ზომები და მიღებული ღონისძიებების შესახებ აცნობა არბიტრაჟს, ასევე მოიქცა სომხეთის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, ცეკავშირი და სხვა ორგანიზაციები. რაც შეეხება აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს, გორის ბამბეულის კომბინატს და სხვ., დღემდე შეტყობინებაზე პასუხები არ გამოუგზავნია.

1960 წლის 7 იანვარს რესპუბლიკის პროკურატურას გაეგზავნა შეტყობინება და მასალები აფხაზკოოპკავშირის გუდაუთის რაიდამზადების კანტორისა და აგარის საკონსერვო ქარხნის მიზეზით სახელმწიფოსათვის პროდუქციის მთლიანად გაფუჭების გამო 107122 მანეთის ზარალის მიყენების შესახებ. მიღებული ზომების შესახებ კი რესპუბლიკის პროკურატურას არბიტრაჟი საქმის კურსში არ ჩაუყენებია.

უყურადღებოდ დატოვეს აგრეთვე არბიტრაჟის 1960 წლის 29 თებერვლის მიმართვა თბილისის 26 კომბინატის ონის პროკურატურამ, არტელ „ინსაწკომბინატის“ მიერ 12351 მან. ღირებულების უხარისხო პროდუქციის გამოშვების შესახებ და გორის რაიპროკურატურამ 27 იანვრის წერილი გორის ბამბეულის კომბინატის მიერ 1825,55 მეტრი უხარისხო მატერიის გამოშვების შესახებ.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ზოგიერთი ზემდგომი ორგანო საჭიროდ არ თვლის აცნობოს არბიტრაჟს მიღებული ზომების შესახებ, ეს კი ხელს უშლის ცალკეულ შეტყობინებათა შესახებ შემდგარ საქმეთა დროულად დამთავრებას და უსპობს საშუალებას სახელმწიფო არბიტრაჟს აწარმოოს კონტროლი ზემდგომ ორგანოებში შეტყობინებათა განხილვის მსვლელობაზე.

რესპუბლიკის არბიტრაჟის ფუნქციების გაზრდა მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს. პირველ რიგში საჭიროა აპარატის უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, ზრუნვა მათი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, აუცილებელია გამოცდილებათა გაზიარების მოწყობა სხვა არბიტრაჟებთან, თანამშრომელთა მივლინება საკავშირო არბიტრაჟში საწარმოო პრაქტიკაზე.

არბიტრაჟის თანამშრომლები მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან მათ წინაშე მდგომ ამოცანებს და უზრუნველყოფენ მთავრობის დადგენილებათა განუხრელად გატარებას.

საზოგადოებრიობა ებრძვის დანაშაულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი ზემოქმედება უდიდეს ძალას წარმოადგენს. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში. რესპუბლიკაში სერიოზული ღონისძიებანი ტარდება დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი საზოგადოებრიობის დარაზმვისათვის. გამონახულია სასამართლო და პროკურატურის ორგანოებისა და მშრომელთა კოლექტივების კავშირურთიერთობის ახალი ფორმები, რომელთა განზოგადება და პრაქტიკაში დანერგვა აუცილებელია.

მეოთხე ნომრიდან რედაქციას სისტემატურად ექნება განყოფილება — საზოგადოებრიობა ებრძვის დანაშაულს, რომელშიც გამოქვეყნდება მასალები იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც ხორციელდება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 26 მარტის დადგენილება № 2

სასამართლო ორგანოების მიერ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებების 1959 წლის 19 ივნისისა—„სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სასჯელის შეფარდების პრაქტიკის შესახებ“ და 1959 წლის 19 დეკემბრისა—„სასამართლო ორგანოების საქმიანობის შესახებ დანაშაულობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლებასთან დაკავშირებით“ შესრულების შესახებ.

მოისმინა რა უკრაინის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ფ. კ. გლუხას, ბელორუსიის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ს. ტ. შარიდკოს, უზბეკეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. უ. ი. იბრაგიმოვის და სომხეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ა. ა. ალექსანიანის მოხსენებები სასამართლო ორგანოების მიერ დანაშულობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლებისა და სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სასჯელის შეფარდების პრაქტიკის საკითხებზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1959 წლის 19 ივნისის და 19 დეკემბრის დადგენილებების შესრულების შესახებ, აგრეთვე, განიხილა რა ამ საკითხებზე სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მასალები და სასამართლო სტატისტიკის მონაცემები 1959 წლისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, უზბეკეთის სსრ და სომხეთის სსრ სასამართლო ორგანოებმა, ისევე, როგორც სხვა რესპუბლიკების სასამართლო ორგანოებმა, მნიშვნელოვნად გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა დანაშაულობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმისა და სისხლის სამართლის სასჯელის სწორად შეფარდების მიზნით.

პარტიული, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა სამართლის დარღვევებთან ბრძოლაში და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში საზოგადოებრიობის ჩაბმის შესახებ სკკპ XXI ყრილობის დირექტივების შესასრულებლად და სასამართლო და საგამომძიებლო-პროკურატურის მუშაობის გარდაქმნამ უზრუნველყვეს დამნაშავეობის და ნასამართლობის შემდგომი შემცირება ჩვენს ქვეყანაში.

სასამართლოები უფრო ხშირად გადასცემენ საზოგადოებრიობას განსახილველად საქმეებს ისეთ დანაშულობათა შესახებ, რომლებიც არ წარმოადგენენ დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, საქმეთა განხილვისას სასამართლოები უფრო გულმოდგინედ უკეთებენ ანალიზს დანაშაულის ჩადენაში თვითეული სამართალში მიცემულის როლს, არკვევენ მისი პასუხისმგებლობის არა მარტო დამამძიმებელ, არამედ, აგრეთვე, შემამსუბუქებელ გარემოებებს, ადგენენ დანაშაულის ჩადენის მიზეზებსა და მოტივებს და იმ მონაცემებს, რომლებიც ახასიათებენ სამართალში მიცემულის წარსულს, უფრო დაფიქრებით საზღვრავენ სასჯელის ზომას.

სასამართლო პრაქტიკაში ერთგვარად დაძლეულია მცდარი შეხედულება, რომლის მიხედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითაც თავისუფლების აღკვეთა მიჩნეული იყო, როგორც სასჯელის მთავარი ღონისძიება. 1959 წელს სასამართლოებმა ფართოდ დაიწყეს სისხლის სამართლის ისეთი სასჯელების გამოყენება, რაც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, 1958 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა იმათი საერთო რიცხვი, რომელთაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლო პრაქტიკაში უფრო ფართოდ გამოიყენება პირობითი მსჯავრი, მათ შორის პირობით მსჯავრდადებულთა გადაცემა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდისათვის საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებზე მათი შუამდგომლობით. 1959 წლის პირველ კვარტალში პირობითი მსჯავრის გამოყენებამ შეადგინა ყველა მსჯავრდადებულთა 7,6 პროცენტი, ხოლო შემდეგში მისი გამოყენება განუწყვეტლივ იზრდებოდა: მეორე კვარტალში მან შეადგინა 8,1 პროცენტამდე, მესამე კვარტალში 14,7 პროცენტი და მეოთხე კვარტალში — 22,5 პროცენტი.

სასამართლო ორგანოებმა გააფართოეს თავიანთი კავშირი საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მშრომელთა კოლექტივებთან. სასამართლოებმა უფრო ფართოდ დაიწყეს პრაქტიკაში დანერგვა საქმის განხილვისა უშუალოდ ბრალდებულთა სამუშაო ადგილზე საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე საქმეთა განხილვა საზოგადოებრივ ბრალმდებელთა და საზოგადოებრივ დამცველთა მონაწილეობით. სახალხო სასამართლოების მხრივ გაძლიერდა დახმარება ამხანაგური სასამართლოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი სახალხო რაზმეულებისადმი. სახალხო მოსამართლეები უფრო ხშირად გამოდიან ამომრჩევლების წინაშე ანგარიშებით სასამართლოების მუშაობის შესახებ, მოხსენებებით სამართლებრივ თემებზე. ბევრმა სასამართლომ გამონახა პირობით მსჯავრდადებულთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის საქმეში მონაწილეობის გამართლებული ფორმები (მოსამართლეთა პერიოდული საუბრები პირობით მსჯავრდადებულებთან, სახალხო მსაჯულთა ჩაბმა პირობით მსჯავრდადებულთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდისათვის წარმოებულ საქმიანობაში).

ამასთან ერთად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ პლენუმის ზემოაღნიშნულ დადგენილებათა შესრულების საქმეში სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. საზოგადოებრიობასთან კავშირის ერთგვარი გაძლიერების მიუხედავად ბევრი სასამართლო ჯერ კიდევ არასაკმაოდ იყენებს საზოგადოებრივი ზემოქმედების ძალას სამართლის დარღვევის თავიდან აცილებასა და დამნაშავეობასთან ბრძოლაში.

სასამართლოები ჯერ კიდევ განაგრძობენ სისხლის სამართლის წესით განსახილველად საქმეთა მიღებას და სისხლის სამართლის სასჯელის ზომების შეფარდებას იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს ისეთი ქმედობა, რაც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, ნაცვლად იმისა, რომ ასეთი საქმეები განსახილველად გადასცენ საზოგადოებრიობას. სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევების შესახებ საქმეთა დიდი რიცხვი, რაც კერძო ბრალდების წესით არის აღძრული (შეურაცხყოფა, ცემა და სხვა), სახალხო სასამართლოების მიერ იხილება სისხლის სამართლის წესით, თუმცა ამხანაგური სასამართლოების საქმიანობის გაფართოება საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში და საცხოვრებელ გაერთიანებებში ქმნის ფართო შესაძლებლობას იმისათვის, რომ ასეთი სახის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებდეს უმთავრესად საზოგადოებრივი აღმზრდელობითი ზემოქმედების გზით და არა სისხლის სამართლის სასჯელებით.

სოციალისტური კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევებთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის სულ უფრო მზარდი როლის შეუფასებლობას აქვს ადგილი აგრეთვე სახალხო სასამართლოების მიერ წვრილმანი ხულიგნობისა და წვრილმანი სპეკულაციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებათა გამოყენების პრაქტიკაში. სახალხო სასამართლოები არ ითვალისწინებენ, რომ ბევრ შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილია, რომ პირები, რომელმაც დაუშვეს ასეთი ხასიათის სამართლის დარღვევა გადაეცენ საზოგადოებრიობის სამსჯავროს. კერძოდ, სრულიად არასაკმაოდ გამოიყენება ასეთი ხასიათის მასალების გადაცემა ამხანაგური სასამართლოების განსახილველად.

პლენუმი აღნიშნავს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სასამართლოები განსახილველად იღებენ საქმეებს, რომლებზედაც სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების მე-14 მუხლის დარღვევით გამოძიება ჩატარდა არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმაოდ სრულად ან ცალმხრივად, რაზედაც სასამართლოების ყურადღება მიქცეულ იქნა პლენუმის 1959 წლის 19 ივნისის დადგენილებით. ზემდგომი სასამართლოები, რომლებიც იხილავენ საქმეს საკასაციო წესით ან ზედამხედველობის წესით, აგრეთვე, არაიშვიათად გვერდს უვლიან ამ დარღვევებს და არ იღებენ ზომებს მათი აღმოფხვრისათვის.

ზოგიერთი სასამართლო განაგრძობს განაჩენის გამოტანას თავისუფლების აღკვეთით იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად საშიში დანაშაული და რომელთა გამოსწორება შესაძლებელია სასჯელის ისეთი ზომის დანიშვნის გზით, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან. ამასთან, პირობითი მსჯავრი მთელ რიგ შემთხვევებში ჯერ კიდევ არ გამოიყენება, მაშინ, როდესაც ამისათვის არის საკმაო საფუძველი. ძალზე იშვიათად გამოიყენება პირობითი მსჯავრი ისეთი სასჯელის შეფარდებისას, როგორიცაა გამასწორებელი მუშაობა თავისუფლების აღკვეთის გარეშე.

სასამართლოების პრაქტიკაში ადგილი აქვს როგორც ისეთ ფაქტებს, როდესაც საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებს დაუსაბუთებლად ეუბნებიან უარს მათ შუამდგომლობებზე, ისე პირობითი მსჯავრის უსაფუძვლოდ გამოყენების ფაქტებს.

ასე მაგალითად, კიევის დარნიცკის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლომ, ხოლო შემდეგ კიევის საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა დარნიცკის აბრეშუმის კომბინატის მექანიკური საამქროს კოლექტივის და კომკავშირული ორგანიზაციის შუამდგომლობა გამოეყენებინათ პირობითი მსჯავრი და გადაეცათ მათთვის ხელახალი აღზრდისათვის საამქროს მუშა მ. ფ. ფინაშინი, რომელიც სამართალში მიცემული იყო ხულიგნობის ბრალდებით. უარი უთხრეს რა შუამდგომლობაზე, სახალხო და საოლქო სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს, რომ ფინაშინი ითვლებოდა საამქროს ერთერთ საუკეთესო მუშად, წინად არ ყოფილა პასუხისგებაში და პირველად ჩაიდინა ხულიგნური მოქმედება, რომელიც არ ატარებდა განსაკუთრებით ბოროტულ ხასიათს. უკრაინის სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დააკმაყოფილა საზოგადოებრიობის შუამდგომლობა — გაათავისუფლა პატიმრობიდან ფინაშინი და გადასცა იგი ხელახალი აღზრდისათვის საამქროს კოლექტივს. ამჟამად ფინაშინი განაგრძობს პატიოსან შრომას წარმოებაში და მაგალითის მიმცემია ყოფაცხოვრებაში.

სრულიად საწინააღმდეგო შეცდომა დაუშვა გომელის ცენტრალური რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ, რომელმაც არასწორად შეუფარდა პირობითი მსჯავრი და საავტო ფაბრიკა „პროგრესის" კოლექტივს გადასცა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდისათვის ა. გ. კნიშა, რომელიც წარსულში ორჯერ იყო გასამართლებული ქურდობისათვის. სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ კნიშამ, რომელიც განთავისუფლდა საპატიმროდან, 1959 წლის ივნისში ხულიგნური მოტივით სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა მოქალაქე ბონდარენკოს. გამოქონდა რა განაჩენი პირობითი მსჯავრის შესახებ, სასამართლომ ამ შემთხვევაში არ გაითვალისწინა არც ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, არც დამნაშავის პიროვნება, პირობით მსჯავრის დადებას კი საფუძვლად დაუდო მხოლოდ საზოგადოებრიობის შუამდგომლობა.

პლენუმი აღნიშნავს, რომ სასამართლოების ზოგიერთი განაჩენი არ შეიცავს იმ მოტივების დასაბუთებულ გადმოცემას, რომელთა გამო სასამართლოს შესაძლებლად მიაჩნია გამოიყენოს პირობითი მსჯავრი, ან პირიქით, უარყოს საზოგადოებრიობის შუამდგომლობა მისი გამოყენების შესახებ, მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო, წყვეტს რა დამნაშავისათვის პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხს, მოვალეა განაჩენში მიუთითოს მოტივები, რომელთა გამო მიდის ასეთ გადაწყვეტილებამდე. ეს მოტივები დაფუძნებული უნდა იყოს სამსჯავრო სხდომაზე შემოწმებულ საქმის მასალებზე.

ზოგჯერ სასამართლოებს პირობითი მსჯავრის გამოყენების დროს გამოაქვთ გადაწყვეტილება მსჯავრდადებულთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდისათვის საზოგადოებრიობაზე გადაცემის შესახებ, მაშინ, როდესაც არა აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების შუამდგომლობა პირობითი მსჯავრის გამოყენების შესახებ.

ცალკეული სასამართლოების პრაქტიკაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირობით მსჯავრდადებულნი გადაეცემათ მშრომელთა კოლექტივებს აღსაზრდელად მათი მხრივ ასეთ შუამდგომლობათა აღძვრის გარეშე, მხოლოდ ადმინისტრაციის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა წერილის საფუძველზე, რომლებიც ზოგჯერ კი არ გამოხატავენ, არამედ ეწინააღმდეგებიან კიდეც კოლექტივის აზრს.

ასე მაგალითად, ლვოვის საოლქო სასამართლომ ლვოვის მინანქრის ქარხნის დირექტორის, პარტორგანიზაციის მდივნის და ადგილკომის თავმჯდომარის შუამდგომლობით ქარხნის მუშათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექტივს აღსაზრდელად გადასცა პირობით მსჯავრდადებული მ. ხ. ბრაგიდა, მაშინ, როდესაც, როგორც შემდეგ შემოწმებით დადგინდა, ქარხნის კოლექტივმა ორჯერ განიხილა ბრაგიდას მიერ ჩადენილი დანაშაული და უარი თქვა აეყვანა იგი ხელახალი აღზრდისათვის.

თავის 1959 წლის 19 ივნისის და 19 დეკემბრის დადგენილებებში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი სასამართლოების ყურადღებას მიაქცევდა იმას, რომ ღონისძიებანი, რაც ხორციელდება დამნაშავეობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმისათვის, ნიშნავს ამ ბრძოლის არა შესუსტებას, არამედ ფართო საზოგადოებრიობის დახმარებით მის გაძლიერებას და რომ იმ პირების მიმართ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით მძიმე დანაშაულის ჩადენაში, მომავალშიც გამოყენებული უნდა იქნას სისხლის სამართლის სასჯელის მკაცრი ზომები, რაც კანონითაა გათვალისწინებული. ზოგიერთი სასამართლოს საქმიანობაში კი ადგილი აქვს ასეთ დამნაშავეთა მიმართ დაუსაბუთებელი, ლმობიერი სასჯელის დანიშვნის ფაქტებს.

მოსკოვის ბაუმანის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია "შეეფარდებინა რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლი და დაუნიშნა სასჯელი — ორი წლით თავისუფლების აღკვეთა ვ. ე. ეზეროვს, რომელიც წინათ პირობით მსჯავრდადებული იყო ანგარებით დანაშაულთათვის და ხელახლა გადაეცა სასამართლოს ძარცვისათვის. ეზეროვის დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ მან მოაწყო შვიდი შეიარაღებული თავდასხმა მოზარდებზე.

რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ დაუსაბუთებლად გამოიყენა რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლი და დაუნიშნა კანონით დაწესებულ მინიმუმზე ნაკლები სასჯელი გ. მ. პოვტარენკოს, რომელიც მსჯავრდადებული იყო მოსკოვის საოლქო სასამართლოს მიერ იმისათვის, რომ მუშაობდა რა სამრეწველო საქონლის მაღაზიის გამგედ, სისტემატურად ჩადიოდა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დატაცებას და ნახევარი წლის მანძილზე დაიტაცა 77 ათასზე მეტი მანეთის ღირებულების საქონელი. ეს განჩინება გაუქმებული იქნა რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ.

ლმობიერი სასჯელის დაუსაბუთებელ გამოყენებას ბოროტული დამნაშავეების მიმართ, რომლებსაც არ სურთ ჩაებან შრომითი საქმიანობაში, და იმათ მიმართ, რომლებიც ჩადიან საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, შეუძლია წარმოშვას არასწორი შეხედულება იმ ღონისძიებებზე, რაც ხორციელდება დანაშაულთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის ჩაბმისათვის, და მიგვიყვანოს დამნაშავეობასთან ბრძოლის შესუსტებამდე.

ითვალისწინებს რა აღნიშნულს, აგრეთვე მხედველობაში იღებს რა იმას, რომ სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა რიგი საკითხებისა, რომლებიც საჭიროებენ განმარტებას, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ა დ გ ე ნ ს:

1. სასამართლოების ყურადღება მიექცეს იმის აუცილებლობას, რომ აღმოფხვრილ იქნეს მათ საქმიანობაში კანონის აღნიშნული დარღვევები და ნაკლოვანებები იმ მითითებათა შესრულებაში, რაც მოცემულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1959 წლის 19 ივნისის და 19 დეკემბრის დადგენილებებში—დანაშაულობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლებისა და სისხლის სამართლის სასჯელის შეფარდების პრაქტიკის საკითხებზე.

2. განემარტოს სასამართლოებს, რომ პირობით მსჯავრდადებულთა გადაცემა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივებზე ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის შეიძლება მხოლოდ შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნება იმ კოლექტივის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის საერთო კრებაზე, სადაც ბრალდებული მუშაობს, რაშიც სასამართლო უნდა დარწმუნდეს საქმის განხილვის დროს.

3. გამომდინარე სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე მუხლის აზრიდან, როგორც პირობითი მსჯავრის გამოყენება, ისე დამნაშავის ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის გადაცემის შესახებ საზოგადოებრიობის შუამდგომლობაზე უარის თქმა აუცილებლად უნდა იქნეს მოტივირებული განაჩენში საქმით დადასტურებული გარემოებების საფუძველზე.

4. მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმის აუცილებლობას, რომ შემდგომ განმტკიცდეს კავშირი საზოგადოებრიობასთან პირობით მსჯავრდადებულთა გამოსწორებისა და ხელახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღზრდის ღონისძიებათა განხორციელებისათვის, ჩაბან ამ ღონისძიებათა პრაქტიკულად განხორციელებაში სახალხო მსაჯულები.

5. კერძო ბრალდების საქმეებზე სასამართლოებმა უნდა განუმარტონ დაზარალებულებს, რომ ეს საქმეები მიზანშეწონილია განიხილოს საზოგადოებრიობამ, და ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში, დაზარალებულის აზრის გათვალისწინებით, ასეთი საქმეების გადაცემა ამხანაგური სასამართლოებისათვის ან საზოგადოებრიობის განსახილველად დამნაშავის სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სახალხო სასამართლოებმა აუცილებელი დახმარება უნდა გაუწიონ ამხანაგურ სასამართლოებს ამ საქმეების განხილვისათვის მომზადებაში.

6. რეკომენდაცია მიეცეს სახალხო სასამართლოებს იმ მასალების განხილვისას, რაც მათთან შედის წვრილმანი ხულიგნობისა და წვრილმანი სპეკულაციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა შესაბამისად გაარკვიონ პასუხისგებაში მიცემულ პირთა მიმართ საზოგადოებრივ აღმზრდელობითი ზემოქმედების ღონისძიებათა შეფარდების შესაძლებლობა და სამართლის დამრღვევთა პიროვნებების და დარღვევის ხასიათის გათვალისწინებით ეს მასალები გადასცენ საზოგადოებრიობას სამართლის დამრღვევის სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამხანაგურ სასამართლოებში ან მშრომელთა კოლექტივების კრებებზე განსახილველად.

7. განმარტებულ იქნას, რომ სასამართლო პროცესზე საზოგადოებრივი ბრალმდებლის ან საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობის საკითხი წყდება სასამართლოს დადგენილებით ამის შესახებ საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობის საფუძველზე. საზოგადოებრივი ბრალმდებლის ან საზოგადოებრივი დამცველის დაშვება საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციის შუამდგომლობით კანონიდან არ გამომდინარეობს.

საზოგადოებრივი ბრალმდებლის და საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობა ერთი და იმავე ორგანიზაციიდან სამართალში მიცემული ერთი და იგივე პირის მიმართ არასწორია, რადგან ასეთ შემთხვევაში არ იქნება გამოხატული საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნამდვილი აზრი.

8. სასამართლოებმა საზოგადოებრივ ბრალმდებლებსა და საზოგადოებრივ დამცველებს უნდა განუმარტონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მათთვის მინიჭებული პროცესუალური უფლებები, უზრუნველყონ ისინი ამ უფლებათა განხორციელების ყველა შესაძლებლობით.

სამსჯავრო სხდომაზე საზოგადოებრივ ბრალმდებელს და საზოგადოებრივ დამცველს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მტკიცებათა გამოკვლევაში, აღძრან სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები და მონაწილეობა მიიღონ სასამართლო კამათში.

9. სასამართლოების ყურადღება მიექცეს იმის აუცილებლობას, რომ განუხრელად გატარდეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მითითება — მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირების და განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტთა მიმართ კანონით გათვალისწინებული მკაცრი სასჯელის შეფარდების შესახებ.

*

* *

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი მიუთითებს სასამართლოებს სასამართლო საქმიანობის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობაზე, იმაზე, რომ გაძლიერდეს სასამართლო ორგანოების კავშირი საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სწორად იქნეს შეხამებული საზოგადოებრივი ზემოქმედების და სისხლის სამართლის სასჯელის ზომა, იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მკვეთრი შემცირებისა და შემდგომში მთლიანი აღმოფხვრის ამოცანები.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე — ა. ᲒᲝᲠᲙᲘᲜᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მდივანი—Ი. ᲒᲠᲘᲨᲐᲜᲘᲜᲘ

საზოგადოებრიობა სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში

დ. საბაშვილი

საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მშრომელთა მასების მონაწილეობის ფართო პროგრამა.

მოხსენებაში პარტიის XXI ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვი ხაზგასმით აღნიშნავდა: „საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში სულ უფრო უნდა გადავიდეს საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების უზრუნველყოფის საკითხები".

საბჭოთა საზოგადოების წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებიც აღზრდილი არიან სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით, პატივს სცემენ და განუხრელად იცავენ საბჭოთა კანონებსა და სოციალისტური საერთო თანაცხოვრების წესებს, იბრძვიან იმისათვის, რომ აღმოიფხვრას დანაშაულის წარმომშობი მიზეზები და აღიკვეთოს მისი ჩადენის ფაქტები.

გასული წლის მარტში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მიიღეს დიდმნიშვნელოვანი დადგენილება „დანაშაულობათა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების შესახებ".

ამ დადგენილების განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობენ ლანჩხუთის რაიონის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. მათი ინიციატივით რაიონის ყველა კოლმეურნეობასა და სამრეწველო საწარმოში, ტრანსპორტზე შეიქმნა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის 40 ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეული, რომლებშიც გაერთიანებულია 400-ზე მეტი კაცი. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ხელმძღვანელობისათვის შექმნილია რაიონული შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობს პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანი. სახალხო რაზმელებად არჩეული არიან პარტიის რაიონული კომიტეტის წევრები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პარტიული ბიუროს წევრები, კომკავშირის რაიკომის წევრები, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები და სხვა. სახალხო რაზმელთა შორის 198 კომუნისტია, 100-ზე მეტი კომკავშირელი, დანარჩენი უპარტიო აქტივისტია.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რაიონული შტაბი სისტემატურად აწყობს რაზმეულების შეკრებას, რომელზეც საინსტრუქტაჟო მოხსენებებით რაზმეულის წევრთა უფლება-მოვალეობისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საკითხებზე გამოდიან რაიონული შტაბის წევრები, სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შექმნამ კარგი შედეგი გამოიღო.

[3] საბჭოთა სამართალი № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონში გასულ წლებთან შედარებით მკვეთრად შემცირდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტები. სახალხო რაზმეულთა მიერ გასულ და მიმდინარე წელს გამოვლინებულ იქნა წესრიგის დარღვევის 45 შემთხვევა. რაიონულმა შტაბმა განიხილა მასალები ამ დარღვევათა შესახებ და 10 საქმე გადასცა ამხანაგურ სასამართლოებს, ხოლო სამი, მილიციის რაიონულ განყოფილებას დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

მშრომელთა შორის ავტორიტეტით სარგებლობს სოფელ მამათის კოლმეურნეობასთან შექმნილი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმეული, რომელსაც პარტბიუროს მდივანი პ. შევარდნაძე ხელმძღვანელობს. რაზმეულის შემადგენლობაში შედიან კომუნისტები, კომკავშირლები და სოფლის შოწინავე ადამიანები. რაზმეულის წევრებისათვის პარტიული ბიურო აწყობს ლექციებს, მეცადინეობებს. შემოღებულია რაზმელთა მორიგეობის გრაფიკი. სოფლის ცენტრში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოველ საღამოს დაინახავთ რაზმელებს, რომლებიც მტკიცედ იცავენ საზოგადოებრივ წესრიგს.

. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ამ რაზმეულის საქმიანობიდან. ამა წლის 14 მაისს მოქალაქე გ. ღლონტმა, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, განიზრახა მოქალაქე ე. გ-ის მოკვლა, ჩაუსაფრდა მას სანადირო თოფით და დანით. შეიარაღებული ბოროტმოქმედის განზრახვა ცნობილი გახდა რაზმელების ბ. კილაძისა და ჟ. ღლონტისათვის, რომლებიც სწრაფად გამოცხადდნენ ადგილზე და მიუხედავად გ. ღლონტის წინააღმდეგობისა განაიარაღეს იგი. მისი დანაშაულებრივი განზრახვა დადასტურდა როგორც გამოძიების, ისე სასამართლო პროცესზე, რისთვისაც მან მიიღო კანონით გათვალისწინებული სასჯელი.

აი, მეორე ფაქტიც: მოქალაქე ი. ბოჭიანმა, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, სოფლის ცენტრში დებოში ატეხა, უცენზურო სიტყვებით მიმართავდა გამვლელებს, მისი უხამსი მოქმედება რაზმელთა ჩარევით აღკვეთილ იქნა.

მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა აგრეთვე სოფელ ლესის კოლმეურნეობასთან შექმნილი სახალხო რაზმეული, რომელშიც 30 კაცია გაერთიანებული. რაზმეულს პარტბიუროს მდივნის მოადგილე გ. სულაბერიძე მეთაურობს. ამ რაზმის წევრებმა თავი გამოიჩინეს, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ისე საშიშ დამნაშავეთა დაკავებისას. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს.

მიმდინარე წლის 31 მარტს სადგურ ლესის ბაქანზე ბოროტმოქმედმა ი. ჯაფარიძემ რევოლვერის გასროლით მოკლა მოქალაქე ე. ორმოცაძე. მკვლელი შეეცადა მიმალვას, მაგრამ მას რაზმელთა ფხიზელმა თვალმა მოუსწრო და იგი შეპყრობილ იქნა. დამნაშავე საბჭოთა კანონის მთელი სისასტიკით იქნა დასჯილი.

პარტიის რაიკომის ბიურო თავის სხდომებზე პერიოდულად იხილავს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობის საკითხებს და სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მაგალითად სოფელ ნიგვზიანში ადგილი ქონდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, სოფლის ცენტრში იკრიბებოდნენ უსაქმური ახალგაზრდები, რომლებიც სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ მოქალაქეებს. მათი თავაშვებულება ამითაც არ მთავრდებოდა, იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც მათ მიერ წამოწყებული ჩხუბი ერთ-ერთი მოქალაქის მკვლელობით დამთავრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელში შექმნილი სახალხო რაზმეულები ყოველივე ამას გულდამშვიდებით შეცქეროდნენ და არ იღებდნენ გადამწყვეტ ზომებს. ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლა პარტიის რაიკომის ბიურომ და განახორციელა ღონისძიებანი სოფელში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის.

ბიუროს დადგენილება განხილულ იქნა სოფლის პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, რაზმეულთა შემადგენლობა გადახალისდა და შეივსო გამბედავი, კეთილსინდისიერი პირებით. ამჟამად სოფლად საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რაზმეულებში გაერთიანებულია 50-ზე მეტი კაცი, მოქმედებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სასოფლო შტაბი 7 კაცის შემადგენლობით, რომელსაც კომუნისტი ა. თევზაძე ხელმძღვანელობს. რაზმეულთა წევრები ყოველდღიურად მორიგეობენ სოფლის ცენტრში, შტაბი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოსახლეობაში, კერძოდ ახალგაზრდობაში, აღმზრდელობით მუშაობას, ამის შედეგია, რომ უკანასკნელ პერიოდში ამ სოფელში საგრძნობლად შემცირდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტები.

საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების მიზნით რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოები სისტემატურად იხილავენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობის საკითხებს, ავლენენ ნაკლოვანებებს და იღებენ ქმედით ზომებს რაზმეულების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამასწინათ, რაიონის ერთერთი დიდი სოფლის — სუფსის სასოფლო საბჭოს სესიამ სპეციალურად განიხილა სოფლად საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საკითხი. სესიის მონაწილეებმა ამ საკითხზე მოისმინეს რაიონის პროკურორის მ. კეკელიას მოხსენება. კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სოფელში სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას სახალხო რაზმეულებისა და ამხანაგური სასამართლოების მუშაობა, რის გამოც ადგილი აქვს საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დარღვევის ფაქტებს. მიმდინარე წლის 6 თვის მანძილზე სოფელში რეგისტრირებულია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის 5 შემთხვევა, რაც გადაიზარდა საშიშ დანაშაულებრივ ქმედობაში. სესიამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება სოფლად დანაშაულის თავიდან აცილებისათვის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონში სახალხო რაზმეულების უმრავლესობა კარგად მუშაობს და რაზმელები პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას, მათ საქმიანობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთი რაზმეული განზე დგას საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლისაგან, თეატრში, კინოში, სტადიონზე, კლუბებში ზოგიერთი მოხულიგნო ელემენტები არღვევენ წესრიგს, მაგრამ რაზმელები ყოველივე ამას დამშვიდებით შესცქერიან და არ იღებენ ზომებს მათ მიმართ. უფრო მეტიც, ზოგჯერ თვით რაზმელები არღვევენ წესრიგს და ჩადიან საბჭოთა ადამიანისათვის შეუფერებელ საქციელს. მაგალითად, ამა წლის 10 თებერვალს რაზმელი ვ. ჩიკაშუა შეეცადა მოქ. ვ. ტ-ს გაუპატიურებას, რისთვისაც იგი პატიმრობაში იქნა აყვანილი.

სუსტად მუშაობენ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები რაიონულ ცენტრში, ჭანჭათის, ჩოჩხათისა და ზოგიერთ სხვა სოფლებში. პირველადი პარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიული ორგანიზაციები კი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ამ რაზმეულების საქმიანობის გაუმჯობესებას.

ამხანაგურ სასამართლოებს დიდი როლის შესრულება შეუძლიათ საბჭოთა მოქალაქეთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის, მათში კოლექტივიზმისა და ამხანაგური ურთიერთობის განვითარების, პატიოსნებისა და ღირსების გამომუშავების საქმეში. რაიონის კოლმეურნეობებსა და წარმოება-დაწესებულებებში შექმნილია 41 ამხანაგური სასამართლო, რომლებშიც არჩეული არიან კოლმეურნეები, მუშები, წარმოების მოწინავე ადამიანები. ამხანაგური სასამართლოები აქტიურად ეხმარებიან ადმინისტრაციასა და პარტიულ ორგანიზაციებს შრომის დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ხელს უწყობს საზოგადოების აღმზრდელობითი ზეგავლენის გაძლიერებას დამნაშავეთა მიმართ, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებას. გამოცდილებით დადასტურებულია, რომ იქ სადაც ამხანაგური სასამართლოები კარგად მუშაობენ, ნაკლებია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტები.

კარგად მუშაობს ლესის, ნიგვზიანის, აცანის, გვიმბალაურის კოლმეურნეობებში და ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში შექმნილი ამხანაგური სასამართლოები. მარტო მიმდინარე წელს ამხანაგურმა სასამართლოებმა 35-ზე მეტი საქმე განიხილეს.

განსაკუთრებით მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა სოფელ ლესის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში შექმნილი ამხანაგური სასამართლო, რომლის თავმჯდომარეა ამავე კოლმეურნეობის აგრონომი გ. იმნაძე, სხდომები მომზადებული ტარდება. ამ სასამართლოს მუშაობის პრაქტიკაში ბევრია ისეთი მაგალითი, როცა სოციალისტური თანაცხოვრებისა და შრომის დისციპლინის დამრღვევნი გამოსწორების გზას დაადგნენ. ასე მაგალითად, კოლმეურნე ვ. კ-ძე თავის მეუღლეს აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. მასალები მის შესახებ სახალხო სასამართლოსაგან გადაეგზავნა ლესის კოლმეურნეობის ამხანაგურ სასამართლოს, რომელმაც განიხილა ეს საქმე. ამხანაგურ სასამართლოს სხდომას დაესწრო კოლმეურნეები და ვ. კ-ს ყველა მეზობელი. ამხანაგურმა სასამართლომ ვ. კ-ს საზოგადოებრივი გაკიცხვა გამოუცხადა. კოლექტივის კრიტიკამ კარგი შედეგი გამოიღო, ამის შემდეგ ვ. კ-ს მსგავსი მოქმედება არ ჩაუდენია.

სოფელ ნიგვზიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ბ. ჩხარტიშვილი ხშირად გადაჭარბებულად სვამდა ღვინოს, შემდეგ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა მოქალაქეებს. ამხანაგურმა სასამართლომ დაგმო მისი მოქმედება და გაფრთხილება მისცა მას. ბ. ჩხარტიშვილი ამის შემდეგ შემჩნეული არ ყოფილა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში.

ამხანაგური სასამართლოები არა მარტო საზოგადოებრივი წესრიგის, არამედ საკოლმეურნეო საკუთრების სადარაჯოზეც დგანან. სოფელ აცანის ი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრების აღშფოთება გამოიწვია კოლმეურნე გ. ჩხაიძის მოქმედებამ, რომელმაც საზოგადოებრივი სარგებლობის წყალსადენს მოხსნა მილი და იგი პირადი საჭიროებისათვის გამოიყენა. კოლმეურნეობის გამგეობამ ამის შესახებ მასალები გადასცა ამხანაგურ სასამართლოს, რომელმაც გ. ჩხაიძეს საზოგადოებრივი გაკიცხვა გამოუცხადა და აანაზღაურებინა ზარალი 200 მანეთის რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გაუმჯობესებას ხელს უწყობს ისიც, რომ სისტემატურად წარმოებს საბჭოთა კანონიერების პროპაგანდა, ეწყობა ლექციები, მოხსენებები საბჭოთა მართლმსაჯულების საკითხებზე. კარგი შედეგი გამოიღო იურიდიული კითხვა-პასუხის საღამოებმა, რაც რაიონის სოფლებში ტარდება. მიმდინარე წელს 8 ასეთი საღამო ჩატარდა, მშრომელები კითხვა-პასუხის საღამოზე სასამართლო-პროკურატურის და მილიციის ორგანოების მუშაკებისაგან იღებენ დაწვრილებით პასუხს მათთვის საინტერესო იურიდიულ საკითხებზე. კარგი წამოწყებაა ადგილებზე მომჩივანთა მიღება და მათთვის კონსულტაციების გაწევა, რასაც პროკურატურისა და სასამართლოს მუშაკები ატარებენ.

დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს სახალხო სასამართლოს გამსვლელ სესიებს, რაც შემდგომში კიდევ უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს. ასევე კარგი შედეგი გამოიღო საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და დამცველების მონაწილეობამ სახალხო სასამართლოს სხდომებზე, მიმდინარე წელს, მაგალითად, სახალხო სასამართლო პროცესებზე მონაწილეობა მიიღო 16-მა საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა და დამცველმა.

პარტიის რაიკომი პლენუმებზე, აქტივის კრებებზე პერიოდულად იხილავს რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სოციალისტური კანონიერების საკითხებს, რაიკომის მუშაკები მშრომელთა წინაშე გამოდიან პოლიტიკური მოხსენებებით კომუნისტური მორალისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების შესახებ. მიმდინარე წელს რაიონის მოსახლეობაში ამ თემაზე წაკითხულია 100-ზე მეტი ლექცია-მოხსენება.

გასული წლის დეკემბერში რაიონის პარტიული აქტივის კრებამ განიხილა საკითხი რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ, რომელსაც 400-ზე მეტი კაცი დაესწრო, ანალოგიური საკითხი მიმდინარე წელს განხილულ იქნა რაიონის ყველა პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, ამ ღონისძიებამ დიდად შეუწყო ხელი არა მარტო პარტიული აქტივის, არამედ მთელი საზოგადოების მობილიზაციას საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

პარტიის რაიკომის მუშაკები ახლა თავიანთი მუშაობის უმეტეს დროს პირველად პარტიულ ორგანიზაციებში ატარებენ და კონკრეტულ დახმარებას უწევენ მუშაკებს ადგილებზე არა მარტო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში, არამედ იმაშიც, რომ გაძლიერდეს ბრძოლა რაიონში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის.

საზოგადოებრივი ზემოქმედება დიდი ძალაა. სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება შეუძლებელია მთელი საზოგადოებრიობის აქტიური დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე. რაიონის პარტიული ორგანიზაციები ყველა ზომებს მიიღებენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებისა და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, შექმნიან იმის პირობებს, რომ რაიონში აღმოიფხვრას საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური საერთო თანაცხოვრების წესების დარღვევის ფაქტები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივის მიერ დამნაშავეთა გამოსწორების ზოგიერთი საკითხის შესახებ

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 43-ე მუხლში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან თუ მიჩნეულ იქნება, რომ გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის ვითარების შეცვლის შედეგად, დამნაშავე პირის მიერ ჩადენილმა ქმედობამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი.

ასეთ შემთხვევაში საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მუშაკები ვალდებული არიან არა მარტო მოსპონ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, არამედ, აგრეთვე, იზრუნონ სამართლის დამრღვევი პირის შემდგომ ბედზე, გადასცენ ისინი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, დაეხმარონ მათ შრომით მოწყობაში, იზრუნონ მათი გამოსწორებისათვის, რომ შემდგომში ისინი კვლავ აღარ აღმოჩნდნენ საბრალმდებლო სკამზე.

„საფუძვლებში“ მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სამართლის დამრღვევ პირთა აღზრდა-გამოსწორების საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების როლი. მათ საკანონმდებლო წესით მიენიჭათ უფლება აღძრან შუამდგომლობა საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების წინაშე დამნაშავე პირის აღსაზრდელად მათზე გადაცემის შესახებ.

ინტერეს მოკლებული არ იქნება ამ წერილით მკითხველებს გავუზიაროთ ქ. თბილისის სტალინის რაიონის პროკურატურისა და სასამართლოს მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება დამნაშავე პირების აღსაზრდელად და გამოსასწორებლად საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მშრომელთა კოლექტივების მონაწილეობაზე.

პროკურატურაში მილიციის განყოფილებიდან შემოვიდა მასალები თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის მცველის მოქ. ა. ჩუგუაშვილის მიმართ, რომელიც გასული წლის 29 ნოემბერს დაკავებულ იქნა იმისათვის, რომ ქარხნიდან მოიპარა და გარეთ გამოჰქონდა მედიკამენტები. ბინის გაჩხრეკისას მას აღმოაჩნდა ქარხნიდან მოპარული პირამიდონისა და კოფეინის აბები, 31 ცალი ალოეს ამპულა და 15 ამპულა ვიტამინი ბ-1. ა. ჩუგუაშვილის მიმართ აღძრული საქმე გამოძიებისათვის გადაეცა სახალხო გამომძიებელ ა. კალანდიას, რომელმაც ოპერატიულად შეკრიბა მასალები, გამოარკვია და შეისწავლა ა. ჩუგუაშვილის პიროვნება. დადგენილ იქნა, რომ ა. ჩუგუაშვილი ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში მცველად მუშაობს 1954 წლიდან, მსგავს მოქმედებაში იგი არასოდეს არ ყოფილა შენიშნული, კმაყოფაზე ყავს ღრმად მოხუცებული დედა, ცოლი და სამი მცირეწლოვანი შვილი, თვით ა. ჩუგუაშვილმა თავი დამნაშავედ ცნო და განმარტა, რომ აღნიშნული მედიკამენტები მოიპარა ავადმყოფი ძმისათვის, რომელიც სოფლის საავადმყოფოში წევს და სურდა გაეგზავნა მისთვის. გამოძიებით, ბრალდებულის მიერ დასახელებული დანაშაულის ეს გამომწვევი მიზეზები ნაწილობრივ დადასტურდა. ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის დირექციამ, პარტბიურომ და საქარხნო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა პროკურატურის წინაშე, რათა ა. ჩუგუაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული განხილული ყოფილიყო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე და თუ კოლექტივი იკისრებდა მის აღზრდაზე პასუხისმგებლობას, პროკურატურას მოესპო მის მიმართ აღძრული საქმე. პროკურატურამ მიზანშეწონილად ცნო ა. ჩუგუაშვილის დანაშაულებრივი ქმედობის შესახებ ემსჯელა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებას. ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებას საქმის შინაარსი გააცნო სახალხო გამომძიებელმა ა. კალანდიამ. სიტყვით გამოვიდა თვით ბრალდებული ა. ჩუგუაშვილი, რომელმაც თავისი ამხანაგების წინაშე აღიარა მის მიერ ჩადენილი დანაშაული და ითხოვა პატიება, ამავე დროს პირობა მისცა ქარხნის კოლექტივს, რომ შემდგომში არ ჩაიდენდა მსგავს მოქმედებას. სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ქარხნის მუშები და მოსამსახურეები, რომლებმაც დაგმეს ა. ჩუგუაშვილის საქციელი და გამოთქვეს მოსაზრება, რომ მის აღზრდასა და გამოსწორებას იკისრებდნენ, თუ ამას პროკურატურა მიანდობდა ქარხნის კოლექტივს. კრებამ მიიღო დადგენილება, რომლითაც სთხოვა პროკურატურას ა. ჩუგუაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოებით მოსპობა, აგრეთვე ა. ჩუგუაშვილის ქარხანაში დატოვება, რათა ჰქონდეს საშუალება ქარხნის კოლექტივს მეთვალყურეობა გაეწია მისი აღზრდა-გამოსწორებისათვის. ქარხნის დირექციას ეთხოვა დაედვა ა. ჩუგუაშვილისათვის მკაცრი დისციპლინარული სასჯელი. ქარხნის კედლის გაზეთის რედაქციას კი დაევალა უახლოეს ნომერში მოეთავსებინა მასალა ა. ჩუგუაშვილის მოქმედების შესახებ.

პროკურატურა დაეთანხმა ქარხნის კოლექტივის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და ა. ჩუგუაშვილის მიმართ საქმე წარმოებით მოსპო, ხოლო მისი შემდგომი აღზრდა-გამოსწორებისათვის მუშაობა მიანდო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივს.

პროკურატურას ამით არ დაუმთავრებია ა. ჩუგუაშვილის საქმე. სახალხო გამომძიებელი ე. კალანდია რამდენიმეჯერ იყო ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში და ეესაუბრა ქარხნის დირექტორს ა. ჩუგუაშვილის მუშაობის შესახებ, შეისწავლა მისი შრომითი საქმიანობა. გამოიკვლია, რომ ა. ჩუგუაშვილი კოლექტივის ნდობას ამართლებს.

თბილისის რძის კომბინატს აღსაზრდელად გადაეცა ამავე კომბინატის ჩამომსხმელი საამქროს მუშა შ. შავერშიანი, რომელმაც გასული წლის 22 ოქტომბერს მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ჩაიდინა ხულიგნური მოქმედება, შეურაცხყოფა მიაყენა მოქ. კ. ბელიუგინს.

სახალხო გამომძიებელმა ო. ლომიძემ გამოარკვია, რომ შ. შავერშიანი პირველად არის პასუხისგებაში, არასრულწლოვანია, ჩაბმულია საზოგადოებრივ შრომაში, მამა დაღუპული ჰყავს სამამულო ომში, კომკავშირის წევრია და ხასიათდება დადებითად. ასეთ პირობებში არ იყო აუცილებელი შ. შავერშიანის მიცემა პასუხისგებაში, რის გამოც პროკურატურა დაეთანხმა რძის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის და კომკავშირული ორგანიზაციის საერთო კრების შუამდგომლობას, საქმე წარმოებით მოსპო და შ. შავერშიანი გადასცა კომბინატის კოლექტივს აღზრდა-გამოსწორებისათვის.

სტალინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოში ამას წინათ ირჩეოდა ბ. ამაშუკელის საქმე, რომელსაც წაყენებული ჰქონდა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 75 მუხლის I ნაწილით და 202 მუხლით.

სახალხო მოსამართლე თ. გერსამიამ საქმის განხილვის დროს მიიღო ამიერკავკასიის ელექტრომშენის საბურთალოს ქვესადგურის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის საერთო კრების დადგენილება, რომლითაც მუშა-მოსამსახურეები შუამდგომლობდნენ სახალხო სასამართლოს წინაშე, რათა ბ. ამაშუკელი გადაეცათ მათთვის აღსაზრდელად. სასამართლო საქმის განხილვის დროს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბ. ამაშუკელი თავისი წარსულით არ არის პროფესიული დამნაშავე. მისი პიროვნება იძლეოდა უდაო მონაცემებს, რომ იგი შემდგომში არ ჩაიდენს დანაშაულს, და აუცილებელი არ არის მისი საზოგადოებიდან იზოლირება. სასამართლომ დაკმაყოფილა ამიერკავკასიის ელექტრომშენის საბურთალოს ქვესადგურის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის შუამდგომლობა და ბ. ამაშუკელს შეუფარდა ერთი წლით და ექვსი თვით პატიმრობა, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 50 მუხლით შეუცვალა ამავე ვადით პირობით და აღსაზრდელად გადასცა ზემოაღნიშნულ ორგანიზაციის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივს.

სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოების განაჩენებსა და დადგენილებებში, რომლებითაც დამრღვევი პირი ბარდება საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებს აღზრდა-გამოსწორებისათვის, დამაჯერებლად უნდა იყოს დასაბუთებული ის მოტივები, რამაც განაპირობა დამნაშავე პირის კოლექტივისათვის ვადაცემის აუცილებლობა. დაუშვებელია ისეთი ფაქტი, როცა გამოძიების დროს ან საქმის სასამართლოში განხილვის პროცესში ორგანიზაციიდან შემოსულ შუამდგომლობაზე პასუხი არ არის გაცემული. ეს შეფასებული უნდა იქნას, როგორც საზოგადოებრივი ზეგავლენის ღონისძიების შეუფასებლობა დამნაშავე პირის გამოსწორების საქმეში.

იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიების დროს, არ იქნება დაკმაყოფილებული შუამდგომლობა, საჭიროა ამის თაობაზე დადგენილების და მისი ასლის დაგზავნა იმ ორგანიზაციისათვის, რომელმაც აღძრა შუამდგომლობა. სასამართლოში საქმის განხილვის დროს შემოტანილი შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან არ დაკმაყოფილების საკითხი კი გადაწყდეს განაჩენის გამოტანის დროს და მოცემული უნდა იქნეს თვით განაჩენში.

პრაქტიკაში ჯერ კიდევ გვხვდება ისეთი ფაქტები, როცა საქმეში ჩაკერებულია საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მშრომელთა კოლექტივის შუამდგომლობა, ხოლო რა რეაგირება მოჰყვა მას, საქმეში არ ჩანს. ასე მაგალითად, სტალინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოში პროკურატურიდან განსახილველად შემოვიდა თ. ნადარეიშვილის ბრალდების საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 151 მუხლის ნაწილით. გამოძიების დროს მიღებულ იქნა არტელ „წითელი მკერავის" ატელიე № 2-ის საერთო კრების შუამდგომლობა თ. ნადარეიშვილის აღსაზრდელად მათზე გადაცემის შესახებ. ეს შუამდგომლობა, როგორც წესი, ჩაკერებულია საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეში გამომძიებლის მიერ და იგი სავსებით სამართლიანად არ იქნა გაზიარებული, მაგრამ მისი განხილვა არსად არ ჩანს, ორგანიზაციისათვის პასუხი არ უცნობებიათ.

ანალოგიურ ფაქტებს ვხვდებით სასამართლო პრაქტიკაშიც; ჯ. დ. შენგელიას ბრალდების საქმეზე წყალტუბოს რაიონის სოფელ პატრიკეთის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობიდან შემოსულია კოლმეურნეობის საერთო კრების შუამდგომლობა. სასამართლომ არ გაიზიარა შუამდგომლობა და სპეკულაციისათვის დ. შენგელიას მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, შუამდგომლობაზე უარის თქმა კი არსად არ არის აღნიშნული და კოლმეურნეობისათვის პასუხი არ უცნობებიათ.

„საფუძვლების“ 38-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლოები აღსაზრდელად გადაცემულ პირს უნდა უფარდებდნენ პირობით სასჯელს. მაგრამ პრაქტიკაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როცა სასჯელად გამოყენებულია შრომა-გასწორებითი მუშაობაც.

ამ საკითხზე არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები. ამის გამო ზოგიერთი მოსამართლე სამართალში მიცემულს უფარდებს შრომა-გასწორებით მუშაობას, იძულებითი ბიუროს მითითებითაც და ამავე დროს ორგანიზაციას აკისრებს მსჯავრდადებულის აღზრდა-გამოსწორებას. ასე მოიქცა მაგალითად მოსამართლე ფ. კალანდაძე, ნ. მაჩაიძის საქმის განხილვის დროს.

სტალინის სახელობის რაიონის პროკურატურასა და სასამართლოში შემოღებულია სპეციალური ჟურნალი, სადაც ხდება საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან და მშრომელთა კოლექტივებიდან შემოსული ყველა შუამდგომლობების აღრიცხვა. ეს აადვილებს საქმეზე დროულად რეაგირებას.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა კოლექტივები დიდ ძალას წარმოადგენენ იმ ადამიანების ცხოვრების სწორ გზაზე დაყენებისათვის, რომლებიც ერთხელ გადაცდენ და დანაშაული ჩაიდინეს. საზოგადოებას შეუძლია გამოასწოროს და აღზარდოს ეს ადამიანები კომუნისტური სულისკვეთებით.

ა. ნოდია

ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის პროკურორის თანაშემწე, იუსტიციის მრჩეველი.

საზოგადოებრივ ბრალმდებელმა და დამცველმა სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 41-ე მუხლის მიხედვით მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიძლება სასამართლოს განჩინებით დაშვებულ იქნენ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო განხილვაში მონაწილეობისათვის, როგორც საზოგადოებრივი ბრალმდებელნი და დამცველნი. ამის შესაბამისად სახალხო სასამართლოების მუშაობაში ფართოდ მკვიდრდება საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა პროცესში მონაწილეობის პრაქტიკა, რაც უდაოდ სასარგებლოა.

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო განხილვაში საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის მონაწილეობასთან დაკავშირებით წამოიჭრა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ზოგჯერ სწორად არ წყდება.

ჩვენი მიზანია ამ წერილში გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება, რომლებიც კანონიდან გამომდინარეობენ და რაც თვით პრაქტიკითაა ნაკარნახევი.

1. რიგ შემთხვევაში სახალხო სასამართლოები საქმის განხილვაში საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის მონაწილეობისათვის განჩინების გამოტანის საფუძვლად თვლიან წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელების მიმართვას, მაშინ, როდესაც შუამდგომლობა ასეთზე უნდა აღიძრას მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის საერთო კრების გადაწყვეტილებით, ანდა ადგილკომის, კომკავშირის კომიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დადგენილებით. ამგვარად ამ საკითხის გაგება პირდაპირ გამომდინარეობს კანონიდან, რომელშიც ლაპარაკია საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელთა საზოგადოებრივ ბრალმდებლად და დამცველად დაშვებაზე. ასეთის კომპეტენცია მინიჭებული არ აქვს წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელს.

2. იმისათვის რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელი დაშვებულ იქნას საქმის განხილვაში, სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება. მაგრამ ვიდრე ასეთი განჩინება არ არსებობს, აქვთ თუ არა უფლება გამოყოფილ საზოგადოებრივ ბრალმდებლებსა და დამცველებს გაეცნონ საქმის მასალებს?

ჩვენი აზრით ეს საკითხი ერთპიროვნულად უნდა გადაწყვიტოს მოსამართლემ. საზოგადოებრივ ბრალძდებლებს ან დამცველებს უნდა მიეცეს საშუალება გაეცნონ საქმის მასალებს. ეს ხელს შეუწყობს პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას, დადებით გავლენას იქონიებს პროცესის მომზადების ხარისხზე.

3. სხვადასხვა მოსაზრებებია იმის შესახებ, რომ ერთი და იგივე წარმოება-დაწესებულებიდან ერთსა და იმავე საქმეზე შეიძლება თუ არა მონაწილეობდეს საზოგადოებრივი ბრალმდებელი და დამცველიც.

ი. საპოშნიკოვი მიზანშეწონილად თვლის ერთდაიგივე წარმოება-დაწესებულებიდან ერთსა და იმავე საქმეზე საზოგადოებრივი ბრალმდებლის და დამცველის მონაწილეობას, რასაც ასაბუთებს პრაქტიკულ მაგალითზე მითითებით[1]. ი. საპოშნიკოვის ეს მოსაზრება, რამდენადაც პრაქტიკა მის სრულ გამართლებას იძლევა, მისაღებად უნდა ჩაითვალოს.

მიმდინარე წლის 18 იანვარს ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ არასრულწლოვან ნ. მაჩაიძის სისხლის სამართლის საქმის განხილვასთან დაკავშირებით ლენინის სახელობის რაიონის მუშა-ახალგაზრდობის პირველ საშუალო სკოლაში მოაწყო გამსვლელი სესია. ნ. მაჩაიძეს ბრალი ედებოდა ხულიგნურ მოქმედებაში და ხელისუფლების წარმომადგენლისათვის წინააღმდეგობის გაწევასა და მოქალაქისათვის მსუბუქი ხარისხის დაზიანების მიყენებაში.

პროცესში მონაწილეობას იღებდა პროკურორი და ადვოკატი. სასამართლომ საზოგადოებრივ ბრალმდებლად დაუშვა სკოლის დირექტორი ს. ჯაში, ხოლო საზოგადოებრივ დამცველად კლასის დამრიგებელი პედაგოგი კ. ბექაური. მათი სიტყვა არაფრით არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ორივემ ერთნაირად მოითხოვეს ნ. მაჩაიძის კოლექტივზე აღსაზრდელად გადაცემა.

მე, როგორც ამ პროცესის მონაწილეს მიმაჩნია, რომ რამდენადაც კოლექტივი აყენებდა საკითხს ნ. მაჩაიძის აღსაზრდელად მათზე გადაცემის შესახებ, უფრო ეფექტური იქნებოდა საქმის განხილვაში მონაწილეობა მიეღო საზოგადოებრივ დამცველს. თუ კოლექტივის აზრია დამნაშავეს შეეფარდოს სასჯელის ისეთი ღონისძიება, რითაც იგი უნდა მოწყდეს ამ კოლექტივს, აქ უკვე სრულიად გონივრული იქნებოდა საქმის განხილვაში მხოლოდ საზოგადოებრივი ბრალმდებლის დაშვება.

ამგვარად, ერთდაიმავე წარმოება-დაწესებულებიდან ერთსადაიმავე საქმეზე ორივესი, როგორც საზოგადოებრივი ბრალმდებლის, ისე საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობა გაუმართლებელია პრაქტიკით.

---

[1] იხ. ჟურნ. «Социалистическая законность»,1959 г., № 12, стр. 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ყურადღებას იქცევს საკითხი, თუ როგორ უნდა წარიმართოს კამათი პროცესზე.

ვ. ზლატკოვი იცავს იმ მოსაზრებას, რომ პირველი უნდა გამოვიდეს საზოგადოებრივი ბრალმდებელი. ი. საპოშნიკოვი ამ მოსაზრების წინააღმდეგია. იგი ამბობს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ უმჯობესია ეს საკითხი გადაჭრილ იქნეს ადგილზე. პროკურორმა და საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა, ყველა ცალკე შემთხვევაში უნდა შეათანხმონ ერთმანეთთან საბრალმდებლო სიტყვების გამოსვლის წესი იმის გათვალისწინებით თუ რა ხარისხისაა საქმე და რა ვითარებაა შექმნილი სამსჯავრო სხდომაზე“[1].

ჩვენის აზრით ი. საპოშნიკოვის მოსაზრება არასწორია: მოქმედი პროცესუალური ნორმების მიხედვით მხარეთა კამათის რიგი დადგენილია. საზოგადოებრივი ბრალმდებელი და დამცველი პროცესში მხარეებს არ წარმოადგენენ. მათ არ მოეთხოვებათ საქმეში არსებული მასალების იურიდიული ანალიზი და არც კვალიფიკაციის საკითხი შეადგენს მათი მსჯელობის საგანს. ისინი მოქმედებენ გარკვეული კოლექტივის სახელით და გამოთქვამენ ამ კოლექტივის აზრს დამნაშავის მიმართ.

მართალია, საქმეში მონაწილე პროკურორისა და საზოგადოებრივი ბრალმდებლის, ადვოკატისა და საზოგადოებრივი დამცველის მოქმედება ურთიერთ შეთანხმებული უნდა იყოს, მაგრამ ვინაიდან საზოგადოებრივი ბრალმდებლები და დამცველები გარკვეული კოლექტივის სახელით გამოდიან, რაც თავის მხრივ პროკურორსა და ადვოკატს ავალებს ანალიზი გაუკეთონ მათ მოსაზრებებს, ბუნებრივია, რომ ჯერ უნდა მოვუსმინოთ საზოგადოებრივ ბრალმდებელს, დამცველს, ხოლო მხარეთა კამათი უნდა წარიმართოს ჩვეულებრივად.

ი. საპოშნიკოვის მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროცესის მსვლელობას ხელმძღვანელობენ არა მხარეები, არამედ სასამართლო, ამ უკანასკნელს კი არ უნდა ჰირდებოდეს საზოგადოებრივი ბრალმდებლისა ან დამცველის პროცესში მონაწილეობისას ეძიოს თუ ვისით დაიწყოს კამათი.

5. ზოგიერთნი ფიქრობენ, რომ სასამართლო პროცესი საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის მონაწილეობით შეიძლება მხოლოდ გამსვლელი სესიის პირობებში. ამ მოსაზრებისანი არიან ფ. ბელიაევი და ლ. კოზაკი[2].

სისხლის სამართლის პროცესის სხვა პრინციპებთან ერთად დამახასიათებელია საჯაროობის პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ საქმის განხილვა ხდება საჯაროდ (სახალხოდ), ღია დარბაზში, გარდა იშვიათი გამონაკლისისა.

ამ პირობებში საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის საქმის განხილვაში მონაწილეობა მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლოა.

სასურველია ჩვენს წერილში დაყენებულმა საკითხებმა მიიღოს დაზუსტებული ნორმის სახე და გათვალისწინებულ იქნას საპროცესო კანონმდებლობით.

ადვოკატი ჭ. შარეიძე.

---

[1] იხ. ჟურნ. «Социалистическая законность», 1959 г., № 12, стр. 33.
[2] იხ. ჟურნ. «Социалистическая законность», 1959 г., № 8, стр. 60.

მსოლოდ ქაღალდზე არსებობენ...

თბილისის წისქვილკომბინატის რაზმეული უმოქმედობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში დიდი როლი აკისრიათ სახალხო რაზმეულებს, რომლებშიც ნებაყოფლობით გაერთიანებული არიან წარმოება-დაწესებულებათა აქტივისტები, ჩვენი საზოგადოების მოწინავე და შეგნებული ადამიანები. ისინი წარმატებით იბრძვიან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვისათვის ცუდი ჩვევების მქონე ერთეულების წინააღმდეგ. საზოგადოებრიობის ზეგავლენით უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად შემცირდა დანაშაულობანი. ამ საქმეში დიდი და საპატიო წვლილი შეაქვთ სახალხო რაზმეულებს.

თბილისის 26 კომისრების რაიონის სახალხო რაზმეულთა შტაბს, რომელსაც ზ. გრიგორიანი ხელმძღვანელობს, კარგად აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა და სერიოზულ მუშაობას აწარმოებს რაიონის რაზმეულთა შორის. იგი საგრძნობ დახმარებას უწევს მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებს.

რაიონს ბევრი მოწინავე რაზმეული ჰყავს. აი თუნდაც მექანიკური ქარხანა № 1-ის რაზმეული, რომელსაც ქარხნის დირექტორი გ. ჯაფარიძე ხელმძღვანელობს. რაზმეულთა რაიონული შტაბის დღიურში წერია: „12 იანვარს პირველი მექანიკური ქარხნის რაზმეულის წევრმა გ. ცხოვრებაშვილმა და გ. აბულაძემ ტრამვაიში წესრიგის დარღვევისათვის დააკავეს მოქალაქეები ა. სიმონიშვილი, ა. კაზარიანი, ვ. კაზარიანი, ა. მინასიანი და რაზმეულთა რაიონულ შტაბში მოიყვანეს... 27 იანვარს რაზმეულის წევრებმა ნ. კარაკოსოვმა და ნ. რატიანმა დაიკავეს მოქალაქე ზავოზნოვი, რომელიც მთვრალი დაბარბაცებდა და მათხოვრობდა შაუმიანის მოედანზე".

ბევრი ანალოგიური მაგალითის მოყვანა შეიძლება აგრეთვე სხვა წარმოება-დაწესებულებათა რაზმეულებზეც.

სამწუხაროდ ყვილა რაზმეულის მიმართ როდი ითქმის ასე.

ყოველგვარი შესაძლებლობა აქვს წისქვილკომბინატის რაზმეულს მოწინავეთა რიგებში იყოს. მაგრამ იმის გამო, რომ მათი საქმიანობა ფაქტიურად თვითდინებაზეა მიშვებული, მუშაობაც ჩაშლილია. საკმარისი იყო რაზმეულის უფროსი, პარტბიუროს მდივანი ა. კირილოვი შვებულებაში გასულიყო, რომ რაზმეული უმოქმედო გახდა. რაზმეულის უფროსის მოადგილეები ბ. ხაჩატურიანი და კომკავშირის კომიტეტის მდივანი ო. სარქისოვი კმაყოფილდებიან იმით, რომ შედგენილი აქვთ რაზმელთა სია, სადაც 92 კაცის გვარია აღნიშნული. რას აკეთებენ რაზმეულის წევრები? აქვთ თუ არა თავიანთი საქმიანობის ყოველდღიური ჩანაწერები? ამ კითხვაზე ისინი შემდეგ პასუხს იძლევიან: „ჩანაწერების წიგნაკი პარტბიუროს მდივანთან ინახება, მაგრამ ახლა შვებულებაშია წასული. ანდა რა საჭიროა, ზეპირად გეტყვით ყველაფერს. აი, მაგალითად, ყოველ საღამოს 7 საათიდან ჩვენი რაზმეულიდან 4-5 კაცი მორიგეობს. ძირითადად ჩვენი სამორიგეო ადგილებია შაუმიანის ქუჩაზე და განსაკუთრებით სადგურის მოედნიდან ჩვენს ორგანიზაციამდე. ბევრი წესრიგის დამრღვევი დაუკავებიათ ჩვენს რაზმელებს..." და დამკავებელთა გვარებს ჩამოთვლიან დაუსრულებლად.

სინამდვილეში რაზმეულის უფროსის მოადგილემ ო. სარქისოვმა არ იცის სად მორიგეობენ მისი რაზმელები, ამისათვის მან მეორე მოადგილეს უნდა მიმართოს და როცა ვერც ბ. ხაჩატუროვი იძლევა პასუხს, ეკითხება რაზმეულის წევრებს გუშინ და გუშინწინ რომელი ამხანაგები მორიგეობდნენ და სად. ბ. ხაჩატუროვს „შესანიშნავი" მეთოდი გამოუმუშავებია. სამორიგეოდ გასაგზავნ რაზმელებთან შეხვედრის თავიდან ასაცილებლად. როგორც კი საღამოს ხუთი საათი შესრულდება, იგი სახლისაკენ მიეჩქარება. ბუნებრივია, ასეთი მდგომარეობის შემდეგ რაზმელთა მორიგეობის კონტროლზე ლაპარაკიც ზედმეტია. ბ. ხაჩატუროვმა და ო. სარქისოვმა არ იცოდნენ მიმდინარე წლის 29 მაისს მორიგეობდნენ თუ არა მისი რაზმელები. ო. სარქისოვმა განაცხადა, კი წავიდნენ რაიონულ შტაბში, მაგრამ სად მორიგეობდნენ, არ ვიცი. არ იცოდა ამ დღეს რომელი რაზმელები წავიდნენ სამორიგეოდ. და აი შედეგიც: რაზმელები ფორმალურად გამოცხადდნენ რაიონულ შტაბში, მიიღეს დავალება, ხოლო სამორიგეოდ კი აღარ გასულან.

მათი მორიგეობის დროს, საღამოს 8 საათზე არა ერთი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას ჰქონდა ადგილი. უგონოდ მთვრალი მოქალაქე მოედანზე დაბარბაცებდა და უშვერი სიტყვით იგინებოდა, როდესაც გინება მოსწყინდა, იქვე გაზონში გადაძვრა, ნარგავებზე რბილად გადაწვა და დაიძინა. ძლივს წამოაყენეს იგი და გაზონიდან გაიყვანეს სადგურის მებაღემ ივ. ხანიშვილმა და რკინიგზის მილიციის სერჟანტმა აბ. მეკოშკიშვილმა. აგერ, გაჩერებას № 15 ტრამვაი მოადგა, შემდეგ ყვირილი, გინება და 5-6 მგზავრი ერთმანეთს ეცილებიან უკანა ბაქნიდან გადმოსვლას. იქვე ახლოს 10-15 უსაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუერ ახალგაზრდას მოუყრია თავი, მზესუმზირის ნარჩენებს ტროტუარზე ისვრიან, იფურთხებიან და გამვლელ-გამომვლელს ირონიულად და თავხედურად ჩასცქერიან თვალებში. წისქვილ-კომბინატის რაზმელები კი ადგილზე არ იყვნენ.

შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ასეთი შემთხვევა მხოლოდ ერთ დღეს მოხდა. სამწუხაროდ ასე როდია. მეორე დღეს რაზმელთა რაიონულ შტაბში მთელი ორი საათი ელოდნენ ამ წარმოებიდან რაზმელების გამოცხადებას, ბოლოს კი უიმედოდ ჩაიქნიეს ხელი. ამ დღეს რაიონულ შტაბს წისქვილკომბინატის არცერთი რაზმელი არ გაკარებია.ამის შესახებ ბ. ხაჩატუროვმა და ო. სარჭისოვმა არაფერი იცოდნენ.

რაზმეულის წევრებს ვ. კუზმინს, უშ. დოხტურაშვილს, კ. ჩაპოევს, ე. კოლესნიკოვს, ს. ბახტაძეს უკვე გაცდენილი აქვთ სამი-ოთხი მორიგეობა. ყოველ რაზმელს მორიგეობა თვეში მხოლოდ ერთხელ უწევს, ე. ი. ამ ამხანაგებს სამი-ოთხი თვის განმავლობაში არც გახსენებიათ, რომ რაზმეულის წევრები არიან.

რა წესრიგი უნდა დაიცვას ისეთმა რაზმელებმა, რომლებიც თვით არღვევენ წესრიგს ქუჩებში. ნ. ტრიფონოვმა, რომელიც რაზმეულის წევრია, და მისმა ამხანაგმა მ. პანინმა მიმდინარე წლის 16 თებერვალს 21 საათზე და 30 წუთზე, ფეხსაცმელების ფაბრიკის პირველ სტანდარტულ სახლში დებოში ატეხეს, აგინებდნენ მცხოვრებლებს, ჩაამტვრიეს მოქალაქე მ. ბარნოვას ოთახის კარები, რის გამოც „ვაი რაზმელი“ და მისი ამხანაგი მილიციის მუშაკებმა დააკავეს და განყოფილებაში წარადგინეს. ამ „რაინდების“ საქმე გადაეცა ამხანაგურ სასამართლოს, მაგრამ რა ზომები იქნა მიღებული მათ მიმართ, დღემდე მილიციისათვის არ უცნობებიათ.

რაზმეულები საზოგადოებრივი ზემოქმედების ერთერთი საუკეთესო საშუალებაა. მათ დიდი როლი შეუძლიათ შეასრულონ სოციალისტური წესრიგის დაცვისა და დანაშაულობათა აღმოფხვრაში, ეს შემდგომში კარგად უნდა გაითვალისწინონ წისქვილკომბინატის ნებაყოფლობითი რაზმეულის ხელმძღვანელობამ და 26 კომისრის ნებაყოფლობითი რაზმეულის შტაბმა.

შ. ესიტაშვილი

არცერთი დარღვევა და დანაშაული რაზმეულთა რეაგირების გარეშე

არცერთი დარღვევა და დანაშაული რაზმეულთა რეაგირების გარეშე, საზოგადოების ზემოქმედების გარეშე — ასე გადაწყვიტა ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების წევრთა რაიონულმა შეკრებამ პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოს მუშაკებთან ერთად, რომელიც შედგა 1960 წლის 3 ივლისს, ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში.

შეკრებაზე მოხსენებით „რაიონის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მიერ ჩატარებული მუშაობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, გამოვიდა პარტიის თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი, სახალხო რაზმეულების რაიონული შტაბის უფროსი ბ. სალუქვაძე.

თავის მოხსენებაში ბ. სალუქვაძემ აღნიშნა, რომ ახორციელებენ რა პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 მარტის დადგენილებას „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ“, რაიონის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები, პარტიულ, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით მნიშვნელოვან მუშაობას ატარებენ რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და დანაშაულობათა გაზოვლინებათა აღკვეთის საქმეში. ამჟამად რაიონში მოქმედებს 62 სახალხო რაზმეული, რომლებშიც გაერთიანებულია 300-მდე რაზმეული.

ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან ტროლეიბუსების სამმართველოს სახალხო რაზმეული (მეთაური სამმართველოს პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. ხეთაგური), მაუდ-კამვოლის კომბინატის სახალხო რაზმეული (მეთაური კომბინატის პარტკომის მდივანი ამხ. გ. გამცემლიძე), პოლიტექნიკური ტექნიკუმის (მეთაური ტექნიკუმის პარტბიუროს მდივანი ამხ. შ. ფირცხალავა), რაიონულ შტაბთან არსებული ნაკრები სახალხო რაზმეული (მეთაური ამხ. ი. ბაღათურია), ტრამვაის სამმართველოს სახალხო რაზმეული (მეთაური ტრამვაის სამმართველოს პარტკომი ამხ. ვ. პატარაია), საბინაო სამმართველოს სახალხო რაზმეული (მეთაური საბინაო სამმართველოს პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. მარშანია), კარგად დაიწყეს მუშაობა ახლად შექმნილმა სახალხო რაზმეულებმა რესპუბლიკის სტომატოლოგიურ პოლიკლინიკასთან (მეთაური მთ. ექიმი ამხ. ვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყვარელიძე), მალარიისა და მედპარაზიტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, (მეთაური, ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ამხ. კ. თოფურია), ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან (მეთაური ინსტიტუტის დირექტორი, დოც. ამხ. კ. ლომინაძე).

ტროლეიბუსების სამმართველოს სახალხო რაზმეულმა თავისი არსებობის მანძილზე გამოავლინა წესრიგის დარღვევის 975 ფაქტი. აქტიური მუშაობით თავი ისახელეს ამ რაზმეულების წევრებმა, ამხანაგებმა: კარანაძემ, სოზიაშვილმა, სვანიძემ და სხვებმა. ასევე კარგად ასრულებენ თავის მოვალეობას სახალხო რაზმელები ამხანაგები: ჯორბენაძე (კინოსტუდია, „ქართული ფილმიდან), ბ. დანელია (თამბაქოს № 2 ფაბრიკიდან), ჩეკურიშვილი, ძოწენიძე (მაუდ-კამვოლის კომბინატიდან) და მრავალი სხვა.

1960 წლის განმავლობაში სახალხო რაზმელთა მიერ სხვადასხვა სახის დარღვევისათვის გაფრთხილებულ იქნა 1500-ზე მეტი კაცი, აქედან მილიციის განყოფილებაში მიყვანილი და შემდგომ ოსსლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა 10 კაცი.

საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში დადებით როლს ასრულებს რაიონული შტაბის ორგანო სატირული გაზეთი „მათრახი". უკანასკნელ ხანებში გაუმჯობესდა რაიონული შტაბის და სახალხო რაზმეულების კავშირი რაიონის მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებთან.

ამასთან ერთად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახალხო რაზმეულების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. სახალხო რაზმეულებისა და რაზმელთა დიდი ნაწილი ფორმალურად ეკიდება დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, გაურბის წესრიგის უხეშ დამრღვევთა და დამნაშავეთა მხილებას და მათზე კონკრეტული ზომების მიღებას. ასეთი პასიურობის გამო რაიონში არ მცირდება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების და დანაშაულობათა ფაქტები (განსაკუთრებით საშიში ხასიათის დანაშაულობათა შემთხვევები). არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა აღზრდის საკითხი. სახალხო რაზმელები და მათი შტაბები უმეტეს შემთხვევაში არ უგზავნიან მასალებს სათანადო რეაგირებისათვის წარმოება-დაწესებულებებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა და დამნაშავეთა მიერ ჩადენილ ფაქტებზე.

სახალხო რაზმელები ნაკლებ მონაწილეობას ღებულობენ სახალხო და ამხანაგურ სასამართლოების მუშაობაში, საქმეების განხილვის დროს არ გამოდიან, როგორც საზოგადოებრივი ბრალმდებლები.

სახალხო რაზმეულების მუშაობაში მონაწილეობას არ ღებულობენ ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი მუშაკები, (თამბაქოს № 1 ფაბრიკა, საგზაო მშენებლობის სამმართველო და სხვ.). საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში ნაკლებად არიან ჩაბმული პენსიონერები და საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ოფიცრები.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდნენ: ამხ. ამხ. გ. გამცემლიძე (მაუდ-კამვოლის კომბინატის პარტკომის მდივანი და სახალხო რაზმეულის მეთაური), ვ. ფონია (რაიონის პროკურორი), ე. ტეტუნაშვილი (ტრამვაის სამმართველოს რაზმელი), ზ. კურმაევა (სატირული გაზეთ „მათრახის" რედკოლეგიისა და რაიონული შტაბის წევრი), ვ. ბართაია (პოლიტექნიკური ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ტექნიკუმის რაზმეულების შტაბის წევრი), თ. გერსამია (სახალხო მოსამართლე) და სხვები.

რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით სახალხო რაზმელთა რაიონულმა შეკრებამ მიიღო რეზოლუცია.

რაიონული შტაბის გადაწყვეტილებით, წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელებთან, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, რაიონულ შეკრებაზე ფასიანი საჩუქრები გადაეცათ 31 სახალხო რაზმელს, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. ფასიანი საჩუქრები დაჯილდოებულთ გადასცა პარტიის თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანმა, სახალხო რაზმეულების რაიონული შტაბის უფროსმა ბ. სალუქვაძემ. შეკრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ გ. ბიწაძემ, საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. გოშაძემ, რესპუბლიკისა და ქალაქის მილიციის სამმართველოს წარმომადგენლებმა.

ა. ბროკიშვილი,
საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის ინსტრუქტორი, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რაიონული შტაბის წევრი.

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების

მუშაობის პრაქტიკა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 26 მარტის დადგენილება

სამოქალაქო საკოლმეურნეო საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ

საკოლმეურნეო წყობილების განვითარება და საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა: სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რეორგანიზაცია, სოფლის მეურნეობაში დაგეგმვის წესის შეცვლა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ახალი წესი და პირობები, რჩევის მიცემა კოლმეურნეობებისათვის შეცვალონ და შეავსონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ცალკეული დებულებები — მთელ რიგ ახალ ამოცანებს აყენებს სასამართლოების წინაშე სამოქალაქო საკოლმეურნეო საქმეთა გადაწყვეტილებას. ამ პირობებში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 5 მაისის დადგენილებამ „სამოქალაქო საკოლმეურნეო საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მრავალმხრივ დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

სამოქალაქო საკოლმეურნეო საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ სასამართლოების წინაშე ამ საქმეთა განხილვისას წამოიჭრა ახალი საკითხები, რომლებზედაც აუცილებელია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტება.

სასამართლოები, ძირითადად სწორად წყვეტენ რა ქონებრივ დავებს საკოლმეურნეო საქმეებზე, რიგ შემთხვევებში უშვებენ სერიოზულ შეცდომებს. ზოგიერთი სასამართლო სათანადოდ არ აფასებს კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ შესწორებებით, ცვლილებებითა და დამატებებით მიღებულ და რაიაღმასკომში რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მნიშვნელობას. სასამართლოები ყოველთვის არ იღებენ მხედველობაში, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელი — ეს კოლექტიური მეურნეობაა, სადაც თვით არტელის წევრები განაგებენ არტელის პროდუქტებსა და ქონებას, და ამიტომ არასწორად გამოაქვთ გადაწყვეტილება მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეთა საერთო კრებამ გაანთავისუფლა ბრალეული პირი ამ ზარალის ანაზღაურებისაგან. არის შემთხვევები, როცა კოლმეურნეობის თანამდებობის პირებს არასწორად ეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა მათ მიერ სამეურნეო საქმიანობაში ცალკეული დარღვევებისა და ნაკლოვანებებისათვის.

იხილავენ რა საქმეებს კოლმეურნეობების მიმართ ცალკეულ მოქალაქეთა ისეთი სარჩელების გამო, რომლებიც გამომდინარეობენ ხელშეკრულებებიდან, სასამართლოები ზოგჯერ აკმაყოფილებენ ასეთ სარჩელებს ამ ხელშეკრულებათა კანონიერებისა და შესრულებულ სამუშაოზე მომხდარი ანგარიშსწორების სისწორის შემოწმების გარეშე. ადგილი აქვს ფაქტებს, როცა სასამართლოები უსაფუძვლოდ არ აკმაყოფილებენ კოლმეურნეთა კანონიერ მოთხოვნებს.

მრავალი შეცდომა, რომელსაც სასამართლოები უშვებენ სამოქალაქო საკოლმეურნეო საქმეთა განხილვისას, წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა დაუცველობის შედეგს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ა დ გ ე ნ ს:

1. მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ საკოლმეურნეო საკუთრების ყოველმხრივი დაცვა და კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ქონებრივი უფლებების დაცვა სასამართლოს ერთერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს, რომლის შესრულებასაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში.

ამასთან ერთად, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ინტერესების ყოველმხრივი დაცვა შეხამებული უნდა იქნას საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებთან, რაც მოითხოვს დისციპლინის განმტკიცებას კოლმეურნეობათა და სახელმწიფო ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულების საქმეში და კოლმეურნეობებისაგან სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულებების ზუსტად შესრულებას.

2. განემარტოს სასამართლოებს, რომ სამოქალაქო საკოლმეურნეო საქმეთა გადაწყვეტისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ თვით არტელის წევრები განაგებენ არტელის პროდუქტებსა და ქონებას და წარმართავენ არტელის საქმიანობას საბჭოთა ხელისუფლების კანონების, პარტიისა და მთავრობის გადწყვეტილებების შესაბამისად. სახელმწიფოს, კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ინტერესებისათვის, და რომ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ შეტანილი შესწორებებით, ცვლილებებითა და დამატებებით, რეგისტრირებული რაიაღმასკომში, წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმიანობის ძირითად კანონს.

სამოქალაქო საკოლმეურნეო საქმეთა განხილვისას სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ მოქმედი კანონმდებლობითა და მოცემული კოლმეურნეობის წესდებით.

კოლმეურნეობის წესდების ზოგიერთ დებულებასა და კანონს შორის წინააღმდეგობის არსებობის დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს მოქმედი კანონით და ამასთან რაიაღმასკომის წინაშე კერძო დადგენილებით უნდა დასვას საკითხი კოლმეურნეობის წესდების კონკრეტული პუნქტის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობის შესახებ.

3. სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივი დაწესებულებებიდან, საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან, აგრეთვე ცალკეულ პირებიდან კოლმეურნეობების სასარგებლოდ დავალიანების ამოღების შესახებ საქმეებზე სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ შემდეგი:

ა) სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ კოლმეურნეობებისაგან ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ფურაჟისა და პირუტყვის ღირებულება გადახდევინებულ უნდა იქნას კოლმეურნეობების სასარგებლოდ მხარეთა შეთანხმებით დაწესებული ფასების მიხედვით.

ბ) თესლეული, ფურაჟი და სხვა საკოლმეურნეო ქონება, რაც კოლმეურნეობებმა სესხად მისცა სხვა კოლმეურნეობებს ან სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, უნდა გადახდეთ მოვალეებს ნატურით; მოსარჩელის მხრივ თანხმობის შემთხვევაში დასაშვებია ფულადი კომპენსაციის დაკისრება დაუბრუნებელი პროდუქტების სახელმწიფო საცალო ფასების მიხედვით, ხოლო თუ ქონებაზე არ არის დაწესებული სახელმწიფო საცალო ფასები, მაშინ იმ ფასების მიხედვით, რაც მოცემული ადგილის ბაზარზე არსებობდა სარჩელის წარდგენის დღისათვის.

გ) პროდუქტები, პირუტყვი და სხვა ქონება, რომელიც მიღებული აქვთ კოლმეურნეობებიდან ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს უსასყიდლოდ ან აშკარად დაწეული ფასით, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევით, უნდა გადახდევინებულ იქნას კოლმეურნეობების სასარგებლოდ ნატურით, ხოლო კოლმეურნეობამ ქონებისათვის გადახდევინებული ფული უნდა დაუბრუნოს მოპასუხეს. მოსარჩელის მხრივ თანხმობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დააკისროს მოპასუხეს პროდუქტების ან ქონების ღირებულების გადახდა სახელმწიფო საცალო ფასების მიხედვით, ხოლო თუ ქონებაზე არ არის დაწესებული სახელმწიფო საცალო ფასები, მაშინ იმ ფასების მიხედვით, რაც მოცემული ადგილის ბაზარზე არსებობდა სარჩელის წარდგენის დღისათვის.

4. პირები და ორგანიზაციები, რომლებმაც თვითნებურად დაამუშავეს კოლმეურნეობის კუთვნილი მიწა ან თვითნებურად აიღეს მოსავალი ან თივა საკოლმეურნეო მიწის ნაკვეთიდან, კოლმეურნეობის წინაშე ქონებრივად პასუხისმგებელნი არიან მიყენებული ზარალისათვის და სასამართლოებმა უნდა დაკმაყოფილონ კოლმეურნეობათა სარჩელები საკოლმეურნეო ნაკვეთიდან აღებული მოსავლის ან თივის ნატურით გადახდევინების შესახებ, ხოლო თუ ნატურით ამოღება შეუძლებელია, უნდა მიუსაჯონ მათი ღირებულების გადახდა სახელმწიფო საცალო ფასების მიხედვით; იმ შემთხვევაში, როცა აღებულ პროდუქციაზე არ არის დაწესებული სახელმწიფო საცალო ფასები, — იმ ფასების მიხედვით, რაც მოცემული ადგილის ბაზარზე არსებობდა სარჩელის წარდგენის დღისათვის.

პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებმაც თვითნებურად გამოიყენეს კოლმეურნეობის მიწა, არა აქვთ უფლება კოლმეურნეობიდან აინაზღაურონ მიწის ნაკვეთის დამუშავებაზე გაწეული შრომა და დახარჯული თესლეული.

5. საკოლმეურნეო კომლის საკარმიდამო ნაკვეთის შემცირებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების გადწყვეტისას სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ პირები, რომლებმაც მიწის ნაკვეთი დაამუშავეს ამ ნაკვეთის ჩამოჭრის შესახებ კოლმეურნეობის გადწყვეტილების შემდეგ, კოლმეურნეობის წინაშე ქონებრივად პასუხისმგებელნი არიან როგორც კოლმეურნეობის კუთვნილი მიწის თვითნებურად დამმუშავებელნი.

ისეთ შემთხვევაში კი, როცა საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობის შემცირების შესახებ გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვეტილება გამოტანილია ნაკვეთის დამუშავებისა და დათესვის შემდეგ, კოლმეურნეობის სარჩელები ამ ნაკვეთზე აღებული მოსავლის ან მისი ღირებულების გადახდევინების შესახებ არ უნდა იქნას დაკმაყოფილებული.

6. კოლმეურნეობის მიერ ორგანიზაციებთან ან მოქალაქეებთან დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სარჩელების განხილვისას სასამართლოები ვალდებული არიან შეამოწმონ ხელშეკრულების კანონიერება და უკეთუ აღმოჩნდება, რომ ის ეწინააღმდეგება კანონს ან არღვევს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, ჩათვალონ ბათილად იმ შედეგებით, რაც აღნიშნულია მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებში.

ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც პირდაპირი ან მალული ფორმით მიმართულნი არიან ცალკე ორგანიზაციებისა და პირების სარგებლობაში საკოლმეურნეო მიწების ფასით გადაცემისაკენ, რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 30 და 147 მუხლებისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების საფუძველზე ცნობილ უნდა იქნას ბათილად, ხოლო საკოლმეურნეო მიწების გამოყენების შედეგად მოიჯარადრის მიერ მიღებული შემოსავალი, აგრეთვე ის საიჯარო გადასახადი, რაც კოლმეურნეობამ გაცემული მიწისათვის მიიღო, უნდა ჩარიცხულ იქნას სახელმწიფო შემოსავალში.

7. საკოლმეურნეო ნათესების წანახედით მიყენებული ზარალის ანაზღაურება ხდება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესების წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულებით დადგენილი წესით და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად თანხისა და ჯარიმის იძულებითი გადახდევინების წესის შესახებ.

პირუტყვის მეპატრონეებს შეუძლიათ წარუდგინონ სარჩელი მწყემსებსა და სხვა პირებს, რომელთა პასუხისმგებლობის ქვეშ იმყოფება პირუტყვი, იმ ზარალის ანაზღაურებაზე, რაც კოლმეურნეობას გადაუხადეს წანახედის გამო. ამ შემთხვევებში კოლმეურნეობის წევრ მწყემსების მატერიალური პასუხისმგებლობა უნდა განსაზღვრულ იქნას სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით, რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 403 და 411 მუხლებით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით, ხოლო იმ მწყემსებისათვის, რომლებიც კოლმეურნეობის წევრები არ არიან, — რსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 83 და 83[6] მუხლებითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსების შესაბამისი მუხლებით.

8. კოლმეურნის მიმართ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების საფუძველზე გადახდევინების შეფარდება არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 403 მუხლითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას კოლმეურნეს დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა საკოლმეურნეო ქონებისადმი უყაირათო მოპყრობისათვის ან დაუდევარი მუშაობისათვის, უკეთუ ამას შედეგად მოყვა საკოლმეურნეო ქონების დაღუპვა, გაფუჭება ან დაკარგვა, და უკეთუ ამ საკითხზე გამოტანილია კოლმეურნეობის მმართველობის კომპეტენტური ორგანოს (კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების, კოლმეურნეთა მიერ არჩეულ ნდობით აღჭურვილ პირთა, რწმუნებულთა კრების, ან ბრიგადის წევრთა კრების) გადაწყვეტილება.

ასეთ შემთხვევებში ასანაზღაურებელი ზარალის ოდენობა უნდა განისაზღვროს კოლმეურნეობისათვის მიყენებული ნამდვილი ზარალის და არა ანაცდენი მოგების მხედველობაში მიღებით, და იმ კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით, რომელშიც მიყენებული იქნა ზარალი, ასევე კოლმეურნეობის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით (რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 410-411 მუხლები და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები).

რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 411 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნას კოლმეურნეებისაგან იმ მატერიალური ზარალის ამოღების დროს, რაც მათ მიაყენეს კოლმეურნეობას პირუტყვის დაღუპვით, აგრეთვე იმ ზარალის ამოღებისას, რაც მიყენებულ იქნა სატყეო წესების დარღვევით.

კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, ბრიგადირების, ფერმის გამგეებისა და კოლმეურნეობის სხვა თანამდებობის პირთა მიმართ კოლმეურნეობების მიერ ზარალის ანაზღაურების შესახებ აღძრული სარჩელების გამო საქმეთა განხილვისას აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული, რომ კოლმეურნეობის თანამდებობის პირთა საქმიანობა ხშირად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების რთულ პირობებში და დაკავშირებულია ნორმალურ ხაწარმოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისკთან, ამიტომ ამ პირებს არ შეიძლება დაეკისროთ მატერიალური პასუხისმგებლობა კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობაში დაშვებული ყოველგვარი დარღვევისათვის, უკეთუ არ იქნება დადგენილი მათი უშუალო ბრალი ზარალის მიყენებაში.

10. სასამართლოებმა თავის წარმოებაში არ უნდა მიიღონ საქმეები ბრალეულ პირთა მიერ მიყენებული ზარალის კოლმეურნეობის სასარგებლოდ გადახდევინების შესახებ, უკეთუ ამ საკითხზე წინასწარ არ არის გამოტანილი იმ ორგანოს გადაწყვეტილება, რომელსაც მოცემული კოლმეურნეობის წესდებით მინიჭებული აქვს აღნიშნული საკითხის გადაჭრის უფლება (კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება, კოლმეურნეთა მიერ არჩეულ ნდობით აღჭურვილ პირთა, რწმუნებულთა კრება, ან ბრიგადის წევრთა კრება).

11. იმ ზარალის ანაზღაურების საქმეებზე, რაც მიადგა კოლმეურნეს კოლმეურნეობაში მუშაობის დროს მის მიერ მიღებული დასახიჩრების შედეგად, სასამართლოები ვალდებული არიან გულმოდგინედ გამოარკვიონ, თუ რა გარემოებებში მოხდა უბედური შემთხვევა, მოყვა თუ არა მას და რა ხარისხით შრომისუნარიანობის დაკარგვა და როგორია ამ დასახიჩრებიდან მოსარჩელეს მატერიალური ზარალი. კოლმეურნეობის არასწორი მოქმედების შედეგად კოლმეურნის მიერ მიღებული დასახიჩრებისათვის კოლმეურნეობის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 403 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით. ასეთ შემთხვევებში ასანაზღაურებელი ზარალი მიესჯება პერიოდული ნატურალური ან ფულადი გადახდით, მაგრამ არა შრომადღეების სახით. გადასახადის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს იმ შემოსავლის მიხედვით, რაც დაკარგა მოსარჩელემ დასახიჩრებასთან დაკავშირებით.

იმ ზარალის ოდენობის გამოანგარიშების დროს, რაც მიადგა დასახიჩრების შედეგად კოლმეურნეს, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ კოლმეურნეთა ძირითად შემოსავალს წარმოადგენს ის შემოსავალი, რასაც ისინი იღებენ კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობისათვის, და ამიტომ მეორეხარისხოვანი შემოსავალი, რაც არ არის დაკავშირებული საკოლმეურნეო მეურნეობაში მუშაობასთან, მათ შორის საკარმიდამო ნაკვეთიდან მიღებული შემოსავალი, ანგარიშში არ მიიღება.

პენსია და დახმარება, რასაც კოლმეურნეობა უხდის დაზარალებულს, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღო ასანაზღაურებელი ზარალის ოდენობის განსაზღვრისას.

მომეტებული საფრთხის წყაროს მხრივ კოლმეურნისათვის მიყენებულ დასახიჩრებაზე ამ წყაროს მესაკუთრის პასუხისმგებლობა განისაზღვრება რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 404 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსის სათანადო მუხლებით.

იმ პირთა დასახიჩრებისათვის, რომლებიც მუშაობენ შრომითი ხელშეკრულებით და რომელთა მაგივრადაც კოლმეურნეობამ უნდა შეიტანოს სადაზღვევო გადასახადი, კოლმეურნეობის პასუხისმგებლობა განისაზღვრება რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 413 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

12. სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ დავები, რომლებიც დაკავშირებულია კოლმეურნეობებში გამომუშავების ნორმების, სამუშაოების შრომადღეებში ან ფულად შეფასების დადგენასთან, იმ პროდუქტებისა და ფულის რაოდენობის განსაზღვრასთან, რაც უნდა მიეცეს კოლმეურნეებს შრომადღეებზე ძირითადი ან დამატებითი ანაზღაურების სახით, გადაწყვეტილ უნდა იქნას სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა საერთო კრების მიერ და არ შეიძლება გახდეს სასამართლოს განხილვის საგნად. კოლმეურნეთა სარჩელები შრომადღეებზე პროდუქტებისა და ფულის გადახდევინების შესახებ შეიძლება განხილულ იქნას სასამართლო ორგანოების მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომადღეები, რომლის ანაზღაურებაზე წარმოდგენილია სარჩელი, მიღებულია გადასახდელად კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, მაგრამ იგი უარს ამბობს შრომადღეებზე ხვედრი პროდუქტების და ფულის გაცემაზე.

კოლმეურნეთა სარჩელები შესრულებული სამუშაოებისათვის ფულადი თანხის გადახდევინების შესახებ იმ კოლმეურნეობების მიმართ, რომლებიც გადასული არიან შრომის ფულად ანაზღაურებაზე, განიხილება სასამართლოს მიერ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა კოლმეურნეთა მიერ შესრულებული სამუშაო კოლმეურნეობის გამგეობის მიერ მიღებულია გადასახდელად და ამ სამუშაოსათვის ფული დარიცხულია, მაგრამ რაიმე მიზეზით არ არის გადახდილი.

ამ საქმეთა გადაწყვეტისას სასამართლომ საქმის წინასწარი მომზადების წესით უნდა მოთხოვოს მოსარჩელეს წარმოადგინოს საქმეზე დასართავად კოლმეურნეობის ცნობა მოსარჩელეს მიერ გამომუშავებულ შრომადღეებზე, რომლის საფასურიც არ არის განაღდებული კოლმეურნეობის მიერ, და იმაზე თუ რამდენი ფული და პროდუქტი ერგება მას, ან ცნობა დარიცხულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხაზე შრომის ფულადი ანაზღაურების დროს. იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელეს უჭირს ამ დოკუმენტების წარმოდგენა, სასამართლო ვალდებულია თვით გამოითხოვოს ეს ცნობები კოლმეურნეობის გამგეობიდან.

შრომადღეების ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისას სასამართლომ კოლმეურნეობას უნდა დააკისროს შემოსავლის იმ ფულადი და ნატურალური ნაწილის გადახდა, რაც ერგება მოსარჩელეს, ამავე დროს გადაწყვეტილებაში ზუსტად უნდა იქნას მითითებული სახელდობრ რა რაოდენობის პროდუქტი უნდა მიეცეს შრომადღეებზე მოსარჩელეს.

უკეთუ სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის კოლმეურნეობიდან პროდუქტების ნატურით ამოღება შეუძლებელია, სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს კოლმეურნეობა მისცეს მოსარჩელეს პროდუქტები მომავალი წლის მოსავლიდან ან გადაახდევინოს კოლმეურნეობას პროდუქტების ღირებულება სახელმწიფო საცალო ფასების მიხედვით, ხოლო თუ პროდუქტებზე სახელმწიფო ფასები არ არის დაწესებული, მაშინ იმ ფასების მიხედვით, რაც მოცემული ადგილის ბაზარზე არსებობდა სარჩელის წარდგენის დღისათვის.

13. სწავლებასთან დაკავშირებით გაღებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ კოლმეურნეობების სარჩელები იმ კოლმეურნეთა მიმართ, რომლებიც კოლმეურნეობების მიერ გაგზავნილი იყვნენ სასწავლებლად და საპატიო მიზეზის გარეშე არ დაბრუნდნენ კოლმეურნეობაში სამუშაოდ, შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას სასამართლოების მიერ მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა კოლმეურნეებმა შესაბამისად თავის თავზე აიღეს ვალდებულება ან ასეთი ქონებრივი პასუხისმგებლობა სპეციალურად იყო გათვალისწინებული კოლმეურნის სასწავლებლად გაგზავნის დროს კოლმეურნეობის მიერ მასთან დადებული შეთანხმებით.

14. განემარტოთ სასამართლოებს, რომ კოლმეურნეობას უფლება აქვს კოლმეურნეობის არაწევრებს, რომლებიც კოლმეურნეობის ნებართვით საკოლმეურნეო საძოვრებით სარგებლობენ, გადაახდევინოს ფულადი საზღაური საძოვრებისა და წყალსაწყურების შესანახი ხარჯების ასანაზღაურებლად. ასეთი სარჩელების განხილვის დროს სასამართლოებმა უნდა გამოარკვიონ ეთანაბრება თუ არა ამ ხარჯებს ის თანხა, რასაც მოითხოვს კოლმეურნეობა მოპასუხისაგან; საჭირო შემთხვევებში სასამართლოებმა სადაო საბჭოდან ან რაიაღმასკომიდან უნდა გამოითხოვონ ცნობები საძოვრით სარგებლობისათვის კოლმეურნეობის მიერ დაწესებული გადასახადის სიხშირის შემოწმების შედეგის შესახებ.

ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 21 სექტემბრის № 2457 დადგენილების შესაბამისად, ის თანხა, რაც უნდა გადახდეთ საკოლმეურნეო საძოვრებით სარგებლობისათვის სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, მასწავლებლებს, მედიცინის მუშაკებს, აგრეთვე სხვა მუშაკებს, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია საკოლმეურნეო წარმოების მომსახურებასთან, არ შეიძლება აღემატებოდეს 150 მანეთს ერთ სეზონზე ერთი ძროხისათვის. გაანგარიშების ასეთივე წესი უნდა იქნას გამოყენებული აღნიშნულ პირთა მიმართ კოლმეურნეობების სარჩელების განხილვის დროს პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით მათ მიერ მუშაობის შეწყვეტის შემთხვევაში.

15. განემარტოთ სასამართლოებს, რომ საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების ქონებრივი დავები სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან ექვემდებარება სასამართლოს და ამიტომ სასამართლოებმა უნდა მიიღონ თავიანთ წარმოებაში.

16. საკოლმეურნეო ქონების დაბრუნებაზე ან დავალიანების გადახდევინებაზე ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და პირების მიმართ კოლმეურნეობების სარჩელების საქმეთა განხილვისას სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ თუმცა ასეთ სამართლებრივ ურთიერთობებზე ვრცელდება სარჩელის ხანდაზმულობის საერთო ვადები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასამართლომ ყოველთვის უნდა განიხილოს სარჩელის ხანდაზმულობის ვადის გაშვების მიზეზების საკითხი. სარჩელის ხანდაზმულობის ვადის გაშვების საფუძვლიან მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს: თანამდებობის პირთა უკანონო ჩარევა კოლმეურნეობის საქმეში, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის ან წევრების მხრივ თანამდებობის ბოროტად გამოყენება, არეულობა აღრიცხვაში და სხვა გარემოებანი, რამაც კოლმეურნეობის ბრალის გარეშე გამოიწვია სარჩელის წარდგენის დაყოვნება.

17. საგზაო მშენებლობაში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის კოლმეურნეობების მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს მოკავშირე რესპუბლიკების იმ კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც აღნიშნულ საკითხზე მიღებულია — „საავტომობილო გზების მშენებლობასა და შეკეთებაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო სამშენებლო საწარმოების და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 26 ნოემბრის „ბრძანებულების საფუძველზე.

18. სასამართლოების ყურადღება მიექცეს იმას, რომ სამოქალაქო საკოლმეურნეო საქმეთა დროული და სწორი გადაწყვეტა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამოქალაქო სამართლებრივ პროცესუალური კანონმდებლობის ზუსტად და განუხრელად დაცვაზე.

აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საქმის მოსმენისათვის წინასწარ მომზადებას, სასამართლოში გამოსვლაზე კოლმეურნეობების წარმომადგენელთა უფლებამოსილების შემოწმებას და საქმის მოსმენის დღის დროულად შეტყობინებას მხარეთათვის.

რჩევა მიეცეთ სასამართლოებს განსაკუთრებით რთულ საქმეებზე მოითხოვონ მოსარჩელისაგან წარმოადგინოს სასარჩელო მასალის ასლი მოპასუხისათვის ჩასაბარებლად.

იმ სარჩელებზე, რომლებიც კოლმეურნეობის არსებით ინტერესებს ეხება, სასამართლოებმა რსფსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 12 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლების წესით სავალდებულოდ უნდა მიიჩნიონ საქმეში პროკურორის მონაწილეობა.

სასამართლოს გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შეიცავდეს დამამტკიცებელი საბუთებისა და მოტივების გადმოცემას, რომელთა მიხედვითაც სასამართლო მივიდა სარჩელის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის დასკვნამდე, ამავე დროს მასში მითითებული უნდა იყოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და სხვა კანონების მუხლები, რომელთა საფუძველზედაც სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება.

საკასაციო ინსტანციის დადგენილებაში მოყვანილი უნდა იქნას ამომწურავი მოტივები, რომლითაც ზემდგომი სასამართლო აუქმებს ან სცვლის სასამართლოს გადაწყვეტილებას, ანდა რომელთა საფუძველზედაც სასამართლო უშედეგოდ ტოვებს საკასაციო საჩივარს.

საჭირო შემთხვევებში სასამართლომ უნდა გამოიტანოს კერძო დადგენილებები კოლმეურნეობებისა და თანამდებობის პირთა სამეურნეო საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების თაობაზე და ამის შესახებ აცნობოს სათანადო ორგანოებს.

19. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალდაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 5 მაისის № 9 (8) უ დადგენილება „სამოქალაქო საკოლმეურნეო საქმეებზე სასამართლოს პრაქტიკის შესახებ".

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე — ა. გორკინი
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი — ი. გრიშანინი.

გაღაჭრით ვებრძოლოთ დამნაშავეობას ახალგაზრდობაში

ჩვენს ქვეყანაში მინიმუმამდეა დაყვანილი არასრულწლოვანთა მხრივ დანაშაულის ჩადენის შემთხვევები. მაგრამ სამწუხაროდ ჯერ კიდევ აქვს ადგილი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის მიერ სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევის, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ფაქტებს. ეს იმის შედეგია, რომ ახალგაზრდობის ერთი ნაწილი არ არის ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, თავს არიდებს სწავლას. ყოველივე ამის წინააღმდეგ კი არასაკმაოდ იბრძვის ოჯახი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები, საწარმოები და დაწესებულებები. ისინი არ ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს ახალგაზრდობის აღზრდისათვის სოციალისტური ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

სრულიად რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის III ყრილობაზე, მიმართავდა რა ახალგაზრდობას, ვ. ი. ლენინი ამბობდა: „თქვენ უნდა აღზარდოთ თქვენი თავი კომუნისტებად. ახალგაზრდობის კავშირის ამოცანაა, ისე მოაწყოს თავისი პრაქტიკული

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმ[illegible]ობა, რომ ამ ახალგაზრდობამ [illegible]ულოს, დაირაზმოს, შეკავშირდეს, [illegible]ქოლოს და ამ გზით აღზარდოს თა[illegible]ი თავი და ყველა ის, ვინც მასში [illegible]ინამძღოლს ხედავს, აღზარდოს კომუ[illegible]ისტები. საჭიროა რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას"[1].

ასრულებს რა ამ მითითებებს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ფართოდ გაშლის გზით იბრძვის ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების დასაძლევად, სისხლის სამართლის წესით სჯის იმ პირებს, რომელთა მიმართ აღმზრდელობითი ზომების მიღება საკმარისი არ არის.

ახალი კანონმდებლობით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა პიროვნებებს შეიძლება დაეკისროს 16 წლის ასაკიდან, ხოლო ისეთი სახის დანაშაულთათვის, როგორიცაა: ქურდობა, მკვლელობა, სხეულის დაზიანება და ზოგიერთი სხვა დანაშაულობებისათვის — 14 წლის ასაკიდან. ეს იმას როდი ნიშნავს, თუ ამ ასაკის დადგომამდე მცირეწლოვანმა დანაშაული ჩაიდინა, მის მიმართ არ იქნას მიღებული ზომები. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1935 წლის 31 მაისის კანონით მნიშვნელოვნად გაიზარდა მშობელთა და მეურვეთა პასუხისმგებლობა. მცირეწლოვანთა მხრივ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენისათვის. არასრულწლოვანნი, როცა აუცილებელი არ არის მათი სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემა, შესაძლოა გაიგზავნონ არასრულწლოვან ბავშვთა სახლებში ან შრომაგამასწორებელ კოლონიებში. ამავე კანონით გაზრდილია განათლების და მილიციის ორგანოების როლი არასრულწლოვანთა, უზენაესი მხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ამჟამად, როდესაც ხორციელდება ღონისძიებანი სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთა და დამნაშავეთა წინააღმდეგ საზოგადოებრიობის როლის ამაღლებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბრძოლას არასრულწლოვანთა მხრივ დანაშაულებრივი ქმედობის გამოვლინებისათვის. თვითეული დარღვევა აუცილებელია გავხადოთ კოლექტივებისა და სათანადო ორგანოების მსჯელობის საგნად. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მათ მიმართ აღმზრდელობითი სახის ყველა ღონისძიება. მოთმინებით უნდა ვადევნოთ თვალყური მათ მოქმედებას, ვასწავლიდეთ, ვზრდიდეთ საზოგადოებისადმი ღრმა პატივისცემის სულისკვეთებით. აუცილებელია შეიქნას ისეთი ატმოსფერო, რომ მოხდეს ძირფესვიანი გარდატეხა მათ ხასიათსა და ქცევაში.

ხშირად ზოგიერთი მშობელი პასუხისმგებლობას იხსნის თავისი შვილის აღზრდისათვის და მას მთლიანად სკოლას აკისრებს. ეს სწორი არ არის. მშობელმა უნდა იცოდეს ვისთან მეგობრობს მისი შვილი, სად ან როგორ ატარებს თავისუფალ დროს, როგორ იქცევა ოჯახში და მის გარეთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ოჯახი სკოლის პედკოლექტივთან ერთად ახალგაზრდის აღზრდის უმძლავრესი საშუალებაა.

ქ. ქუთაისში, საქართველოს სარ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით — „წვრილმანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" — გასამართლებულთა დიდი ნაწილი კომკავშირელები, მოსწავლეები და სტუდენტებია, მათ შორის უმრავლესობას შეადგენენ ის ახალგაზრდები, რომლებიც უსაქმოდ

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 31, გვ. 348.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეხეტებიან ქუჩაში, მშობლები კი მათზე არავითარ აღმზრდელობით ღონისძიებებს არ ახორციელებენ. არის იმის შემთხვევებიც, როცა ტექნიკუმების და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ჩადიან სისხლის სამართლის დანაშაულსაც, მათ შორის სამწუხაროდ შევხვდებით კომკავშირელებსაც. მაგალითად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა, კომკავშირელმა ა. შენგელიამ გასული წლის 6 სექტემბერს მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი. იგი არ დაემორჩილა შემთხვევის ადგილზე გამოცხადებულ მილიციის მუშაკებს, მიმართა უცენზურო სიტყვებით და ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენა მათ, რის შედეგადაც მილიციის ერთმა მუშაკმა სხეულის ნაკლებად მძიმე კატეგორიის დაზიანება მიიღო. მძიმე ხასიათის დანაშაულის ჩადენის შემთხვევები იყო აგრეთვე ამავე ინსტიტუტის ზოგიერთი სტუდენტების მხრივ, ისინი სასამართლოს მიერ მკაცრად იქნენ დასჯილნი.

ითვალისწინებს რა იმ როლს, რაც მიკუთვნებული აქვთ დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოსახლეობის ფართო მასებს, აგრეთვე დამნაშავე პირთა მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების გამოყენებას, ქალაქის პროკურატურას, უკანასკნელ ხანებში მშრომელთა და საზოგადოებრივ კოლექტივებს შემდგომი აღზრდისა და გამოსწორებისათვის, მათი შუამდგომლობის საფუძველზე გადაეცა რამდენიმე ახალგაზრდა. მაგალითად ქუთაისის № 2 ტექნიკური სასწავლებლის პირველი კურსის მოსწავლეებმა: ა. ი. ცომაიამ, ლ. ნ. გუბელაძემ და ზ. გ. ცომაიამ დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი. ისინი აღზრდისა და გამოსწორებისათვის გადაეცა ამავე სასწავლებლის კოლექტივს. შემოწმებით გამოირკვა, რომ ხსენებულ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება ახლა დამაკმაყოფილებელია, თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ისინი ავლენენ კარგ ყოფაქცევას და გამოსწორების გზას ადგანან. ასევე აღსაზრდელად გადაეცა მშრომელთა კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დამნაშავეები: კიკვაძე, ბაღდავაძე, ბებერაშვილი და სხვები.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ახალი ამოცანების შესაბამისად მუშაობის გარდაქმნა ქალაქის სასამართლო-პროკურატურის და მილიციის ორგანოებში ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს. აუცილებელია პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით გაბედულად ჩავაბათ დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოსახლეობის ფართო მასები, მკაცრი ბრძოლა გამოვუცხადოთ რეციდივისტებს, მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირებს, და იმ პირთ, რომლებმაც ვერ გაამართლეს კოლექტივის ნდობა და კვლავ მოლიპულ გზას ადგანან.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის არცერთი შემთხვევა არ უნდა დარჩეს სათანადო რეაგირების, მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლის გარეშე. ამაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, განათლების, მილიციისა და სასამართლო-პროკურატურის ორგანოებს, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმებს, ამხანაგურ სასამართლოებს.

საჭიროა პრაქტიკაში დაინერგოს, რომ ახალგაზრდის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევა ეცნობოს იმ საწარმოსა და დაწესებულებების კოლექტივებს, სადაც მშობლები მუშაობენ და ეს საკითხი მსჯელობის საგანი გახდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის აუცილებლობა გამომდინარეობს იქიდანაც, რომ მშობლები ხშირად ზედმეტად ანებივრებენ თავიანთ შვილებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ახალგაზრდობის ნაწილი, რომლებიც არსად არ მუშაობენ. „სტილნად“ ჩაცმულები მთელ დღეებს უქმად, ლაზღანდარობაში ატარებენ. მათ მიერ წესრიგის დარღვევის, ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენისას მშობლები და ნათესავები ნაცვლად იმისა, რომ დაგმონ მათი საქციელი, მფარველების როლში გამოდიან, ეს კი უბიძგებს, აქეზებს ახალგაზრდებს დანაშაულისაკენ. აი, ამის მაგალითიც: ვ. ა. ნიქაბაძე დაბადებულია 1943 წელს. ჯერ კიდევ 13-14 წლის ასაკში იგი რამდენიმეჯერ იყო შემჩნეული წვრილმან ქურდობაში, მაგრამ მისი მშობლები, ნაცვლად იმისა, რომ დადგომოდნენ შვილის აღზრდის სწორ გზას, ყოველთვის მას ესარჩლებოდნენ და აი შედეგიც: ვ. ნიქაბაძემ ისარგებლა რა მშობელთა მხრივ კონტროლის შესუსტებით, კვლავ რამდენიმეჯერ ჩაიდინა პირადი ქონების ქურდობა, უკანასკნელად გასამართლებულ იქნა სახელმწიფო ქონების ქურდობისათვის. ვ. ნიქაბაძის მშობლები კვლავ შეეცადნენ აეცილებინათ თავიანთი შვილისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. მათ მიაღწიეს, რომ იმ საუბნო კომიტეტმა, სადაც ნიქაბაძეებს უხდებათ ცხოვრება, შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე ვ. ნიქაბაძის აღსაზრდელად მათთვის გადაცემის შესახებ. რა თქმა უნდა ეს შუამდგომლობა გაზიარებული არ იქნა და ვ. ნიქაბაძე სასამართლომ სათანადოდ დასაჯა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ თავის დროზე ვ. ნიქაბაძის აღზრდაში მშობელთა მიერ ადრე რომ არ ყოფილიყო დაშვებული სერიოზული შეცდომები, მისი სწორ გზაზე დაყენება შეიძლებოდა.

დიდი რუსი პედაგოგი კ. დ. უშინსკი დიდ მოვალეობას აკისრებდა აღმზრდელს მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში. აი რას წერდა იგი: „აღმზრდელი უნდა ცდილობდეს გაიცნოს ადამიანი, როგორიც ის არის ნამდვილად, ყველა მისი სუსტი მხარითა და მთელი მისი სიდიადით, ყველა მისი ყოველდღიური წვრილმანი საჭიროებით და დიადი სულიერი მოთხოვნილებით[1].

დიდია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ახალგაზრდობის როლი. ის რაც ამჟამად ხორციელდება ახალგაზრდობის დასარაზმავად საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მხოლოდ დასაწყისია. ამ საქმიანობამ მომავალში კიდევ უფრო სისტემატური, ქმედითი და მიზანდასახული ხასიათი უნდა მიიღოს.

ა. ულენტი

ქ. ქუთაისის პროკურორი

---

[1] კ. დ. უშინსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. 1, გვ. 52, თბილისი, 1948 წ.

ექსპერტის ინიციატივის შესახებ კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩატარებისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიულეტენებში „საექსპერტო პრაქტიკა", რომლებსაც საბჭოთა კავშირის კრიმინალისტური დაწესებულებები გამოსცემენ, გამოქვეყნებულია ექსპერტ-კრიმინალისტთა სტატიები, რომლებიც ეხებიან ექსპერტის ინიციატივას კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩატარებისას[1].

ამ სტატიებში ექსპერტები, რომელთაც ძირითადად პრაქტიკული საექსპერტო საქმიანობის შესრულება უხდებათ, გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ მათ აქვთ უფლება გასცილდნენ სასამართლოსა თუ გამომძიებლის დადგენილებით ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვების ფარგლებს, დასვან და გადაწყვიტონ თავიანთი ინიციატივით ახალი კითხვები, თუ კი მიიჩნევენ, რომ მათ გადაწყვეტას მნიშვნელობა ექნება საქმისათვის.

იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ზოგიერთი ავტორი ამართლებს ექსპერტის ასეთ მოქმედებას, ზოგიერთი კი, მაგალითად პროფ. მ. ა. ჩელცოვი, წინააღმდეგია ასეთი ინიციატივისა. ისინი მიუთითებენ, რომ ექსპერტს არა აქვს უფლება გასცილდეს დადგენილებაში დასმულ კითხვებს და მოვალეა პასუხი გასცეს მხოლოდ იმაზე, რასაც მას გამომძიებელი თუ სასამართლო ეკითხება.

ამ საკითხზე თავისებური მოსაზრება აქვს გამოთქმული იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს, დოც. ბ. მ. კომარინეცს. იხილავს რა ექსპერტის უფლება-მოვალეობის საკითხს, იგი წერს: „იმ შემთხვევაში კი, როდესაც შემოხსული მასალიდან ჩანს, რომ გამომძიებელი ან სასამართლო ექსპერტს მეტად ვიწროდ უსვამს საკითხს და არ ამოწურავს კრიმინალისტური ექსპერტიზის მთელ შესაძლებლობას, ექსპერტი ვალდებულია, თუ შესაძლებელია, გამომძიებელთან ან სასამართლოსთან შეთანხმებით უფრო ფართოდ ჩაატაროს გამოკვლევა, გადაწყვიტოს ნივთმტკიცებათა გამოკვლევის პროცესში წარმოშობილი საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნებიან საქმისათვის".[2]

რსფსრ იუსტიციის სამინისტროს 1958 წლის ინსტრუქციის — „რსფსრ იუსტიციის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით კრიმინალისტურ ლაბორატორიებში სახელმწიფო კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ" 21-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ ექსპერტ-კრიმინალისტს უფლება აქვს გასცილდეს დადგენილებით დასმული საკითხების ფარგლებს, ჩამოაყალიბოს და გადაწყვიტოს ახალი საკითხები თავისი ინიციატივით, თუ დაინახავს, რომ მათ გადაწყვეტას მნიშვნელობა ექნება საქმისათვის. ამასთან, ახალი საკითხის გადაწყვეტა ექსპერტს შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოსთან ან პროკურატურასთან შეთანხმებით.

როგორც ვხედავთ, ინსტრუქციაში იგივე აზრია გატარებული, რაც დოც. ბ. მ. კომარინეცს აქვს გამოთქმული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი ექსპერტს ავალდებულებს გამოიჩინოს ინიციატივა, ინსტრუქცია კი მას მხოლოდ უფლებას აძლევს ამისას.

ამ სტატიაში გვინდა გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება აღძრული საკითხის ირგვლივ.

საექსპერტო პრაქტიკაში აღწერილია შემთხვევები, როდესაც ექსპერტი რაიმე დოკუმენტის გამოკვლევის დროს ნახულობს ისეთ ფრაგმენტებს, რომელთა გამოკვლევას საქმისთვის მნიშვნელობა ექნება და მიუხედავად იმისა, რომ ამ ფრაგმენტების მიმართ დადგენილებაში კითხვა არ არის დასმული, იჩენს პირად ინიციატივას და იძლევა დასკვნას. მაგალითად, ექსპერტმა გადაწყვიტა დადგენილებით დასმული საკითხი, რომ შემოსავლის ფაქტურაზე ხელმოწერა აბაშიძის სახელით, არ არის შესრულებული თვით აბაშიძის მიერ. ამავე დროს ექსპერტმა აღმოაჩინა დიდი მსგავსება ამ ხელმოწერასა და იმ ხელს შორის, რომლითაც თვით ფაქტურის ტექსტი და სიტყვა „ჩავაბარე"-ს შემდეგ არსებული ხელმოწერაა შესრულებული. გამოიჩინა რა პირადი ინიციატივა კრიმინალისტური ექსპერტიზის აქტში, მან მისცა დასკვნა იმის შესახებ, რომ ხელმოწერა აბაშიძის სახელით ფაქტურაზე საქონლის მიღების შესახებ შესრულებულია იმ პირის მიერ, ვინც გამოწერა ფაქტურა და ხელი მოაწერა სიტყვის შემდეგ — „ჩავაბარე"

ასეთი შემთხვევები ბევრი ყოფილა. ჩვენი პრაქტიკა გვიჩვენებს რომ ექსპერტის ინიციატი-

---

[1] а. Балашова Г. В. — «Об инициативе эксперта при производстве экспертиз». Московская НИКЛ — бюллетень № 1. 1958 год.

б. Свердлов Б. В. — «Об инициативе эксперта» — Казанская НИКЛ — бюллетень № 1. 1957 год.

в. Бабаев Г. Х. — «Разрешение вопроса в криминалистической экспертизе по инициативе эксперта» — Тбилисская НИКЛ — бюллетень № 2. 1957 год.

[2] Комаринец Б. М. «Криминалистическое отождествление огнестрельного оружия по стреляным гильзам», «Москва 1955 г., ст. 62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვას საქმისათვის მნიშვნელობა ჰქონია. ეს დასტურდება სასამართლო-პროკურატურის ორგანოებიდან შემოსული წერილებითაც. მაგალითად: ერთ-ერთი საქმის ირგვლივ ქ. თბილისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი ვ. სიმონიშვილი გვწერს, რომ გრაფიკული ექსპერტიზის ჩატარებისას, თქვენი ინიციატივით დამატებითი კითხვის გადაწყვეტას საქმისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აღნიშნულით თქვენ შეგვიმოკლეთ გამოძიების ვადა, საქმე დაიცავით ზედმეტი გაჭიანურებისგანო. ანალოგიური წერილებია მოსული ტყიბულის, ოჩამჩირის რაიონის პროკურატურებიდან, ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოდან და სხვა.

გარდა ზემოაღწერილისა, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ექსპერტის ინიციატივა სცილდება წარმოდგენილი გამოსაკვლევი დოკუმენტის ფარგლებს. აქაც ნათლად ჩანს, რომ ექსპერტის პირად ინიციატივას სარგებლობის მოტანა შეუძლია საქმისათვის.

ქ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ერთ-ერთი საამქროს თანამშრომელმა ი. ნეჩეპურენკომ 1958 წლის ივნისის თვეში სიმთვრალის გამო რამდენიმე დღით სამუშაო გააცდინა და თავის გასამართლებლად გადაწყვიტა ავადმყოფობის ცნობა ეშოვა, მაგრამ პოლიკლინიკაში ცნობა არ მისცეს. მაშინ მან დახმარებისთვის თავის თანამშრომელ ალექსი გოლუბევს მიმართა, რომელიც დაპირდა მას ცნობის შოვნას, რისთვისაც ფული გამოართვა. მეორე დღეს ა. გოლუბევმა მართლაც მოუტანა ექიმის ხელმოწერითა და პოლიკლინიკის ბეჭდით დამოწმებული ცნობა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ი. ნეჩეპურენკო ავად იყო, მოიწამლა და ამიტომ გააცდინა სამსახურიო. საამქროს ადმინისტრაციამ, სადაც ი. ნეჩეპურენკომ ცნობა წარადგინა, ეჭვი შეიტანა მის რეალობაში და შეკითხვით მიმართა პოლიკლინიკას, საიდანაც მიიღო პასუხი, რომ ი. ნეჩეპურენკოს სახელზე ცნობა არ ყოფილა გაცემული. მასალები ი. ნეჩეპურენკოს შესახებ გადაეცა ქ. რუსთავის პროკურატურას. დაკითხვაზე ი. ნეჩეპურენკომ აჩვენა, რომ ცნობა მას ა. გოლუბევმა მისცა, ამ უკანასკნელმა კი უარყო ასეთის დამზადება და გაცემა. პროკურატურამ აღნიშნული ცნობა ი. ნეჩეპურენკოსა და ა. გოლუბევის ხელის ნიმუშებთან ერთად გამოგზავნა თბილისის კრიმინალისტურ ლაბორატორიაში იმის დასადგენად, თუ დასახელებულ პირთაგან ვის მიერ იყო შესრულებული ცნობის ტექსტი. ჩატარებული ექსპერტიზით ცნობის ტექსტსა და ნიმუშებს შორის დადგენილი იქნა განსხვავება ხელის ნიშნების მიხედვით, რამაც საფუძველი მოგვცა გაგვეკეთებინა დასკვნა იმის შესახებ, რომ ყალბი ცნობის ტექსტი შესრულებული იყო არა ი. ნეჩეპურენკოს და ა. გოლუბევის, არამედ სხვა პირის მიერ. ასე რომ, ყალბი ცნობის დამწერი პიროვნება ვერ იქნა დადგენილი. მაშინ ჩვენ გადავწყვიტეთ გავცნობოდით საქმეს და დაგვეთვალიერებია საქმის ირგვლივ დაკითხულ იმ პირთა ნაწერები, რომლებიც ახლო ურთიერთობაში იყვნენ ა. გოლუბევთან. ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა ახსნა-განმარტებამ, რომელიც დაწერილი იყო ქ. რუსთავის პროკურატურის სახელზე ბრალდებულ ა. გოლუბევის ძმის, ალექსანდრე გოლუბევის მიერ, რომლის ხელსაც დიდი მსგავსება ჰქონდა ყალბი ცნობის ტექსტთან. აქ ჩვენ გამოვიჩინეთ ინიციატივა და მივეცით დასკვნა იმის შესახებ, რომ ი. ნეჩეპურენკოს სახელზე გაცემული ყალბი ცნობის ტექსტი დაწერილი იყო ბრალდებულ ალექსი გოლუბევის ძმის ალექსანდრე გოლუბევის მიერ. ექსპერტიზის დასკვნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქმისთვის, იგი დაეხმარა სასამართლოს ჭეშმარიტების დადგენაში. ანალოგიურ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ქ. ჭიათურის სახალხო სასამართლოდან 1959 წლის მარტში შემოსულ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ ექსპერტიზის ჩატარების დროს, სადაც ექსპერტის ინიციატივით დადგენილი იქნა 10.000 მანეთის ხელწერილის დამწერი პიროვნება, ამით კი პიროვნებას, რომლის მიმართაც აღძრული იყო საქმე, მოეხსნა წაყენებული ბრალდება.

სტატიის დასასრულს გვინდა მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი ლაბორატორიის პრაქტიკიდან, რაც ჩვენი აზრით უდაოდ გახდის იმ გარემოებას, რომ ექსპერტი კრიმინალისტი ვალდებულია გამოიჩინოს ინიციატივა ექსპერტიზის ჩატარების დროს. ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის ერთ-ერთი დაწესებულების მოლარე ქალმა მიითვისა სახელმწიფო თანხა, რისთვისაც მის მიმართ აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე. ბრალდებულმა პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით, პროკურატურაში წარადგინა თავისი ბავშვის დაბადების მოწმობა, რომლის რეალობაშიც გამომძიებელმა ეჭვი შეიტანა და ამ საბუთზე დანიშნა კრიმინალისტური ექსპერტიზა. ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად შემდეგი საკითხი იქნა დასმული: ბავშვის დაბადების მოწმობაში, იქ სადაც დეკემბრის თვეა დაწერილი, ხომ არ არის ამოფხეკის (ამოშლის) ნიშნებიო. გამოკვლევის ჩატარების პროცესში, რომელიც სპეციალური მიკროსკოპით ტარდებოდა, სიტყვა „დეკემბერი“-ს ქვეშ ძველად არსებულ ჩანაწერის ამოფხეკის ნიშნები, როგორიცაა: ქაღალდის ბოჭკოების აბურძგვნა, დახაზულობის მცველი ბადის დაზიანება, ქაღალდის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხელება და ამოფხეკილი ჩანაწერის შტრიხების ნარჩენები, ვერ იქნა აღმოჩენილი, რაც სრულ საფუძველს იძლეოდა მიგვეცა დასკვნა იმის შესახებ, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ბავშვის დაბადების მოწმობაში სიტყვა „დეკემბერი"-ს ქვეშ ამოფხეკის ნიშნები არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტმა პასუხი გასცა დასმულ კითხვაზე, მან ამით არ დაამთავრა გამოკვლევა, გამოიჩინა ინიციატივა და ბავშვის დაბადების მოწმობა გასინჯა (შემდგომ კი გადაიღო) ულტრაიისფერ სხივებში, რის შედეგადაც დადგენილი იქნა, რომ დასახელებული დაბადების მოწმობაზე სიტყვა „დეკემბერი"-ს ქვეშ ადგილი ქონდა ძველი ჩანაწერის ქიმიური წესით ამოღებას და, რომ დაბადების მოწმობაში თავდაპირველად დეკემბრის ნაცვლად ოქტომბრის თვე იყო დაწერილი. კრიმინალისტური ექსპერტიზის ეს დასკვნა მთლიანად დაემთხვა საგამომძიებლო მასალებს. ექსპერტს თავისი ინიციატივა რომ არ გამოეჩინა და მხოლოდ დადგენილებაში დასმული საკითხი გადაეწყვიტა, გამომძიებელი ალბათ ბრალდებულის მიერ წარმოდგენილ ბავშვის დაბადების მოწმობას უტყუარ დოკუმენტად ჩათვლიდა, რასაც საგამომძიებლო საქმის არასწორად დამთავრება შეიძლება მოჰყოლოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექსპერტს ინიციატივის შესახებ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მაგრამ ვფიქრობთ, რომ პირველი სიტყვა ამ შემთხვევაში პრაქტიკას ეკუთვნის. საექსპერტო და საგამომძიებლო პრაქტიკის შესწავლით კი ნათლად ჩანს, რომ ექსპერტის პირად ინიციატივას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, ჩვენი აზრით, ექსპერტს უნდა ქონდეს სრული უფლება გამოვიდეს დადგენილებით დასმული საკითხების ფარგლებს გარეთ, დასვას და გადაწყვიტოს ახალი საკითხები, თუ დაინახავს, რომ მათ გადაწყვეტას მნიშვნელობა აქვს საქმისათვის და რომ ეს ინიციატივა ექსპერტმა მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოსა და პროკურატურასთან შეთანხმებით კი არ უნდა გააკეთოს, არამედ უამისოდაც, რადგან ეს შეთანხმება მხოლოდ საქმის გაჭიანურებას გამოიწვევს.

ო. მგელაძე

ქ. თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის უფროსი ექსპერტი.

როცა რაიონში არ იგრძნობა პროკურორის ხელი

ამგროლაურის სარაიონთაშორისო პროკურატურის საქმიანობა უნდა გარდაიქმნას

1959 წლის 7 დეკემბერს ღამის 9 საათზე ონში, სტალინის ქუჩაზე, მოულოდნელად ქალის ყვირილი გაისმა.

— არიქა, ხანძარია, ხანძარი, მაღაზია იწვის.

ყვირილზე და ხმაურზე ქუჩა ხალხით გაივსო. მართლაც ჩორდის ბარიტის წარმოების სამმართველოს მუშათა მომარაგების ონის საავჭრო მაღაზიიდან კვამლის სვეტი გამოდიოდა.

— შევამტვრიოთ კარები და მაღაზია დაწვისაგან გადავარჩინოთ.

— აბა ჩქარა, ძელაყინი მოიტანეთ, კარები ჩამოვხსნათ.

—აჯობებს ფანჯრები შევამტვრიოთ, თორემ კარების ჩამოღებამდე ცეცხლი გაძლიერდება.

— სად არის მაღაზიის გამგე-გამყიდველი იაკობ შიმშელაშვილი, გასაღები მას ექნება. — გაისმოდა შეძახილები ხალხში.

ამ დროს გაბმული ზუზუნით ონის სახანძრო მანქანაც მოვიდა. მეხანძრეებმა მაღაზიის კარები სასწრაფოდ ჩამოხსნეს და შიგ შევიდნენ. ცეცხლის ენები არსად ჩანდა, კვამლის სვეტი საწყობიდან გამოდიოდა. მეხანძრეები სწრაფად შევარღნენ საწყობში, მაგრამ დიდი იყო მათი გაკვირვება, როდესაც ნახეს, რომ კვამლი მხოლოდ ფანერის ყუთიდან ამოდიოდა. ცეცხლის ალი მას თანდათან ედებოდა.

ალმოდებული ყუთი სასწრაფოდ გადმოაგდეს ქუჩაში. დამწვარი აღმოჩნდა

მხოლოდ რამდენიმე წყვილი რეზინის კალოშები, რომელთა საერთო ღირებულება 375 მანეთს შეადგენდა.

„ხანძარი“ სასწრაფოდ იქნა ლიკვიდირებული. ვინაიდან მაღაზიის გამგე-გამყიდველი ი. შიმშელაშვილი „მივლინებაში“ იყო წასული, მაღაზია ისევ აჭედეს და დარაჯს ჩაბარეს.

მკითხველს გვინდა შევახსენოთ, რომ ზემოაღწერილი „ხანძრის“ აქილევსის ქუსლს წარმოადგენს ის, რომ შემთხვევის დღეს ონში არ აღმოჩნდნენ ონის მილიციის უფროსი ვ. ჯაფარიძე, ჩორდის ბარიტის წარმოების სამმართველოს მუშათა მომარაგების უფროსი კ. სირბილაძე, ამბროლაურის სარაიონთაშორისო პროკურორი ვ. ბაქრაძე, ხოლო გამომძიებელი შ. კერესელიძე ხანძრის გაჩენის დღეს გავიდა შვებულებაში.

* * *

— დოვლათიანი ძმებია. ნამდვილად ახალ მთვარეზე არიან დაბადებულნი. ცხოვრების მარიფათი აქვთ. — ხშირად ამბობდნენ ნაცნობები იაკობ შიმშელაშვილზე და მის ძმა ისაკზე, რომელსაც მეტ სახელად „მარჯვეს“ ეძახდნენ. ეს უკანასკნელი კვაისის მაღაზიაში მუშაობდა და თავისი მარიფათით ძმას მხარს უმშვენებდა.

იაკობს და ისაკს მართლაც უღიმოდა ცხოვრება, განსაკუთრებით იაკობს, მას შემდეგ, რაც ჩორდის ბარიტის წარმოების მუშათა მომარაგების განყოფილების ონის მაღაზიის გამგე-გამყიდველად დაიწყო მუშაობა. სულ მოკლე ხანში მან ონში შესანიშნავი ბინა იყიდა. მის სახლზე მოსწრებულად ამბობდნენ — გინდა იაკობის სახლში შესულხარ, გინდ სამოთხეშიო.

როცა ცნობისმოყვარენი იკითხავდნენ, საიდან შეიძინა იაკობ შიმშელაშვილმა ამდენი ქონება, მეფურად ცხოვრობს, ამოდენი ხარჯი აქვსო, მცოდნენი ეშმაკურად თითს იმ პატარა მაღაზიისაკენ გაიშვერდნენ, სადაც იაკობი მუშაობდა და მართლაც დილიდან გვიან ღამემდე იგი დახლში ჯარასავით ტრიალებდა.

— მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, მობრძანდით, თქვენს მოსვლას ისე ველოდი, როგორც ხვალინდელი მზის ამოსვლას, — ქლესურად შესძახებდა იაკობი, როგორც კი მაღაზიაში შესულ მისთვის სასურველ კლიენტებს დაინახავდა.

— დღეს მივიღე ძვირფასი ჯემპრეები, მთლად ჩინური ნახატით აჭრელებული, აგერ კიდევ ნეილონის ბლუზკები. ჩეხური ტუფლები... ერთი სიტყვით ი. შიმშელაშვილის საქმე წაღმა მიდიოდა.

* * *

ონის მილიციის ოპერრწმუნებულ დავით რეხვიაშვილს ხელები შუბლზე შემოედვა და ღრმად დაფიქრებულიყო. ცოტა ხნის შემდეგ მას ფოსტა შემოუტანეს. ერთ-ერთ წერილში უცნობი ავტორი იტყობინებოდა, რომ ჩორდის ბარიტის წარმოების მუშათა მომარაგების განყოფილების ონის მაღაზიაში გაჩენილი ხანძარი ინსცენირებული იყო თვით ი. შიმშელაშვილის მიერ და, რომ მაღაზიის დანაკლისი 150.000 მანეთს აღწევდა.

— ბიჭოს, აქ რაღაც ამბავია, — წამოიძახა დ. რეხვიაშვილმა, — იმ დღეს მაინც შეგვედგინა ოქმი ხანძრის გაჩენის მიზეზის შესახებ. არა უშავს, ახლაც მოესწრება. ვნახოთ რაშია საქმე.

მართლაც, მილიციის მუშაკები მაღაზიაში ხანძრის გაჩენიდან მხოლოდ მეოთხე დღეს დაინტერესდნენ და შეადგინეს ოქმი, თუ რამ გამოიწვია ხანძარი მაღაზიაში (ოქმში ხანძრის გაჩენის დღედ 7-ის ნაცვლად 8 დეკემბერი აჩვენეს და გამოძიება განაგრძეს საქმის აღძვრის გარეშე).

10 დეკემბერს ონში „მივლინებიდან“ დაბრუნდა ი. შიმშელაშვილი. მის სახეზე შეშფოთება იყო გამოხატული. იგი პირველად მილიციაში მივარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა უბედურებაა ჩემს თავს უფროსო? ალბად მაღაზიის მთელი საქონელი დაიწვა, აფსუს, რამდენს იზარალებს სახელმწიფო, რაღა მაშინ გაჩნდა ხანძარი, როდესაც მე მივლინებაში ვიყავი.

— აბა, მოათავე წუწუნი. ჩაიბარე მაღაზიის გასაღები და შენს საქმეს მიხედე.

ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო. ი. შიმშელაშვილმაც ხელი წამოავლო გასაღებს და მაღაზიისაკენ ძუნძულით გასწია.

გადიოდა საათები, გადიოდა დღეები და დრო ვიღაცის სასარგებლოდ მოქმედებდა. მაღაზიაში „ხანძრის“ გაჩენიდან 12 დღის შემდეგ ე. ი. 19 დეკემბერს ონის მილიციის განყოფილებას, როგორც იქნა, გაახსენდა ჩაეტარებინა მაღაზიის ინვენტარიზაცია, რაც 24 დეკემბრამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში მილიციის მუშაკები არც იმით დაინტერესებულან გაერკვიათ, ქონდა თუ არა უფლება ჩორდის ბარიტის წარმოების მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსს კ. სირბილაძეს მივლინებაში გაეგზავნა მაღაზიის გამგე-გამყიდველი ი. შიმშელაშვილი და ამის გამო მაღაზია რამდენიმე დღით დაეკეტათ. რატომ ჰქონდა მაღაზიას 2-3 ჯერ მეტი საქონლის ნაშთი, ან რა ზომებს იღებდა ჩორდის ბარიტის წარმოების სამმართველოს მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსი კ. სირბილაძე, მთავარი ბუღალტერი ლ. კერესელიძე მაღაზიაში გეგმის ზევით არსებული საქონლის ნაშთის შემცირებისათვის.

* * *

სახე ჩამოსტიროდა თავის კაბინეტში ჩორდის ბარიტის წარმოების მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსს კ. სირბილაძეს. იგი შიშნარევი ხმით ეუბნებოდა თავის მთავარ ბუღალტერს ლ. კერესელიძეს.

— კარგად უნდა მოვუსინჯოთ კბილი ამ ამბავს, ჩემო ლუკა. ხომ იცი, თუ საქმე გაიხსნა, მადლობას არც ჩვენ გვეტყვიან. აბა, შენ იცი, აღწერაზე შენებურად დატრიალდი, ი. შიმშელაშვილის „მივლინების“ საბუთების გაფორმებაც მოაგვარე.

ლ. კერესელიძე ელდანაკრავივით შეკრთა. უსიტყვოთ წალასლასდა თავის სამუშაო მაგიდისაკენ და სამოქმედო გეგმის შემუშავებას შეუდგა.

* * *

— აბა, იაკობ, დადგა შენი მოქმედების დრო. იცოდე არ დაგავიწყდეს — ბაგა თვითონ არ მივა ძროხასთან.—თავისთვის ამბობდა ი. შიმშელაშვილი და პანიკა ასტეხა, არიქა, მაღაზიაში მთელი საქონელი დამწვარა და ჩამომაწერეთო.

მაღაზიის ნაშთი „დაწვის“ წინ 475.042 მანეთს შეადგენდა, აღწერის შემდეგ კი „დაწვისაგან გადარჩენილი“ აღმოჩნდა 163.936 მანეთის საქონელი. დანაკლისმა 311.106 მანეთი შეადგინა. ამავე დროს მაღაზიაში აღმოჩნდა 9000 მანეთის უფაქტურო საქონელი.

— აქ, ვგონებ სიმულიაციას აქვს ადგილი.—როგორც იქნა გონს მოვიდნენ ონის მილიციის განყოფილებაში და ი. შიმშელაშვილის მიმართ აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე. 1959 წლის 26 დეკემბერს, როგორც იქნა, ი. შიმშელაშვილი პატიმრობაში აიყვანეს.

ი. შიმშელაშვილის პარპაში დამთავრდა. ყველას ეგონა, რომ „ხანძრის“ ავტორები და მათი ხელისშემწყობნი ღირსეულ სასჯელს მიიღებდნენ, მაგრამ არ ეძინათ ი. შიმშელაშვილის ამფსონებსა და კეთილისმყოფელთ, რომლებიც ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ პასუხისმგებლობისაგან ეხსნათ ძმაკაცი.

ერთ დღეს ონის მილიციის განყოფილებაში კვლავ უსახელო წერილი მიიღეს. აი რა ეწერა მასში. „მაღაზიიდან წაღებული საქონელი ინახება რიონზე აგებული დიდი ხიდის გაღმა, მარჯვენა მხარეზე, ოსი ვასოს გვერდით მდებარე

ვესახში, მოასწარით, თორემ წაიღებენ“.

წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებულ იქნა. მითითებულ ადგილზე მართლაც აღმოჩნდა მაღაზიიდან გატანილი საქონელი 6000-დე მანეთის ღირებულების (მილიციისათვის ისიც გახდა ცნობილი, რომ იაკობმა 100.000 მანეთის საქონელი ფარულად თავის ძმას „მარჯვე“ ისაკას გადაუგზავნა კვაისაში, მაღაზიაში დანაკლისის დასაფარავად). როგორც გაირკვა, საქონლის დამალვა მოაწყეს ი. შიმშელაშვილის კეთილისმყოფებმა. სხვა რომ აღარაფერი გამოუვიდათ, მათ გადაწყვიტეს შეექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მაღაზიიდან საქონელი სხვებმა დაიტაცეს ხანძრის შემდეგ.

* * *

მკითხველს ალბად გაუკვირდება, რომ თაღლით ი. შიმშელაშვილის საქმის ირგვლივ სრულიად არ გვიხსენებია ამბროლაურის სარაიონთაშორისო პროკურატურა.

დავიწყოთ იმით, რომ გამომძიებელ შ. კერესელიძის შვებულებაში წასვლა დაემთხვა 7 დეკემბერს, ხანძრის გაჩენის დღეს. იქნებ იფიქროთ მკითხველო, რომ გამომძიებელი შ. კერესელიძე შვებულების დღეებს შორს ატარებდა და მის ყურს ვერ მიწვდებოდა ონის მაღაზიაში გაჩენილი ხანძრის სიმულაციის ამბავი? სრულიადაც არა. იგი ონიდან სულ ათიოდე კილომეტრით იყო დაშორებული და შვებულებას მშობლიურ სოფელ ბოყვაში ატარებდა.

— არა უშავს, უჩემოდაც დაადგენენ მიზეზს. — წამოიძახა მან, როდესაც 2 დღის შემდეგ გაიგო მომხდარი შემთხვევის შესახებ და 1960 წლის 5 იანვრამდე, შვებულებიდან დაბრუნებამდე აღარც გახსენებია ეს ამბავი.

მოსალოდნელი იყო შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ მაინც დაინტერესდებოდა შ. კერესელიძე ამით. მაგრამ არა. მას არც შეუმოწმებია მაღაზიაში ხანძრის გაჩენის საქმის გამოძიების მიმდინარეობა ონის მილიციის განყოფილებაში და პროკურორის წინაშე არ დაუყენებია საკითხი მილიციის განყოფილებიდან ამ საქმის ამოღებისა და მისი წარმოებაში მიღების შესახებ.

ამას თუ დავუმატებთ იმას, რომ ი. შიმშელაშვილი დააპატიმრეს 1959 წლის 26 დეკემბერს, შ. კერესელიძე კი შვებულებიდან დაბრუნდა 5 იანვრის, ხოლო გამოძიებას 20 იანვრამდე აწარმოებდა ონის მილიციის განყოფილება, ნათელი იქნება შ. კერესელიძის „ინიციატივა“ აღნიშნული საქმის გახსნისა და დროულად დამთავრების საქმეში.

ბოლოს, როგორც იქნა 20 იანვარს ამბროლაურის სარაიონთაშორისო პროკურორმა ვ. ბაქრაძემ ი. შიმშელაშვილის საქმე მიიღო და გამოძიება შ. კერესელიძეს დაავალა.

ამ მეტად რთული და პასუხსაგები საქმის გასახსნელად და ბოროტმოქმედების მზის სინათლეზე გამოსაყვანად გამომძიებლის მხრივ საჭირო იყო ოდნავი დაინტერესება. შ. კერესელიძეს შეეძლო გამოესწორებინა მილიციის მიერ დაშვებული შეცდომა და აღმოეჩინა გამოძიებისათვის მეტად საჭირო საინტერესო მასალები, რაც შესაძლებლობას მისცემდა საქმეს წინ წასულიყო. გამოძიებისათვის არ იყო ცნობილი, რომ ხანძრის გაჩენამდე ნახევარი საათით აღრე მაღაზიიდან გამოსული ნახეს ამავე მაღაზიის დამლაგებელი ნუცა შიმშელაშვილი, ი. შიმშელაშვილის ახლო ნათესავი, რომელიც მაღაზიიდან გამოსვლისას თვალებს ქურდულად აქეთ-იქით აცეცებდა და ჩქარი ნაბიჯით სახლისკენ მიიჩქაროდა.

გამომძიებელი შ. კერსელიძე ერთხელაც არ დაინტერესებულა და არ დაუკითხავს ნუცა შიმშელაშვილი იმის გასარკვევად, თუ რა უნდოდა მას ღამის ცხრის ნახევარზე მაღაზიაში, მაშინ, როდესაც ორი დღე მაღაზია დაკეტილი იყო.

შ. კერესელიძე, როდესაც ი. შიმშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშვილს კითხავდა, ეჭვიც არ შეპარვია, რომ იგი უდანაშაულოა. განა საგამომძიებლო პრაქტიკაში ცოტაა ფაქტი, როდესაც ბრალდებული ათასნაირ ვერსიას აყენებს ბრალდებისაგან თავის დაძვრენის მიზნით. შ. კერესელიძემ ერთხელაც არ დაუსვა ასეთი კითხვა თავის თავს. მან გულდასმით არ შეამოწმა საქმის ყოველი დეტალი და სწორედ ამის გამო იყო, რომ ორთაბრძოლაში ბოროტმოქმედმა გაიმარჯვა და სწორედ უხარისხო ძიების გამო ი. შიმშელაშვილი, პატიმრობიდან განთავისუფლებული, 13 მაისს გამარჯვებულის ღიმილით კვლავ ონს დაუბრუნდა.

ი. შიმშელაშვილის საქმის ასე დაბოლოებაში საგრძნობი „დამსახურება" ამბროლაურის სარაიონთაშორისო პროკურორს ვ. ბაქრაძესაც მიუძღვის, რომელმაც გაუშვა რა შვებულებაში გამომძიებელი შ. კერესელიძე, ონის რაიონის ტერიტორიას არ მიამაგრა მეორე გამომძიებელი, რითაც ონის რაიონი ერთი თვის მანძილზე გამომძიებლის გარეშე დარჩა. ვ. ბაქრაძის მიერ არ მომხდარა შემთხვევის ადგილის დათვალიერება. მას არ შეუმოწმებია ონის მილიციის განყოფილების წარმოებაში მყოფი ი. შიმშელაშვილის საქმის გამოძიების მიმდინარეობა მაშინ, როდესაც თვენახევრის განმავლობაში საქმე მილიციის განყოფილებაში იყო. ზომები არ მიიღო, რათა საქმე ამოეღო მილიციის წარმოებიდან, მიეღო იგი თავის წარმოებაში და სწორად წარემართა გამოძიება. არ გაუწია საპროკურორო ზედამხედველობა ონის რაიონის მილიციის განყოფილებას და გამომძიებელ შ. კერესელიძეს ი. შიმშელაშვილის ბრალდების სწორად და ხარისხიანად გამოძიებაში.

სამწუხაროდ, ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის ამბროლაურის სარაიონთაშორისო პროკურატურის საქმიანობაში. აქ ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ სათანადო დასკვნები სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1959 წლის 20 ივლისის № 43 ბრძანების „პროკურატურის ორგანოების პრაქტიკის შესახებ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და სისხლის სამართლის სასჯელის ზომების სწორად შეფასებაზე ზედამხედველობის განხორციელების დარგში" ცხოვრებაში გატარებისათვის.

არის სხვა სერიოზული ნაკლოვანებანიც. თითქოს ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა მშრომელთა საჩივრების, განცხადებებისა და სიგნალებისადმი დამოკიდებულების საქმეში. პროკურატურაში აქვთ ლამაზად გაფორმებული წიგნი, სადაც გატარებულია, ყველა საჩივარი, განცხადებები, მაგრამ საკმარისია ჩაუკვირდეთ და გულდასმით გადაიკითხოთ ლამაზად გაფორმებული შემოსული განცხადებების წიგნი, რომ იმის იქით დაინახოთ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრებისადმი უსულგულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულება. არის იმის შემთხვევებიც, როდესაც მშრომელთა საჩივრებს არ უწევენ სათანადო რეაგირებას. მაგალითად მოქალაქე ნ. ჯ-ძემ მიმდინარე წლის 22 თებერვალს პროკურატურაში შეიტანა განცხადება, სადაც ის უჩიოდა სოფელ წესის მცხოვრებს კოლმეურნე არქიპო გოგობერიშვილს, რომელიც გაუპატიურებას უპირებდა. განცხადებას თან ერთოდა სასამართლო-სამედიცინო შემოწმების აქტი № 13. იმის გამო, რომ პროკურატურაში განცხადებას დროულად არ მიაქციეს ყურადღება, მან მეორედ შეიტანა განცხადება. განცხადებების წიგნის სათანადო გრაფაში კი ნ. ჯ-ძის განცხადების გასწვრივ ლამაზად მიწერილია „ფიზიკურ ტკივილებზე" (?).

აქ იშვიათი როდია შემოსულ განცხადებებზე პასუხის დაგვიანებით გაცემა. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს: ანგელინა ბრეგაძემ პროკურატურაში 8 თებერვალს შემოიტანა განცხადება, პასუხი კი გაეცა 25 თებერვალს. გიორგი ბუბაშვილმა 25 თებერვალს შემოიტანა განცხადება, პასუხი კი აცნობეს 23

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტს, თამარ გაბიცინაშვილს პროკურატურაში განცხადება 4 მაისს შემოუტანია, პასუხი კი როგორც იქნა 15 ივნისს აღირსეს და ა. შ.

იშვიათი როდია შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს გამოძიების დაბალ დონეზე ჩატარებას. იმის შემთხვევებიც არის, როდესაც მთლიანად არ არის გამორკვეული დანაშაულის მონაწილე თითოეული პირის როლი და მონაწილეობის ხარისხი, აგრეთვე შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებანი. მაგალითად, გასულ წელს პროკურორ ვ. ბაქრაძის მიერ 54 კაცზე იქნა გაცემული სანქცია დაპატიმრებაზე, მათგან აღმკვეთი ღონისძიება შეეცვალა 17 კაცს.

არასაკმაოა პროკურორისა და მისი თანაშემწის მონაწილეობა სახალხო სასამართლოს პროცესებზე. 1959 წელს ონისა და ამბროლაურის სახალხო სასამართლოებში გარჩეულ იქნა 562 სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმე, აქედან პროკურორმა და მისმა თანაშემწემ მონაწილეობა მიიღო 200-ზე.

ცუდად არის დაყენებული სახელმწიფოსათვის წაგლეჯილი და გაფლანგული თანხების ამოღება.

პროკურატურის მხრივ ნაკლები ყურადღება ექცევა ამხანაგური სასამართლოების მუშაობისადმი დახმარების საქმეს. ბევრი ამხანაგური სასამართლო მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და უმოქმედობს. ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეებად ირჩევენ უავტორიტეტო, სახელგატეხილ პირებს. მაგალითად ამბროლაურის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ამხანაგურ სასამართლოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დ. მხეიძე, რომელსაც 11.000 მანეთი სახელმწიფო ფული „შემოეხარჯა“.

ამბროლაურის სარაიონთაშორისო პროკურატურის ასეთმა სუსტმა მუშაობამ განაპირობა ის, რომ გაქნილმა თაღლითმა ი. შიმშელაშვილმა შეძლო დროებით მაინც დაეღწია თავი პასუხისმგებლობისაგან. საჭირო გახდა საქართველოს სსრ პროკურატურის ჩარევა, რათა ი. შიმშელაშვილი კვლავ ეყვანათ პატიმრობაში.

* * *

ჩვენ აქ ვწყვეტთ თხრობას იმ საქმის შესახებ, რომლის გამოძიებასაც საქართველოს სსრ პროკურატურა აწარმოებს. გაქნილი თაღლითი და საქმოსანი იაკობ დავითის ძე შიმშელაშვილი მხილებულია. საგამომძიებლო ორგანოების წინასწარ შეკრებილი მასალები ნათელს ფენს მის ბნელ მოქმედებას. დამსახურებისამებრ მიიღებენ სასჯელებს ჩორდის ბარიტის წარმოების სამმართველოს მუშათა მომარაგების უფროსი კ. სირბილაძე და მთავარი ბუღალტერი ლ. კერესელიძე და სხვანი.

დავიწყებული არ იქნება ზვარეთჰესის კანტორის დირექტორის ბ. ბერიშვილის „ღვაწლიც“. მან ხომ არა სწორი დასკვნა მისცა, თითქოს და მაღაზიაში გაჩენილი ხანძარი ცუდი ელექტროგაყვანილობის შედეგი იყო და შემდეგ თავისივე ჩვენება უარყო. ასევე ყურადღების ღირსია ონის სახანძრო დაცვის უფროსი ალ. შერაზადიშვილიც, რომელმაც რესპუბლიკის სახანძრო დაცვის განყოფილების სამმართველოს დროულად არ აცნობა 1959 წლის 7 დეკემბერს ონში შომხდარი „ხანძრის“ შესახებ და ამის შესახებ ოფიციალურად აცნობა მხოლოდ 1960 წლის 21 მარტს, როდესაც უკვე საკმაოდ გახმაურდა აღნიშნული ამბავი.

სიმართლეს თვალები უნდა გავუსწოროთ. ის სიბეცე და დაუდევრობა, რაც გამოიჩინეს ამბროლაურის სარაიონთაშორისო პროკურორმა ვ. ბაქრაძემ და გამომძიებელმა შ. კერესელიძემ, სათანადოდ უნდა შეფასდეს. მათ პასუხი უნდა მოვთხოვოთ.

ზ. მესენგისერი

ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. ბ ო ფ ო რ ა ვ ი ლ ი ი ხ ი ნ ს

თბილისში, ჩანჩიბაძის ქუჩაზე № 5 სახლში ტკბილად ცხოვრობდნენ ა. დარასელიას, მ. ნავროზაშვილის და ე. ხუციშვილის ოჯახები.

— მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო, — შეიძლება მაგათზე ითქვას, — ამბობდნენ მათ შესახებ.

დილით ადრე, როცა მამაკაცები სამსახურში წავიდოდნენ, დიასახლისები ბაზარში ერთად მიდიოდნენ და საერთო სამზარეულოში მთელ დღეს ტკბილად საუბარსა და საქმიანობაში ატარებდნენ, მეუღლეებს ნუგბარ სადილს უმზადებდნენ.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს დიასახლისები რაღაც უმნიშვნელო, არაპრინციპულ საკითხზე მეტად პრინციპულად შელაპარაკდნენ. ამ დღის შემდეგ მათ მეზობლობას ბზარი გაუჩნდა. ე. ხუციშვილების საოჯახო თათბირზე გადაწყდა დარასელიებისა და ნავროზაშვილების ოჯახებთან ყოველგვარი მეზობლური კავშირი გაეწყვიტათ, რაც სისრულეში დაუყოვნებლივ იქნა მოყვანილი. ე. ხუციშვილმა იმით დაიწყო, რომ საერთო სამზარეულოში ტიხარით ცალკე ადგილის გამოყოფა მოინდომა. მან არ დააყოვნა და სარჩელით მიმართა თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს საერთო სარგებლობის სამზარეულოში ტიხარის ნებართვაზე.

სახალხო სასამართლოში განიხილეს ე. ხუციშვილის სარჩელი. მოეწყო ადგილობრივი დათვალიერება და 1959 წლის 27 აგვისტოს დადგენილებით ე. ხუციშვილს უარი ეთქვა სარჩელზე.

მაგრამ ე. ხუციშვილმა ასე ადვილად როდი დაჰყარა ფარხმალი, სახალხო სასამართლოს დადგენილება გაასაჩივრა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში, მაგრამ ამაოდ. უმაღლესმა სასამართლომ სახალხო სასამართლოს დადგენილება ძალაში დატოვა.

ყველას ეგონა ახლა მაინც დამშვიდდებოდნენ ხუციშვილები, მაგრამ მწარედ მოტყუვდა ყველა, ვინც ასე ფიქრობდა. ე. ხუციშვილმა არაფრად ჩაგდო არც სახალხო სასამართლოს და არც საქართველოს უმაღლესი სასამართლოს დადგენილება და სამზარეულოში თვითნებურად დადგა ხის ტიხარი.

ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს ეცნობა ხუციშვილის თვითნებობა. მალე ადგილზე გამოცხადდნენ სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. მაისურაძე და აღმასრულებელი რ. ბოთერაშვილი, რომლებმაც ხუციშვილს ხელწერილი ჩამოართვეს აეღო მის მიერ დადგმული ტიხარი და დამშვიდებით წავიდნენ უკან.

დარასელიებმა და ნავროზაშვილებმა იფიქრეს—ვაცლით ერთ-ორ დღეს, თვითონ აიღებს ტიხარსო... და მართლაც ე. ხუციშვილმა ერთ დილას დაიწყო ხის ტიხარის დარღვევა... მაგრამ, ჰოი საკვირველებავ, როდესაც საღამოთი მ. ნავროზაშვილი და ა. დარასელია სამსახურიდან დაბრუნდნენ, ხის ტიხარის ნაცვლად დახვდათ თუნუქის ფურცლებზე შედუღებული რკინის ჩარჩოიანი კაპიტალური ტიხარი, რომელსაც სამზარეულო მთლიანად დაებნელებინა.

დარასელიებმა და ნავროზაშვილებმა სათანადო ორგანოებს მიმართეს — არიქა გვიშველეთ ე. ხუციშვილმა სამზარეულო მთლიანად დაგვიბნელა და სულ ველარ ვსარგებლობთ სამზარეულოთი. სათანადო ინსტანციებიდან განკარგულებები მოქ. ე. ხუციშვილის თვითნებობის აღსაკვეთად კონვეიერული სისწრაფით წამოვიდა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის № 1/9 3101 განკარგულება ტიხარის აღების სისრულეში მოყვანის შესახებ გაეგზავნა ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს გ. მაისურაძეს, ქალაქის პროკურორის მოადგილემ ანალოგიური შინაარსის განკარგულება № 1116/7 გაუგზავნა ოქტომბრის რაიონის პროკურორს შ. გუმბარიძეს, ოქტომბრის რაისაბჭოს საბინაო სამმართველოს უფროსმა ა. ტალახაძემ კი მთავარ ინჟინერ გ. ჯორბენაძეს, ამ უკანასკნელმა არ დააყოვნა და სათანადო მიმართვები №№ 6-914, 6-995 გადაუგზავნა სახლმმართველს ბ. სიხარულიძეს. შემდეგ კვლავ გაიგზავნა საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის № 11/ა-2034 განკარგულება ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე ხუციშვილის უნებართვოდ დადგმული ტიხარის აღების სისრულეში მოყვანის შესახებ, თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის განკარგულება № 6/322 ოქტომბრის რაისაბჭოს თავმჯდომარის სახელზე და ა. შ.

— წერონ და იკითხონ, — კმაყოფილი ღიმილით ამბობს თავისთვის ე. ხუციშვილი.

— 7 თვე ხომ გავიდა რაც ვაგრძელებ ამ საქმის აღსრულებას, კიდევ რაღაცას მოგახსენებ... — სიცილით ამბობს ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი რ. ბოთერაშვილიც, რომელიც ყველა განკარგულებებსა და მიმართვებს, ე. ხუციშვილის მიერ უნებართვოდ დადგმული ტიხარის აღების შესახებ გულმოდგინედ ინახავს უჯრაში. საინტერესოა, რ. ბოთერაშვილი მის წარმოებაში მყოფ ყველა საქმის აღსრულებაზე იცინის ასე?...

ზ. ქუთათელი

Подписчикам журнала „Сабчота Самартали".

В содержании журнала № 5 за 1960 г. были допущены ошибки. Редакция приносит извинение перед своими читателями и заново дает текст содержания предыдущего номера.

Приняты меры для недопущения в дальнейшем подобных случаев.

Редакция

СОДЕРЖАНИЕ

К 40-ЛЕТИЮ КОМПАРТИИ ГРУЗИИ

Г. Сихарулидзе — Славный путь борьбы и побед . 3

ПРЕДЛОЖЕНИЯ ПО НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

С. Джорбенадзе — К дальнейшему совершенствованию Основ гражданского законодательства . . 13

Г. Рахунов — Замечания к проекту Основ гражданского судопроизводства 19

Т. Лилуашвили — Уточнить отдельные нормы и положения 25

ПРАКТИКА РАБОТЫ ОРГАНОВ СУДА И ПРОКУРАТУРЫ

Постановление Пленума Верховного Суда СССР от 4 июня 1960 г. № 4 29

Постановление Пленума Верховного Суда СССР от 17 сентября 1960 г. № 5 37

Постановление Пленума Верховного Суда СССР от 17 сентября 1960 г. № 6 39

М. Топуридзе — навести порядок в индивидуальном и кооперативном домостроительстве . . . 40

И. Амашукели и М. Долидзе — Работа бухгалтеров и экспертов со следователем в процессе расследования уголовных дел 47

Правила об определении тяжести телесных повреждений . 54

Новое в законодательстве 58

Материалы грузинской юридической терминологии 63

ОЧЕРК

Г. Вачеишвили, Ш. Еситашвили — Выстрел в роще 75

РЕЦЕНЗИЯ НА ТЕАТРАЛЬНУЮ ПОСТАНОВКУ

А. Буртикашвили — Два цвета 83

Наше интервью 87

Обзор печати 89

Судебная практика 91

ეროვნული ბიბლიოთეკა

перемещенное лицо	ადგილგადანაცვლებული პირი
перемирие	დაზავება, დროებითი ზავი
перепоручение	გადანდობა
пересмотр	გადასინჯვა, ხელახლა განხილვა
переучтенный вексель	გადანაღდებული თამასუქი
перпетуация обязательства	ვალდებულების პერპეტუაცია, უწყვეტლობა
плата	1. ფასი, ქირა, სასყიდელი, გასამრჯელო; 2. ფულის გადახდა
платеж	1. გადახდა; 2. გადასახდელი
платежеспособность	გადახდაუნარიანობა
платежный, ая, ое	გადახდის, საგადასახდელო
поборы	საუდიერო
побочное вступление третьих лиц	მესამე პირთა თანაჩაბმა
побочное обязательство	თანამდევი ვალდებულება
побочное пользование	თანასარგებლობა
побочные дети	უკანონო შვილები
побуждение	1. აღძვრა, შეგულიანება; 2. გრძნობა
побуждение кого-либо к совершению преступления	ვისიმე შეგულიანება დანაშაულის ჩასადენად
побуждение низменное	ქვენა გრძნობა
поведение	ყოფაქცევა, ქცევა
повелительная норма	ბრძანებითი ნორმა
поверенный в делах	საქმეთა რწმუნებული
поверка доказательств	დამამტკიცებელ საბუთთა შემოწმება
повиниться	ბრალის აღიარება (ბრალს აღიარებს)
повинная: принести повинную	ბრალის აღიარება
повинная: явка с повинной	გამოცხადება ბრალის აღიარებით
повинность	ბეგარა
повиновение	მორჩილება
«поворот к худшему»	„შებრუნება საუარესოდ“
повреждение	დაზიანება, დაშავება, წახდენა, გაფუჭება.
повреждение имущества	ქონების წახდენა, გაფუჭება, დაზიანება
повреждение телесное	სხეულის დაშავება
повышение по службе	სამსახურში დაწინაურება
повышенная опасность	მომეტებული საფრთხე
погасительная давность	გამაქარწყლებელი ხანდაზმულობა
погасительная надпись	ბათილამა
погашение	დაფარვა, მოსპობა, გაუქმება, გაქარწყლება, გადახდა, განაღდება, გასტუმრება
погашение векселя	თამასუქის განაღდება
погашение задолженности	დავალიანების დაფარვა
погашение права	უფლების მოსპობა, გაუქმება

ეროვნული ბიბლიოთეკა

погашение судимости	ნასამართლობის გაქარწყლება
поглощение наказания	სასჯელის შთანთქმა
под страхом наказания	სასჯელის შიშით
под угрозой наказания	სასჯელის მუქარით
подавление	დათრგუნვა, ჩახშობა, ჩაქრობა
подавляющее большинство голосов	ხმების დიდი უმრავლესობა
податное обложение	საგადასახადო დაბეგვრა
подать	გამოსაღები
подведение под закон	კანონის მიყენება
подведомственность	საქვეუწყებობა
подведомственное учреждение	საქვეუწყებო დაწესებულება
подвергнуть наказанию	დასჯა (დასჯის)
подвластный, ая, ое	ხელქვეითი, ხელქვეშე
подговор	შეგულიანება, წაქეზება
подделка	სიყალბე, ყალბის გაკეთება
подделка документов	ყალბი საბუთების გაკეთება
поддельный, ая, ое	ყალბი, გაყალბებული
поддержание обвинения	ბრალდებისათვის მხარის დაჭერა
поддержание порядка	წესრიგის დაცვა
поденная работа	დღიური სამუშაო, დღიურად მუშაობა
поденщик	დღიური მუშა
подзаконный акт	კანონქვეშე აქტი
подзащитный, ая, ое	დასაცავი პირი
подкуп	მოსყიდვა, მოქრთამვა, დაქრთამვა
подлинность	ნამდვილობა
подлог	სიყალბე, გაყალბება
подложный, ая, ое	ყალბი
поднадзорный, ая, ое	ზედამხედველობის ქვეშ მყოფი
поднаем	გადაქირავება
подначальный, ая, ое	ხელქვეითი
подозреваемый, ая, ое	ეჭვმიტანილი
подопечный, ая, ое	სამეურვეო, მეურვეობაში მყოფი
подотчетная сумма	საქვეანგარიშო თანხა
подотчетное лицо	ანგარიშვალდებული პირი
подотчетность	ანგარიშვალდებულება
подписка о невыезде	წაუსვლელობის ხელწერილი
подрыв власти	ხელისუფლებისათვის ძირის გამოთხრა
подряд	ნარდი სამუშაო
подрядный договор	ნარდი სამუშაოს ხელშეკრულება
подрядчик	მენარდე
подследственный, ая, ое	გამოძიებაში მყოფი
подставное лицо	ცრუმაგიერი პირი
подсудимый, ая, ое	განსასჯელი
подсудно народному суду	განსჯადია სახალხო სასამართლოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

подсудное дело	განსასჯელი საქმე
подсудность	განსჯადობა
подсудный, ая, ое	განსჯადი, განსასჯელი
подчинение	დამორჩილება, დაქვემდებარება
подчиненность	ქვემდებარეობა, დაქვემდებარება, დამორჩილებულობა
подчистка	ამოფხეკა, ამოშლა
подъемные деньги	გადასვლის, გადაყვანის ფული
поединок	ორთაბრძოლა
пожалование	1. ბოძება, წყალობა; 2. ნაბოძები, ნაწყალობევი
пожизненная пенсия	სამუდამო პენსია
пожизненное владение	სამისდღეშიო მფლობელობა
пожизненное заключение	სამუდამო ტუსაღობა
позволительный, ая, е	ნებადართული, დასაშვები
позволительный поступок	ნებადართული საქციელი
поземельная рента	საადგილმამულო რენტა
позорящее наказание	გამაწბილებელი, შემარცხვენელი სასჯელი
поименное голосование	სახელობითი ხმის მიცემა
покаяние	მონანიება
поклажа	1. მინაბარი; 2. შენახვა; 3. ბარგი, ტვირთი
поклажедатель	მიმბარებელი
поклажеприниматель	შემნახველი
покупатель	1. მყიდველი; 2. მუშტარი
покупная цена	ნასყიდობის ფასი
покупной, ая, ое	1. ნაყიდი; 2. მსყიდველობითი, ნასყიდობისა
покушение на преступление	დანაშაულის მცდელობა, დანაშაულის ცდა
покушение на негодный объект	მცდელობა, ცდა უვარგისი ობიექტის მიმართ.
полицейское государство	პოლიციური სახელმწიფო
полицейское право	საპოლიციო სამართალი
поличное: поймать, захватить с поличным	დანაშაულზე წასწრება (დანაშაულზე წაასწრებს)
полновластие	სრულძალაუფლებიანობა
полномочие	1. უფლებამოსილება, სრულუფლებიანობა; 2. რწმუნებულება
полномочный, ая, ое	1. უფლებამოსილი; 2. სრულუფლებიანი
полноправие	სრულუფლებიანობა
полнородный брат	ღვიძლი ძმა
полнота власти	ხელისუფლების სისრულე
положение	1. დებულება; 2. მდგომარეობა
положение о выборах	არჩევნების დებულება
пользовладелец	მოსარგებლე მფლობელი
пользовладение	ფლობა-სარგებლობა
полюбовный раздел	შეთანხმებით, მორიგებით გაყოფა

ეროვნული ბიბლიოთეკა

поместье родовое	მამაპაპეული მამული, საგვარეულო მამული, ადგილმამული
помилование осужденного	მსჯავრდებულის შეწყალება
понижение в должности	თანამდებობაში ჩამოქვეითება
понижение наказания	სასჯელის შემცირება
понуждение женщины к занятию проституцией	ქალის იძულება ხელი მიჰყოს პროსტიტუციას
понятой	თანამოწმე
попечительство	მზრუნველობა
попуститель	მიმშვებელი
попустительство	მიმშვებლობა
поражение в гражданских правах	სამოქალაქო უფლებათა აყრა
порубная рана	ნაჩეხი ჭრილობა
поругание	შეგინება, შებღალვა
порука: отпустить на поруки	თავდებობა: თავდებობით განთავისუფლება
поручитель	თავდები
поручительство	თავდებობა
поручиться	თავდებად დადგომა (თავდებად დაუდგება)
порядок	1. წესი; 2. წესრიგი
порядок общественный	საზოგადოებრივი წესრიგი
порядок правовой	სამართლებრივი წესრიგი
поселенец	1. ახალმოსახლე, ახალმოშენე; 2. გადასახლებული
поселение	1. დასახლება; 2. გადასახლება
поселок	დაბა, დასახლება
посессия	პოსესია, მფლობელობა
посланец	მოციქული
послужной список	ნამსახურობის სია
пособие	შემწეობა
пособник	დამხმარე
пособничество	დახმარება
посредник	შუამავალი
посредническая сделка	საშუამავლო გარიგება
посредничество	შუამავლობა
посредственное действие	შუამავლობითი მოქმედება
посредственное причинение вреда	ვნების არაპირდაპირი მიყენება
поставление в опасность	საფრთხეში ჩაგდება
постатейный, ая, ое	მუხლობრივი
пострадавший, ая, ое	დაზარალებული
поступок	საქციელი
посягатель	ხელმყოფი
посягательство	ხელყოფა
потерпевший, ая, ое	დაზარალებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

похищение	გატაცება, მოტაცება
похищение женщины	ქალის მოტაცება
похищение имущества	ქონების გატაცება
правила внутреннего распорядка	შინაგანაწესი
правила социалистического общежития	სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები
правительственное сообщение	მთავრობის ცნობა
править	მართვა (მართავს), გამგებლობა (განაგებს)
правление	1. მმართველობა, გამგებლობა, მართვა-გამგეობა; 3. სამმართველო
право	1. სამართალი; 2. უფლება
право на труд	შრომის უფლება
право объективное	სამართალი
право собственности	საკუთრების უფლება
право субъективное	უფლება
правоведение	სამართლმცოდნეობა
правовой, ая, ое	1. სამართლისა, სამართლებრივი; 2. უფლებისა, უფლებრივი
правозаступник	ვექილი, დამცველი
правомерность	მართლზომიერება
правомочие	უფლებამოსილება
правомочный, ая, ое	უფლებამოსილი
правонарушение	სამართალდარღვევა
правонарушитель	სამართალდამრღვევი
правообразующий, ая, ое	უფლებაწარმომშობი, უფლებაწარმოქმნითი
правоотношение	მართლურთიერთობა
правопоражение	უფლების აყრა
правопорядок	მართლწესრიგი
правопреемник	უფლებამონაცვლე
правопреемство	უფლებამონაცვლეობა
правосознание	მართლშეგნება
правоспособность	უფლებაუნარიანობა
правоспособный, ая, ое	უფლებაუნარიანი
правосудие	მართლმსაჯულება
правосудный, ая, ое	სამართლიანი, მართლსაჯულიერი
правотворчество	სამართალშემოქმედება
правый, ая, ое	1. სამართლიანი,სწორი; 2. მართალი, უდანაშაულო
превентивная мера	პრევენციული ღონისძიება
превышение власти	ხელისუფლების გადამეტება
превышение необходимой обороны	აუცილებელი მოგერიების გადამეტება, გადაცილება
предание суду	სამართალში მიცემა
предатель	გამცემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

предательство	გამცემლობა, მუხანათობა
предварительное заключение	წინასწარი პატიმრობა
предварительный сговор	წინასწარ პირის შეკვრა
предвидение	გათვალისწინება, განჭვრეტა
предвыборный, ая, ое	წინასაარჩევნო
предел власти	ხელისუფლების საზღვარი
предел наказания	სასჯელის ზღვარი
предельный возраст	ზღვრული ასაკი
предельный срок	უკანასკნელი ვადა
пределы действия закона	კანონის მოქმედების ფარგლები
предметная подсудность	საგნობრივი განსჯადობა
преднамеренно	წინაგანზრახვით
преднамеренность	წინაგანზრახულობა
преднамеренный, ая, ое	წინაგანზრახული
предосудительное поведение	საძრახისი ყოფაქცევა
предотвратимый, ая, ое	(თავიდან) ასაცილებელი, ასარიდებელი, ასაცდენი
предотвращение преступления	დანაშაულის (თავიდან) აცილება, არიდება, აცდენა
предписание	1. მიწერილობა; 2. დანაწესი
предписание закона	კანონის დანაწესი
предписанный, ая, ое	მიწერილი, დანაწესი, ნაბრძანები
предписать	(წერილობით) ბრძანება (უბრძანებს), დაწესება (დაუწესებს)
представление в порядке надзора	წარდგენა ზედამხედველობის წესით
представление дипломатическое	დიპლომატიური წარდგინება
представление доказательств	დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენა
предстать перед судом	სასამართლოს წინაშე წარდგომა (წარსდგება)
предумышленное преступление	წინაგანზრახული დანაშაული
предумышленность	წინაგანზრახულობა
предупредительная мера	გამაფრთხილებელი ღონისძიება, ამარიდებელი ღონისძიება
предупредить	1. არიდება (აარიდებს), თავიდან აცდენა (ააცდენს), თავიდან აცილება (ააცილებს); 2. გაფრთხილება (გააფრთხილებს); 3. დაასწრება (დააასწრებს)
предупреждение	1. არიდება, აცდენა, აცილება; 2. გაფრთხილება
предусмотрительность	წინდახედულობა
предустановленный, ая, ое	წინასწარ დადგენილი
предъявитель	წარმომდგენი, წარმდგენი
предъявительский вклад	საწარმდგენლო ანაბარი
предъявление документа	საბუთის წარდგენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

предъявление обвинения	ბრალდების წაყენება
преемник	1. მონაცვლე; 2. მემკვიდრე
преемственность	1. მონაცვლეობითობა; 2. მემკვიდრეობითობა
преемство	1. მონაცვლეობა; 2. მემკვიდრეობა
преждепользование	წინათსარგებლობა
преимущественное право	უპირატესი უფლება
прекращение действия договора	ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა
прекращение дела	საქმის მოსპობა უფლების მოსპობა
прелюбодейство, прелюбодеяние	ძრუშობა
премиальный, ая, ое	პრემიული, საპრემიო
премирование	პრემიის მიცემა, დაჯილდოება
прения сторон	მხარეთა პაექრობა
преобразовательный иск	გარდაქმნითი სარჩელი
препоручение	გადანდობა
препоручительная надпись	გადასანდობი წარწერა
препроводительное письмо	თანდართული წერილი
препятствие к браку	ქორწინების დაბრკოლება
пререкание о подсудности	დავა განსჯადობაზე
пресечение	აღკვეთა
преследование	დევნა
преступить	გადალახვა (გადალახავს), დარღვევა (დაარღვევს)
преступление	დანაშაული
преступление против жизни	სიცოცხლის საწინააღმდეგო დანაშაული
преступная воля	დანაშაულებრივი ნება
преступная небрежность	დანაშაულებრივი დაუდევრობა
преступная самонадеянность	დანაშაულებრივი, თვითიმედოვნება
преступная среда	დანაშაულებრივი წრე, გარემო
преступная халатность	დანაშაულებრივი უგულისყურობა
преступник по ремеслу	ხელობით დამნაშავე
преступное безразличие	დანაშაულებრივი გულგრილობა
преступное деяние	დანაშაულებრივი ქმედობა
преступное упущение	დანაშაულებრივი უმოქმედობა
преступность	1. დანაშაულებრიობა, დანაშაულობა; 2. დამნაშავეობა (პირისა)
преступный умысел	დანაშაულებრივი განზრახვა
при закрытых дверях	კარდახშულში
приведение в действие	ამოქმედება
приведение в исполнение	აღსრულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

привлечение к делу в качестве третьего лица	საქმეში მესამე პირად ჩაბმა
привлечение к ответственности	პასუხისგებაში მიცემა
привлечение к суду	სამართალში მიცემა
привлечение эксперта	ექსპერტის ჩაბმა
привод	მიყვანა, მოყვანა
привязка коллизионной нормы	საკოლიზიო ნორმის მისაკუთვნი
приговоренный, ая, ое	მისჯილი
приготовление к преступлению	დანაშაულის მომზადება, მზადება
пригульный скот	ირაო საქონელი
придание законной силы	კანონიერი ძალის მინიჭება
приемный сын	შვილობილი, ნაშვილევი (ვაჟი)
признание	1. აღიარება; 2. ცნობა
призовое право	საპრიზო სამართალი
прикосновенность к преступлению	დანაშაულის შემხებლობა
прикрытая сделка	შენიღბული გარიგება
примак	ზედსიძე
применение закона	კანონის გამოყენება, კანონია მიყენება
применение наказания	სასჯელის შეფარდება
примечание к статье	მუხლის შენიშვნა
примирительная процедура	მოსარიგებელი პროცედურა
примирительный, ая, ое	მორიგებისა, შერიგებისა, მომრიგებელი, შემრიგებელი, მოსარიგებელი, შესარიგებელი, სამომრიგებლო
принадлежность главной вещи	მთავარი ნივთის საკუთვნებელი, კუთვნილება
принесение жалобы	საჩივრის შეტანა
принесение повинной	ბრალის აღიარება
принесение присяги	ფიცის დადება
принесение протеста	პროტესტის შეტანა
принудительный, ая, ое	იძულებითი
принуждение	იძულება, ძალდატანება
приобретатель	შემძენი, მიმღები
приобретение гражданства	მოქალაქეობის მიღება
приобщение к делу	საქმეზე დართვა
приписка	1. მიწერა; 2. მინაწერი
приращение территории	ტერიტორიის შემატება
прирожденное право	თანდაყოლილი უფლება
прирожденный преступник	დაბადებით დამნაშავე
присвоение власти	ხელისუფლების მითვისება
присвоение звания	1. წოდების მითვისება; 2. წოდების მინიჭება

ეროვნული ბიბლიოთეკა

присмотр	მეთვალყურეობა
присоединение к договору	ხელშეკრულებასთან შეერთება
присоединение наказания	სასჯელის მიმატება
присоединение территории	ტერიტორიის შემოერთება
пристрастность	მიკერძოებულობა
присуждение	1. მისჯა, მსჯავრის დადება; 2. მინიჭება, მიკუთვნება
присуждение к лишению свободы	თავისუფლების აღკვეთის მისჯა
присутствие	1. საკრებულო, დაწესებულება; 2. ყოფნა, დასწრება
присутствующий наследник	ადგილას მყოფი მემკვიდრე
притворная сделка	თვალთმაქცური გარეგნობა
притон воровской	ქურდთა ბუნაგი
притон разврата	გარყვნილობის ბუდე
притязание	პრეტენზია, მოთხოვნა
притязать	პრეტენზიის განცხადება (პრეტენზიას განაცხადებს)
причастность	დაკავშირებულობა
причастный к преступлению	დანაშაულთან დაკავშირებული, კავშირის მქონე
провинившийся, аяся, ееся	შემცოდე
провинность	შეცოდება
провоз контрабандного товара	კონტრაბანდული საქონლის გადატანა.
прогул	გაცდენა (სამუშაოსი)
продолжаемое преступление	განგრძობადი დანაშაული
проживание	ბინადრობა, ცხოვრება
производное владение	წარმოებული მფლობელობა
произвол	თვითნებობა
произвольный, ая, ое	1. თვითნებური; 2. ნებისმიერი
происшествие	შემთხვევა
прокламировать	პროკლამირება, გამოქვეყნება (გამოაქვეყნებს), გამოცხადება (გამოაცხადებს)
пролонгированный, ая, ое	პროლონგირებული, ვადაგაგრძელებული
промотание	გაფლანგვა, განიავება
промысел незаконный	უკანონო სარეწი, სარეწაო, ხელობა
просрочка	ვადის გადაცილება, ვადის გასვლა
простая авария	უბრალო ავარია
простая вещь	მარტივი ნივთი
простительное заблуждение	მისატევებელი შეცდომა, ცდომილება
проступок	გადაცდომა

ეროვნული ბიბლიოთეკა

протестовать	პროტესტის განცხადება (პროტესტს განაცხადებს), პროტესტის შეტანა (პროტესტს შეიტანს), გაპროტესტება (გააპროტესტებს)
противная сторона	მოწინააღმდეგე მხარე
противозаконный, ая, ое	კანონსაწინააღმდეგო
противоправность	მართლწინააღმდეგობა
противоправный, ая, ое	მართლსაწინააღმდეგო
процессуальное право	1. საპროცესო სამართალი; 2. პროცესუალური უფლება.
публикация	პუბლიკაცია, გამოქვეყნება
публичная казнь	საჯაროდ, საქვეყნოდ დასჯა
публичное право	1. საჯარო სამართალი; 2. საჯარო უფლება
публичность	საჯაროობა
публичный дом	საროსკიპო
пулевая рана	ნატყვიარი ჭრილობა

ვერიდოთ ხელოვნური ტერმინების შემოღებას, დავხვეწოთ ლექსიკონი

მ. ლომიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის განყოფილებამ მეტად დიდი და სასარგებლო მუშაობა ჩაატარა იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ლექსიკონის მომზადებით.

ქართული იურიდიული ტერმინების დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც სამართლის მეცნიერებისათვის, ისე იურიდიული დარგის პრაქტიკული მუშაკებისათვის.

ლექსიკონი ძირითადად დამაკმაყოფილებლად არის დამუშავებული. რუსული იურიდიული ტერმინების ქართული შესატყვისების დიდი უმრავლესობა სწორად არის შერჩეული, მაგრამ ზოგიერთი ტერმინი ჩვენის აზრით საჭიროებს დაზუსტებას.

ასე მაგალითად, რუსული გამოქმის «бесхозяйный скот» შესატყვისად ლექსიკონში ნახმარია როგორც „ირაო საქონელი" (ეურნ. საბჭოთა სამართალი № 5) «бесхозяйный» იგივეა, რაც «бесхозный». როგორც პირველი, ისე მეორე ნიშნავს უპატრონოს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1956 წელში გამოცემულ რუსულ-ქართულ ლექსიკონში სიტყვა «бесхозный» თარგმნილია როგორც უპატრონო. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა — 1955 წ.) სიტყვა „ირაო" განმარტებულია, როგორც უპატრონო, დაკარგული, სხვასთან მისული. ი რ ა ო საქონელი — სხვასთან მისული, უპატრონო საქონელი.

რუსული სიტყვა «бесхозный», «бесхозяйный», როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ნიშნავს უპატრონოს და არა სხვასთან მისულს. სხვასთან მისული საქონელი შეიძლება არც იყოს უპატრონო. საქართველოს თითქმის ვერც ერთ კუთხეში ვერ გაიგონებთ, რომ უპატრონოს ნაცვლად ირაოს ხმარობდნენ. ამიტომ ამ სიტყვის ხმარებაში შემოღება რუსული გამოთქმის «бесхозяный»-ს გამოსახატავად არ იქნებოდა არაფრით გამართლებული. სიტყვა „უპატრონო" მშვენიერი შესატყვისია «бесхозяный»-ს და ამიტომ უკეთესია ვიხმაროთ „უპატრონო".

«Военное преступление»-ს შესატყვისად რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის ავტორების მიერ მიჩნეულია ტერმინი „ომის დანაშაული". აკადემიკოს გ. ახვლედიანს სიტყვის «военное»-ს უფრო სწორ შესატყვისად მიაჩნია ტერმინი „ომისეული" (ეურნ. საბჭოთა სამართალი № 1 — 1960 წ. გვ. 41) ან. გელოვანი კი რუსული იურიდიული ტერმინის «военное преступление», ქართულ შესაბამის ტერმინად გვთავაზობს „საომარ დანაშაულს".

ჩვენის აზრით არც „ომის", არც „ომისეული" და არც „საომარი" არ გამოხატავენ იმ აზრს, რაც მოცემულია რუსულ სიტყვაში «военное» „ომის დანაშაულის" ავტორებს ალბათ მხედველობაში აქვთ ის, რომ ამ შემთხვევაში დანაშაული დაკავშირებულია ომთან, წარმოშობილია ომის პირობებით, მაგრამ რუსული გამოთქმის «военное преступление»-ს აზრის „ომის დანაშაული"-თ გამოხატვა რასაკვირველია ზუსტი არ არის. ამ შინაარსის გამომხატველი არ არის აგრეთვე არც „ომისეული" და არც „საომარი".

სიტყვა ომისეული უფრო იმას ნიშნავს, რაც ომმა თავის შედეგად დაგვიტოვა. ჩვენში ხშირად იტყვიან „მამისეული" რაც ნიშნავს მამის ნაქონს, მამისაგან მემკვიდრეობით მიღებულს.

სიტყვა „საომარი" იმას გამოხატავს, რაც ომის საჭიროებისათვისაა განკუთვნილი, გამოსადეგი — მაგალითად საომარი მასალა, საომარი იარაღი, საომარი მოქმედება, საომარი მდგომარეობა და სხვა. ტერმინი — „საომარი დანაშაული" — მიუღებელია თუნდაც იმიტომ, რომ დანაშაული არ შეიძლება იყოს „საომარი". ასეთი გამოთქმა მეტისმეტად ეხამუშება ყურს.

სიტყვა «военное» არ არის იგივე რაც «война», ქართული სიტყვა „ომი" კი სხვა არაფერია, თუ არა «война». მართალია «военное преступление» და «воинское преступление» სხვადასხვა ხასიათის დანაშაულს წარმოადგენენ.

«Военное преступление» ისეთი დანაშაულია, რაც ომის წარმოების კანონების და ადათების დარღვევასთან არის დაკავშირებული, მაგალითად საომარი მოქმედების დროს საერთაშორისო შეთანხმებით აკრძალული იარაღის

ხმარება, (ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და სხვ.), ოკუპირებული ტერიტორიის მოქალაქეთა წამება, მკვლელობა, მონობაში წაყვანა, სამხედრო ტყვეების მკვლელობა, ქალაქებისა და სოფლების უაზრო დანგრევა და სხვ.

«Воинское преступление» სამხედრო სამსახურის წესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია, რასაც ჩაიდენენ სამხედრო მოსამსახურეები სამხედრო ვალდებულები სასწავლო შეკრების გავლის დროს. მაგრამ, როდესაც ჩვენ ამ რუსულ ტერმინებს ქართულად ვთარგმნით, ყველაზე უფრო სწორ შესატყვის გამოთქმას ჩვენის აზრით ორივე შემთხვევაში წარმოადგენს ტერმინი „სამხედრო დანაშაული“, რადგან სიტყვა „სამხედრო“ ამ შემთხვევაში შეიძლება სიტყვის „ომის“ მონაცვლედ ვიხმაროთ.

იმ პირებს, რომლებსაც საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა 1946 წლის სექტემბერში დამსახურებული განაჩენი გამოუტანა (რუს. **«Военные преступники»**) ქართულად ეწოდათ არა „ომის დამნაშავეები“ ან სხვა რამ, არამედ „სამხედრო დამნაშავეები“ (იხ. გაზ. „კომუნისტი“ 1946 წლის 2 ოქტომბრის ნომერი). მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი სამხედრო პირი არ იყო და ყველა ის უმძიმესი ქმედობანი, რაშიდაც ისინი დამნაშავედ იქნენ ცნობილი, უშუალოდ დაკავშირებული იყო ფაშისტური გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებასთან, ომის წარმოების კანონების უხეშ დარღვევებთან, ოკუპირებული ტერიტორიის მშვიდობიან მოქალაქეთა და სამხედრო ტყვეების მასიურ მკვლელობასა და წამებასთან.

შეიძლება ტერმინი „სამხედრო“ ზედმიწევნით ზუსტი გამომხატველი არ იყოს იმ აზრისა, რაც მოცემულია რუსულ სიტყვაში **«военное»**, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ რუსული გამოთქმის **«военное преступление»**-ს უფრო უკეთესი შესატყვისია „სამხედრო დანაშაული“.

«Вероятная смерть» ლექსიკონში თარგმნილია როგორც **„სავარაუდო სიკვდილი“** (ჟურნ. საბჭოთა სამართალი № 5). ჩვენის აზრით გამოთქმა „სავარაუდო“ არ შეესატყვისება რუსულ ტერმინს **«вероятная»**-ს. „ვარაუდი“ ნიშნავს წინასწარ, მიახლოებით ანგარიშს, წინასწარ გათვალისწინებას, წინასწარ მოსაზრებას, მაგრამ ქართულ ენაში გამოთქმას „სავარაუდო სიკვდილი“ იშვიათად თუ შეხვდებით. **«вероятная»** ნიშნავს შესაძლებელს, მოსალოდნელს და უფრო სწორი იქნება **«вероятная смерть»**-ის შესატყვის ქართულ გამოთქმად მივიჩნიოთ „შესაძლო სიკვდილი“, „მოსალოდნელი სიკვდილი“ თუ საერთოდ ამ ტერმინის იურიდიული ტერმინოლოგიის ლექსიკონში შეტანა აუცილებელია.

რუსული იურიდიული ტერმინის **«Вид на жительство»** შესატყვისად ლექსიკონში ნახმარია „საბინადრო მოწმობა“. სიტყვა **«жительство»** ნიშნავს არა საბინადროს, არამედ ბინადრობას. როდესაც ქართულად ვთარგმნით რუსულ გამოთქმას „**«Вид на жительство»** ვამბობთ არა საბინადრო მოწმობას, არამედ „ბინადრობის მოწმობას“. ეს გამოთქმა დიდი ხანია მტკიცედ არის დამკვიდრებული ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში, ამგვარადაა ის დადგენილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1956 წელს გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონით და ჩვენის აზრით არ არის საფუძველი ამ საკითხში სიახლის შეტანისათვის.

«Лжекооператив»-ის შესატყვისად ლექსიკონში მოცემულია ქართული გამოთქმა „ტყუილი კოოპერატივი“. ამ ტერმინის განმსაზღვრელი ფესვი არის სიტყვა **«Лже»** რაც უდრის ჩვენებურად „ცრუს“, თუ სიტყვა **«Лженаука»**-ს ნაცვლად შესატყვისად რუსულ-ქართულ ლექსიკონში მოცემულია „ცრუმეცნიერება“, **«Лжесвидетель»**-ის ნაცვლად „ცრუმოწმე“, რატომ არ შეიძლება **«Лжекооператив»**-ის ნაცვლად ვიხმაროთ „ცრუ კოოპერატივი“. ჩვენის აზრით ამ აზრის გამოსათქმელად სიტყვა „ცრუ“ უფრო მისაღებია ვიდრე ტყუილი. საერთოდ, ჩვენს პრაქტიკაში არც ვხმარობთ გამოთქმას „ტყუილი კოოპერატივი“. ყოველთვის იხმარება ცრუკოოპერატივი, ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა თუ **«Лжекооператив»**-ის შესატყვისად „ცრუკოოპერატივს“ მივცემდით უპირატესობას.

ან. გელოვანს მიზანშეწონილად მიაჩნია ტერმინი „თანამონაწილეობა“ შეიცვალოს ტერმინით „წილჩადებულობა“ (ჟურნ. საბჭოთა სამართალი 1960 წ. № 1, გვ. 45).

მას მიაჩნია, რომ „წილჩადებულობა“ უფრო უკეთ გამოხატავს დანაშაულში თანამონაწილეობის იურიდიულ ბუნებას, რადგან „თანამონაწილეობა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით თითქოს გულისხმობს თანამონაწილის ყოფნას დანაშაულის აღსრულებისას, ხოლო ეს ყოფნა თითქოს არ მოითხოვდეს მის თანამზრახველობას“ (ჟურნ. საბჭოთა სამართალი № 1 — 1960 წ. გვ. 45).

ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. რუსულ-ქართულ ყველა ლექსიკონში ტერმინი **«соучастие»** თარგმნილია, როგორც „თანამონაწილეობა“. არსებითად ეს ქართული ტერმინი ზუსტად გამოხატავს დანაშაულის ჩადენაში „წილის ჩადებას“ როგორც პიროვნების

„დანაშაულის აღსრულებისას ყოფნის, ისე თანამზრახველობის“ თვალსაზრისით. ტერმინი „წილჩადებულობა“, რომელიც უცხოა ქართული იურიდიული ტერმინოლოგიისათვის, რომ უკეთ გამოხატავდეს დანაშაულის ჩადენაში პიროვნების მონაწილეობის ცნებას, მაშინ რასაკვირველია საჭირო იქნებოდა მისი შემოღება და ალბად თანდათან შევეჩვეოდით მას, მაგრამ, ეს სიტყვა არა თუ უფრო უკეთ გამოხატავს ამ აზრს, არამედ პირიქით.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონის მოცულობის შესახებ. როგორც ცნობილია, მეცნიერული ტერმინი ისეთ სიტყვას ეწოდება, რომელსაც აქვს სპეციალური, ზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობა მოცემული მეცნიერებისათვის. ამა თუ იმ მეცნიერებაში მტკიცედ დადგენილი ტერმინები შეადგენენ გარკვეული მეცნიერების ტერმინოლოგიას.

ამ პრინციპით არის დამუშავებული რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის ლექსიკონი, მაგრამ მასში აქა-იქ გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც თავისთავად არ წარმოადგენენ იურიდიულ ტერმინებს. რასაკვირველია იურიდიულ მეცნიერებაში, იუსტიციის ორგანოების პრაქტიკულ მუშაობაში და საერთოდ იურისპრუდენციაში იხმარება ყველა სიტყვა, რაც ამა თუ იმ ენის ლექსიკაშია მოცემული. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა სიტყვას, რომელიც ამა თუ იმ იურიდიულ დოკუმენტში იხმარება, იურიდიული მნიშვნელობა მივცეთ. მაგალითად ლექსიკონში იურიდიული მნიშვნელობის ტერმინების სახით შეტანილია «Изъян» — ნაკლი, «Исповедание» — სარწმუნოება — რჯული, აღსარება, «Кустарная промышленность» — შინამრეწველობა, «добро» — სიკეთე, დოვლათი, ქონება, ავლადიდება, «запальчивость» — სიფიცხე და სხვა.

ჩვენის აზრით აღნიშნული სიტყვები თავისთავად არ წარმოადგენენ იურიდიულ ტერმინებს და სწორი იქნებოდა თუ იმ სიტყვებს, რომლებსაც არა აქვთ უშუალო იურიდიული მნიშვნელობა — ამოვიღებდით რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის ლექსიკონიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბომ-ალმანაკი

უფრო მჯიდროდ ვებრძოლოთ ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი

საბჭოთა ხალხმა, რომელიც წარმატებით ახორციელებს სკკპ XXI ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, დიდი წარმატებები მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში, განუწყვეტლივ უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა. ფართოვდება მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის. საბჭოთა ადამიანების ფიქრი, გრძნობა და საქმე მიპყრობილია იმისადმი, რომ ვადამდე შეასრულონ შვიდწლედის დავალებანი, განამტკიცონ სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება, განამტკიცონ მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

მაგრამ ცალკეულ ადამიანთა შეგნებაში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა კაპიტალიზმის გადმონაშთები. ეს გადმონაშთები ვლინდება საზოგადოებრივი საკუთრებისადმი, შრომისადმი, საბჭოთა სახელმწიფოს კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დაცვისადმი დაუდევარი დამოკიდებულებით.

ამას წინათ პარტიული და სამეურნეო აქტივის მონაწილეობით გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმის 1958 წლის 11 აპრილის დადგენილება „სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ა. გეგეშიძემ.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები, — ამბობს ამხ. გეგეშიძე, — შვიდწლედის დავალებათა ვადამდე განხორციელებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ახალი სტიმული გახდა. ქალაქის მრეწველობამ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა შვიდწლიანი გეგმა. გასული წლის პროდუქციის დონე გადაჭარბებულია 11 პროცენტით და მეტად. ბევრი რამ გაკეთდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისთვისაც.

ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა მრეწველობის, ტრანსპორტის, საქალაქო მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომ განვითარებასთან ერთად გარკვეული წარმატებები მოიპოვეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში, სახელმწიფოებრივი და პარტიული დისციპლინის ამაღლებაში, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაში. ამ საქმეს დიდად შეუწყო ხელი პარტიისა და მთავრობის დადგენილებებმა, რომელთა მიზანია მოქალაქეების უფლებათა და ინტერესების დაცვა, მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა ანტისაზოგადოებრივი მოვლენებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგრამ,—აღნიშნავს მომხსენებელი,—ქალაქში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე როდია სოციალისტური საკუთრების დაცვის, სახელმწიფო დისციპლინის დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის საქმეში. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია იდეოლოგიურ და მასობრივ-აღმზრდელობით მუშაობას არ უკავშირებს საწარმო-დაწესებულებათა ყოველდღიურ ცხოვრებას. ამის შედეგად ეს მუშაობა საკმაოდ ქმედითი არ არის, ხელს არ უწყობს მშრომელთა სოციალისტური შეგნებულობის ამაღლებას.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები საკმაოდ ვერ ახორციელებენ კონტროლს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, სუსტად იყენებენ პარტიული კონტროლის კომისიებს, ჯერ კიდევ ყველგან არ არის მიღწეული ხელმძღვანელი კადრების, და პირველ რიგში კომუნისტების მინდობილ სამუშაო უბანზე საქმის მდგომარეობისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერება. საკმარისი არ არის აღმზრდელობითი ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ცალკეული პირების მიერ წარსულის გადმონაშთების გამოვლინება, რომლებიც უცხოა სოციალისტური წყობილებისათვის.

ამხ. გეგეშიძეს მოჰყავს ცალკეულ საწარმოებში, დაწესებულებებში და მშენებლობებზე გაფლანგვა-დატაცებისა და სხვა ბოროტმოქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებათა ფაქტები. უკანასკნელ ხანს ქალაქში რამდენადმე გაუმჯობესდა სამრეწველო და სასურსათო საქონლით ვაჭრობა, მაგრამ სავაჭრო ქსელში ჯერ კიდევ ხდება გაფლანგვა-დატაცება, „გვერდულა“ საქონლით ვაჭრობა, მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუება.

პარტიული ორგანიზაციები, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, მოვალენი არიან დროულად გამოეხმაურონ და სწორი პოლიტიკური შეფასება მისცენ გაფლანგვა-დატაცების, სახელმწიფოს ინტერესებისათვის ზარალის მიყენების თვითეულ ფაქტს, გახადონ იგი საზოგადოებრივი განხილვის საგანი. კონკრეტულ დამნაშავეთა და ბოროტმოქმედთა დასჯასთან ერთად საჭიროა მკაცრი პასუხი მოეთხოვოთ იმ ხელმძღვანელებსაც, რომლებმაც თავიანთი დოყლაპიობით ხელი შეუწყეს გაფლანგვა-დატაცებას.

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებებთან ერთად პარტია და მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კოლექტიურ და საბინაო-კოოპერაციულ, აგრეთვე ინდივიდუალურ მშენებლობას, რაც მოსახლეობის დანაზოგებითა და სახელმწიფო კრედიტით ხორციელდება. ამ მხრივ ბევრი რამ განხორციელდა ჩვენს ქალაქშიც.

უკანასკნელ ხანებში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი უფრო მოფიქრებულად და დაკვირვებით უძღვება ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის საქმეს, წესრიგი დაამყარა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაში, განახორციელა ღონისძიებანი თვითნებური მშენებლობის აღმოსაფხვრელად.

მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანს მდგომარეობა ამ მხრივ რამდენადმე გაუმჯობესდა, ქალაქში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა სისხლის სამართლის დანაშაულობანი, ხულიგნობა. ფაქტები მოწმობენ, რომ მათ უმთავრესად სჩადიან გაურკვეველი საქმიანობის ადამიანები, რომლებიც არ ეწევიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, მოხეტიალე ელემენტები, რომლებიც ხშირად გაწერილიც არ არიან ქალაქში.

ამხ. გეგეშიძე აღნიშნავს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებისა და ამხანაგური სასამართლოების ნაყოფიერ საქმიანობას, ქალაქის საწარმოებსა და ორგანიზაციებში შექმნილია საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი სახალხო რაზმეულები, რომლებშიც გაერთიანებული არიან საწარმოთა მოწინავე ადამიანები, მუშაობენ აგრეთვე ამხანაგური სასამართლოები. კანონიერების პირველად დამრღვევ პირთა ახლებურად აღზრდისა და გამოსწორების საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების აქტიური მოხაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა ის, რომ მათ თავდებად დაუდგნენ მშრომელთა კოლექტივები. თავდებობით წაყვანილ პირთა დიდი უმრავლესობა კოლექტივების დახმარებით ამართლებს გაწეულ ნდობას.

ამასთანავე, უკანასკნელ ხანს პარტიული და საბჭოთა, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოების გარკვეული თვითდამშვიდების შედეგად ქალაქში გახშირდა ხულიგნობისა და სხვა ამორალური მოვლენების შემთხვევები.

ამხ. გეგეშიძემ გააკრიტიკა ნაკლოვანებანი მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მუშაობაში. მიუხედავად მუშაობის რამდენადმე გაუმჯობესებისა, ისინი ჯერ კიდევ ვერ აწარმოებენ ქმედით ბრძოლას სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა, სპეკულანტთა, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ; სათანადოდ არ იცავენ მოქალაქეთა უფლებებსა და ინტერესებს, ზოგჯერ შემარიგებლურად ეკიდებიან უკანონობას. მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების ზოგიერთმა მუშაკმა არასწორად გაიგო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებანი სოციალისტური კანონიერების დაცვაში საზოგადოებრიობის როლის გაძლიერების შესახებ და უსაფუძვლოდ ცვლიან სისხლის სამართლის სანქციებს გამოუსწორებელ დამნაშავეთა მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებით.

ამავე დროს პარტიის საქალაქო კომიტეტი და რაიკომები, კომკავშირული ორგანიზაციები, პროფკავშირები ჯერ კიდევ ვერ უწევენ სათანადო დახმარებას მილიციის ორგანოებს. სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევთა მნიშვნელოვან ნაწილს ახალგაზრდები შეადგენენ. კომკავშირული ორგანიზაციები უნდა გახდნენ ყველა იმ წამოწყების ინიციატორები, რომელთა მიზანია ახალგაზრდობის გონივრული დასვენების მოწყობა, ყველა ქალიშვილისა და ჭაბუკის ჩაბმა მუშაობაში თავისი მშობლიური ქალაქის კეთილმოსაწყობად.

დასასრულ ამხ. გეგეშიძემ გამოთქვა რწმენა, რომ თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები აქვს, შეძლებს უზრუნველყოს შვიდწლედის ყველა დავალების წარმატებით შესრულება, მიაღწევს იმას, რომ თბილისი გადაიქცეს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის ქალაქად, ღირსეულად შეხვდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის სახელოვან 40 წლისთავს.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ნ. გოშაძემ** დაახასიათა წარმატებანი რაიონის მრეწველობის მშრომელებისა, რომლებმაც შვიდი თვის გეგმა 104,7 პროცენტით შეასრულეს და გამოუშვეს 44 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ამასთან იგი შეეხო რაიონის საწარმოებში უყაირათობისა და ბოროტმოქმედების, სიფხიზლის შესუსტებისა და დოყლაპიობის მთელ რიგ ფაქტებს, რასაც მოჰყვა სოციალისტური საკუთრების დატაცება. ორატორი ამბობს, რომ ხელმძღვანელი საქალაქო ორგანიზაციები და ცალკეული სამეურნეო ხელმძღვანელები კადრების შერჩევის დროს ყოველთვის როდი იღებენ ყურად ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხმას.

ტრიბუნაზეა კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი **ე. ზ. თავაძე.** იგი შეეხო სოციალისტური კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების საკითხს. კამვოლ-მაუდის კომბინატში მუშების სიფხიზლის გამახვილების შედეგად მხილებულ იქნენ სახელმწიფო ქონების მთელი რიგი დამტაცებელნი, მაგრამ მილიციისა და სასამართლოს ორგანოები სათანადო ოპერატიულობასა და სიმტკიცეს ვერ იჩენენ გამომჟღავნებულ დანაშაულთა გამოძიებაში, დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემასა და დასჯაში.

— სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელის მუშაკთა დიდი უმრავლესობა, თქვა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა **მ. ბ. ღვინჯილიამ,** ბევრ შრომას ახმარს სავაჭრო მუშაობის გაუმჯობესების საქმეს. მაგრამ ვაჭრობის მუშაკთა კადრების შემადგენლობაში ჯერ კიდევ იპარება ზოგიერთი ვიგინდარა, ყალთაბანდი და სპეკულანტი. ეს არაკეთილსინდისიერი ელემენტები არღვევენ ვაჭრობის წესებს და ატყუებენ მომხმარებლებს, ჰყიდიან უფაქტურო საქონელს, ფარულად ჰყიდიან გადამალულ სამრეწველო საქონელს, რომელზეც მოსახლეობაში განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა. ორატორი აღნიშნავს, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო სავაჭრო ქსელში წესრიგის დასამყარებლად და მომხმარებელთა მომსახურების გასაუმჯობესებლად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. ზ. ბუდუმიანმა** დაახასიათა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმების საქმიანობა, შეეხო იმას, თუ რა დიდი როლი ეკუთვნის მშრომელთა აღზრდის საქმეში ამხანაგურ სასამართლოებს. ამას წინათ პარტიის რაიკომმა მოაწყო სემინარი რაზმების, ხელმძღვანელებისა და ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეებისათვის, რომელზეც მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის პროკურორმა ამხ. **თოფურიძემ.** მაგრამ რაიონში კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით ვხვდებით სისხლის სამართლის დანაშაულობას, ორატორი ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა გაჩაღდეს ბრძოლა წარსულის ისეთი დამამცირებელი გადმონაშთის წინააღმდეგ, როგორიც არის ფულის ჩუქება მომსახურებისათვის.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს უფროსი **ა. პ. ძრიელიშვილი** აღნიშნავს, რომ ზოგიერთი წარმატება, რომლებიც ქალაქის საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში მოვიპოვეთ 1959 წელს, მიმდინარე წელს ვერ შევინარჩუნეთ. მილიციის, სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების მხრივ მომთხოვნელობისა და კონტროლის შესუსტების შედეგად კვლავ გამრავლდა ხულიგნობის, დანის ტრიალის და სხვა დანაშაულის, აგრეთვე მოქალაქეთა უფლებების დარღვევის ფაქტების რიცხვი. დანაშაულობის უმრავლესობა ჩადენილია სომთვრალის დროს. საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. კომკავშირული და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები მოწოდებული არიან გაუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში. საჭიროა ავამაღლოთ მილიციის თანამშრომელთა კულტურა, მოვაწყოთ მუშაობა დანაშაულობის პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისათვის.

უკანასკნელ ხანს, — ამბობს ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვ. ს. ჯანჯღავა,** — ლენინის რაიონის საზოგადოებრიობა უფრო აქტიურად მონაწილეობს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთი დარღვევის ყოველი ფაქტი პარტიული, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების განხილვის საგანი ხდება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის მეორე მდივანმა **ე. ა. სალუქვაძემ** ილაპარაკა იმაზე, რომ მოხსენებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი გამოწვეულია კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში დაშვებული შეცდომებით, კადრებთან სუსტი მუშაობით. მილიციის, სასამართლოს და პროკურატურის ზოგიერთი ორგანოს პარტიული ორგანიზაციები საკმაო ინიციატივას ვერ იჩენენ მუშაობაში, არ განიხილავენ თავიანთ დაწესებულებათა საქმიანობის კონკრეტულ საკითხებს, არ აყენებენ ამ საკითხებს ზემდგომი პარტიული ორგანოების წი-

ნაშე. ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკები კანონებისა და წესრიგის დამრღვევთა სასტიკი დაგმობის ნაცვლად მათს შუამდგომლებად გამოდიან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. ე. მელაძე** დაწვრილებით ანალიზს უკეთებს ინდივიდუალური, საგარაკო და კოოპერაციული მშენებლობის საქმის ვითარებას, ამბობს, თუ რა სერიოზული შეცდომები დაუშვა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ამ საქმის ხელმძღვანელობაში. კოოპერატივების წევრად ხშირად იღებდნენ ისეთ პირებს, რომლებსაც საკმაო საცხოვრებელი ფართობი აქვთ ანდა რომელნიც არც კი ცხოვრობენ თბილისში და საკუთარი სახლების მშენებლობა და გაყიდვა გაუხდიათ მუდმივ საქმიანობად, პირადი გამდიდრებისა და სპეკულანტური კომბინაციების წყაროდ. სახსრების ხარჯვის დროს კოოპერატივები უხეშად არღვევდნენ ფინანსურ დისციპლინას, მოწყობილობისა და საშენი მასალების შეძენის დადგენილ წესს, მშენებლობის პროცესში მყოფ ზოგიერთ სახლში აღმოჩნდა პროექტების დარღვევა.

საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ა. ანდრონიკაშვილმა** თავისი სიტყვა მიუძღვნა ახალგაზრდობაში აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს. კრიტიკა, — თქვა მან, — რომელიც ამხ. გეგეშიძის მოხსენებაში შეეხო კომკავშირის საქმიანობას, ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, სავსებით სწორია, მართალია, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმეულების შემადგენლობაში 60 პროცენტამდე კომკავშირელი და ახალგაზრდაა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის საკმარისი კომკავშირის მონაწილეობა ამ დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმეში. იგი ამბობს, რომ დამაკმაყოფილებლად არ არის მოწყობილი ახალგაზრდობის გონივრული დასვენება, რომ ცუდად მუშაობენ მთელი რიგი კლუბები, რომელთა საქმიანობა კინოფილმების ჩვენებით ამოიწურება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ხარატმა **პ. ზ. ტენიშჩევმა**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ **ს. ი. ქაჯაიამ**, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის მდივანმა **შ. ა. დოლიძემ.**

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **პ. ვ. კოვანოვმა.**

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო ვრცელი გადაწყვეტილება.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა **გ. ს. ძოწენიძემ, გ. ნ. ჯიბლაძემ, ფ. დ. დუმბაძემ, მ. მ. ლელაშვილმა, ი. გ. რთველიაშვილმა.** (საქდესი).

აღვკვეთოთ საშიში დანაშაულობანი, განვამტკიცოთ საზოგადოებრივი წესრიგი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სხდომათა დარბაზში გაიმართა პროკურატურის მუშაკთა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პროკურორები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ გ. ბიწაძემ.

მოხსენებით — „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში დამნაშავეობა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი“ — გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი **მ. თოფურიძე.**

— სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, — ამბობს მომხსენებელი,— ავითარებენ საბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიულ პრინციპებს, აწესებენ, რომ სასჯელი წარმოადგენს არა მარტო დასჯას, არამედ იგი მიზნად ისახავს საზოგადოებრივ საქმეში ქმედობის ჩამდენ პირთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდას, გაფრთხილებას, რომ ხელმეორედ არ იქნეს ჩადენილი ახალი დანაშაული. ამავე დროს საფუძვლები აწესებენ, რომ მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული უნდა იქნას სასჯელის ყველაზე მკაცრი ღონისძიება.

დამნაშავეობასთან ბრძოლაში საზოგადოების როლის ამაღლებამ დიდად შეუწყო ხელი დანაშაულობათა თავიდან აცილებას, აგრეთვე სხვა ისეთ დარღვევათა აღმოფხვრას, რასაც ზიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაქვს საზოგადოებისათვის. ახალი ამოცანების შესაბამისად. მუშაობის გარდაქმნის შედეგად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთა რაოდენობა 1960 წლის პირველ ნახევარში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა. ეს მეტყველებს რომ პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებმა სწორად გაიგეს პარტიისა და მთავრობის მითითება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და სასჯელის ზომის სწორად შეფარდებაზე. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევებთან და დანაშაულის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლის საქმეში ყველაფერი რიგზეა. განსაკუთრებით საგულისხმოა და უნდა ჩავუფიქრდეთ, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ფართო ხასიათი მიიღო ისეთი საშიში დანაშაულის შემთხვევებმა, როგორიცაა: დამამძიმებელ გარემოებაში წინასწარგანზრახული მკვლელობა, ავაზაკური თავდასხმები, მოქალაქეთა ძარცვა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება. ყოველად მოუთმენელია, რომ ზოგიერთი ზემოჩამოთვლილი საშიში ხასიათის დანაშაული ჯერ კიდევ გაუხსნელია და დამნაშავენი დაუსჯელნი დადიან.

— მაგალითად, თუ გასული წლის მეორე ნახევარში გახსნილი იყო საშიში ხასიათის მძიმე დანაშაულთა 92 პროცენტი, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გახსნილია მხოლოდ 87 პროცენტი. შემდეგ მომხსენებელს მოყავს მთელი რიგი ფაქტები, როდესაც ცუდი გამოძიების შედეგად გაუხსნელია მთელი რიგი საქმეები, განსაკუთრებით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების.

— 1960 წლის პირველ ნახევარში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, დანაშაულობათა ზრდა განსაკუთრებით შეიმჩნევა აბაშის, გეგეჭკორის, ზესტაფონის, კასპის, ქარელის, ყვარლის, მახარაძის, მცხეთის, თელავის, წალენჯიხის რაიონებში. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში განსაკუთრებით საშიში ხასიათის დანაშაულობანი გაიზარდა თბილისის ლენინის, სტალინის, ოქტომბრის, 26 კომისრების, კალინინის და ორჯონიკიძის რაიონებში.

ამხ. **მ. თოფურიძე** ვრცლად ჩერდება და ანალიზს უკეთებს იმ ნაკლოვანებებს, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი პროკურატურის ორგანოების საქმიანობაში, მკაცრად აკრიტიკებს რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პროკურორებს, რომლებსაც სათანადო პრაქტიკული დასკვნები არ გაუკეთებიათ სკკპ XXI ყრილობის მითითებიდან — საზოგადოებრიობის როლის გაძლიერების შესახებ სოციალისტური მართლწესრიგის დაცვაში, ნაკლებად იყენებენ დარწმუნებისა და გამაფრთხილებელ მეთოდებს.

— საშიშ დანაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლაში მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებთან ერთად აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ სახალხო რაზმები, ამხანაგური სასამართლოები, მთელი საზოგადოებრიობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ საქმეში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმა მეტად სასარგებლო და აუცილებელია. სამწუხაროდ, ამას სრულიად უგულებელყოფენ წყალტუბოს რაიონში. შემთხვევითი არ არის, რომ აქ მთელი რიგი მძიმე ხასიათის დანაშაულობანი ჯერ კიდევ გაუხსნელია. მაგალითად, სოფელ ფარცხანაყანების სტალინის სახელობის კოლმეურნეობის დარაჯის მკვლელები დაუსჯელნი არიან. გამოვლინებული და მხილებული არ არიან ის პირები, რომლებმაც მიმდინარე წლის 16 ივნისს მძიმედ დასჭრეს მოქალაქე ე. სიმსოვა, ასევე დაუსჯელნი არიან სანატორიუმ „დრუჟბა“ და „ჟელეზნოდოროჟნიკიდან“ მსხვილი თანხის დამტაცებლები. იგივე შეიძლება ითქვას აბაშის, წულუკიძის და სხვა რაიპროკურატურათა მუშაობის შესახებ.

შემდეგ ამხ. **მ. თოფურიძე** შეეხო მოქალაქეთა უსაფუძვლო დაპატიმრების შემთხვევებს და აღნიშნავს, რომ აღმკვეთი ღონისძიების შერჩევისას პატიმრობის შეფარდება დაშვებული უნდა იქნეს კანონის ზუსტი შესაბამისობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ხასიათისა და გარემოებათა მიხედვით პატიმრობა ნამდვილად აუცილებელია. მომხსენებელი შეჩერდა აგრეთვე სასამართლოში მსჯავრდადებულთა სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლების საქმეების განხილვაში პროკურორის მონაწილეობაზე, სასამართლოს განაჩენების აღსრულებაზე და ვადამდე პირობით განთავისუფლებაზე, სასამართლოებში საქმეების განხილვისადმი ზედამხედველობის განხორციელებაზე და სხვა.

— საზოგადოებრიობის ფართო ჩაბმით, — ამბობს დასასრულს ამხ. **მ. თოფურიძე**, — უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ბოლო მოვუღოთ ისეთ სამარცხვინო ექსცესებს, როგორიცაა სოციალისტური საკუთრების, სიცოცხლის, მოქალაქეთა ქონებისა და პირადი უშიშროების დანაშაულებრივი ხელყოფის, ლოთობის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

ქ. თბილისის პროკურორმა **ა. პაიჭაძემ** ანალიზი გაუკეთა რა ქ. თბილისში საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ ჩატარებულ ღონისძიე-

ბათა შედეგებს, მოიყვანა იმის კონკრეტული მაგალითები, თუ თბილისის ზოგიერთი რაიპროკურატურა საშიში დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ როგორ შემწყნარებლობასა და ლიბერალობას იჩენს. საილუსტრაციოდ ამხ. **ა. პაიჭაძემ** დაასახელა სტალინის რაიონის პროკურატურაში წარმოებული აივაზოვის საქმე.

— სავაჭრო ქსელში, — ამბობს ა. პაიჭაძე, — ჯერ კიდევ გამძვრალი არიან ისეთი პირები, რომლებიც ზომა-წონაში მოტყუებისათვის ადრე ნამყოფი იყვნენ სასამართლო პასუხისგებაში. ეს პირები ამჟამადაც განაგრძობენ თავიანთ ბნელ საქმიანობას და კვლავ ეწევიან მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუებას, მათ წინააღმდეგ კი გადამჭრელი ზომები არაა მიღებული. ამაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ მიმდინარე წელს, თბილისში ზომა-წონაში მოტყუების მხოლოდ 7 შემთხვევაა გამოვლენებული.

აჭარის ასს რესპუბლიკის პროკურორი **გ. გოგიტიძე** შეჩერდა იმ ნაკლოვანებებზე, რაც ჯერ კიდევ იგრძნობა აჭარის ასსრ პროკურატურის მუშაობაში. შემდეგ ორატორი შეეხო დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებების შეფარდების კვალიფიკაციას, განაჩენების სისრულეში მოყვანის გაჭიანურების შემთხვევებს, თათბირს გააცნო ის ღონისძიებანი, თუ რა მუშაობა წარმოებს აჭარაში ყოფილ დამნაშავე პირთა საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის.

თათბირი ვერ დააკმაყოფილა წითელწყაროს რაიპროკურატურის გამომძიებლის **ბ. ბოსტოღანაშვილის** გამოსვლამ, რომელიც შეეცადა მის მიერ წარმოებაში დამთავრებული საქმეების ხელმეორედ ძიებაში დაბრუნება აეხსნა ობიექტური მიზეზებით.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი **ი. ღარიბაშვილი** შეეხო მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების ერთობლივი მუშაობის საკითხებს საშიშ დანაშაულთა გახსნის საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **მ. ვეფხვაძე** ვრცლად შეჩერდა იმ ღონისძიებებზე, რასაც რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები ახორციელებენ მძიმე დანაშაულის ჩამდენ და საშიშ რეციდივისტთა მიმართ მკაცრი ღონისძიების შეფარდებისათვის.

— ხშირად სახალხო სასამართლოები, — ამბობს ამხ. მ. ვეფხვაძე, — თავის წარმოებაში ღებულობენ ცუდად გამოძიებულ საქმეებს, სადაც საკმაოდ არ არის გამორკვეული მთელი რიგი გარემოებანი, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართლიანი და თანაზომიერი სასჯელის დანიშვნის საკითხის გადასაწყვეტად, ხოლო ზოგ შემთხვევაში ბრალდებულის სამართალში მიცემის ან საზოგადოებრიობის განსახილველად გადაცემის მიზანშეწონილობის საკითხის გადასაწყვეტად.

რაიონში სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში მშრომელთა მონაწილეობის ფორმებზე, აგრეთვე იმ ღონისძიებებზე, თუ როგორ ხორციელდება საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა, თათბირს მოუთხრო ლანჩხუთის რაიპროკურორმა **მ. კეკელიამ.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე თელავის რაიონის პროკურორმა **ა. გეგიამ,** თბილისის სტალინის რაიონის პროკურორმა **ვ. ფონიამ,** მახარაძის რაიონის პროკურორმა **ე. გოგუაძემ,** ქ. სოხუმის პროკურორმა **ე. არზიანმა,** საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორმა **ბ. მამულიამ.**

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ფ. დუმბაძემ.** — კომუნისტური პარტია, — ამბობს ამხ. ფ. დუმბაძე,—უდიდეს ყურადღებას აქცევს მშრომელთა აღზრდას შრომისმოყვარეობის, კოლექტივიზმის, სოციალისტური მორალის პრინციპების სულისკვეთებით. ახალი ადამიანი ყალიბდება გმირულ შრომაში წარსულის გადმონაშთების დაძლევის გზით.

— ჩვენი ხალხი, რომელიც ჩაბმულია კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, ვეღარ შეურიგდება იმ ქმედობას, რასაც საზოგადოების ზოგიერთი წევრი ჩადის, რაც ზიანს აყენებს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

— დიდი მნიშვნელობა აქვს პროფილაქტიკურ აღმზრდელობით ღონისძიებათა გატარებას, რომელიც თავიდან აგვაცილებს, ხოლო ზოგჯერ მთლიანად გამორიცხავს იმას, რომ ცალკეულმა პირებმა გამოავლინონ ჩვენი წყობილებისათვის უცხო, წარსულის მავნე გადმონაშთები. ხულიგნობის, ლოთობის, დისციპლინისა და სხვა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა თავიდან აცილების ამოცანა შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით, რაც უფრო მეტად გაუმჯობესებს სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მუშაობას და ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მართვაში მასების ფართოდ ჩაბმას.

— რესპუბლიკის პროკურატურამ უკანასკნელ ხანს განახორციელა სერიოზული ღონისძიებანი პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულებისათვის, დანაშაულობათა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდან აცილებისა და სხვა ისეთ სამარცხვინო მოქმედებათა აღსაკვეთად, რასაც ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის.

— ამვე დროს ბოლშევიკური პრინციპულობით, კრიტიკითა და თვითკრიტიკით უნდა აღვნიშნოთ ის სერიოზული ხარვეზები, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი პროკურატურის ორგანოების საქმიანობაში. საქმეთა საგრძნობი ნაწილის გაუხსნელობის მიზეზია ის, რომ პროკურორები და გამომძიებლები ხშირად საქმეთა გამოძიებისა ან შემოწმების დროს ზუსტად არ იცავენ „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების“ მოთხოვნას დამამტკიცებელი საბუთების თავისი შინაგანი რწმენით შეფასების შესახებ. ცოტა როდია ისეთი შემთხვევა, როდესაც სისხლის სამართლის გამოძიება არ წარმოებს საზოგადოებრიობაზე დაყრდნობით, მისი აქტიური მონაწილეობით, რაც ხელს შეუწყობს დამნაშავეთა მხილებასა და დანაშაულის თავიდან აცილებას. მთელი რიგი ნაკლოვანებანია დაშვებული დამნაშავეთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კოლექტივებზე შუამდგომლობით გადაცემის საქმეში. იშვიათი როდია შემთხვევა, როდესაც კოლექტივის შუამდგომლობის საფუძველზე აღსაზრდელად გადაცემენ ისეთ პირს, რომელიც ადრე ნამყოფი იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში ანალოგიური დანაშაულისათვის.

შემდეგ ამხ. ფ. დუმბაძე შეეხო პროკურატურის მუშაკთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების, თეორიული ცოდნის ამაღლების აუცილებლობას. ამ ორგანოების მუშაკები უნდა იყვნენ პრინციპულნი, შეურიგებელნი იმათ მიმართ, ვინც მოიწადინებს საბჭოთა კანონების ფეხქვეშ გათელვას.

— საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლა, — ამბობს დასასრულ ამხ. ფ. დუმბაძე, — არა მარტო პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების, მილიციის, სასამართლო და პროკურატურის ორგანოების საქმეა, არამედ ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩავაბათ საზოგადოებრიობა, რაც კიდევ უფრო დაიჩქარებს დანაშაულობათა შემცირებას.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის

საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც ამ დღეებში გაიმართა მიეძღვნა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების მტკიცედ დაცვას. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **მ. ვეფხვაძე.**

— საბჭოთა მართლწესრიგის დაცვა, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების პატივისცემა, — ამბობს ამხ. მ. ვეფხვაძე, — ჩვენი საზოგადოების დამახასიათებელ ნიშნად იქცა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ საზოგადოებრივი ყოფაქცევის ნორმებს, არღვევენ წესრიგს, რაც მშრომელთა სამართლიან აღშფოთებას იწვევს, ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებიდან, საქართველოს სასამართლო ორგანოებს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებენ. ამ მიმართებით გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა, მაგრამ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ფაქტებს, როდესაც სასამართლო ორგანოები განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა ცალკეული საქმეების განხილვის დროს დამნაშავეს არ უფარდებენ სასჯელის მკაცრ ზომას. არ წარმოებს გადამწყვეტი ბრძოლა მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, აგრეთვე სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა, სპეკულანტთა და სხვა ჯურის დამნაშავეთა წინააღმდეგ.

— იშვიათი როდია შემთხვევა, როდესაც სახალხო სასამართლო უშვებს უხეშ შეცდომებს და სისხლის სამართლის დამნაშავეებს უმიზეზოდ უფარდებს ლმობიერ სასჯელს.

— ამ მხრივ დამახასიათებელია კასპის რაიონის სახალხო სასამართლოს მუშაობა. სახალხო მოსამართლე ა. გოგოლაძემ ამას წინათ განიხილა ვინმე ი. გ. გრაკლიშვილის დანაშაულის საქმე. ი. გრაკლიშვილი ადრე სამჯერ იყო გასამართლებული ქურდობისათვის. იგი პატიმრობიდან განთავისუფლდა გასული წლის სექტემბერში და კვლავ ხელი მიჰყო ქურდობას. მან გატეხა სავაჭრო წერტი სადგურ მეტეხში და რამდენიმე ათასი მანეთის საქონელი გაიტაცა.

მოსალოდნელი იყო, რომ მოსამართლე მკაცრად დასჯიდა გამოუსწორებელ ქურდ-რეციდივისტს, მაგრამ ი. გრაკლიშვილი ხელახლა აღზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდისა და გამოსწორებისათვის გადაეცა ქ. თბილისის № 5 ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივს.

ასეთი შემთხვევა მოსამართლე ა. გოგოლაძის პრაქტიკაში პირველი როდია. ასეთივე ლმობიერი სასჯელი შეუფარდა მან გამოუსწორებელ დამნაშავეებს: კ. ჯიხინაშვილს, ე. ყირიმელაშვილს, ვ. აბრამიშვილს, ნ. ბერიძესა და სხვებს.

კანონის ასეთი დამახინჯებისა და საქმისადმი უსულგულო მიდგომისათვის სახალხო მოსამართლე ა. გოგოლაძეს მკაცრი პარტიული სასჯელი დაედო და გამოწვეულ იქნა სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან.

ასეთივე ლმობიერი განაჩენი გამოიტანა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ი. პუდოვმა, რომლის თავმჯდომარეობით გარჩეულ იქნა ბოროტმოქმედნის ა. მელქაძისა და მ. თარბას საქმე. ა. მელაძე და მ. თარბა იყვნენ რა ერთმანეთთან დანაშაულებრივად დაკავშირებული, ცეცხლმსროლელი იარაღის გამოყენებით სისტემატურად ეწეოდნენ მოქალაქეთა ძარცვასა და სახალხო დოვლათის დატაცებას. მძარცველთა ამ ჯგუფმა მოკლა კოლმეურნეობის მოლარე ა. ბედნი, და გაიტაცა 13.244 მანეთი ფული, აგრეთვე 53.500 მანეთის სამპროცენტიანი სახელმწიფო სესხის ობლიგაციები. სასამართლო აშკარა ლიბერალურად მოიქცა, როდესაც ასეთი მძიმე დანაშაულობისათვის ა. მელაძეს 3 წლით და მ. თარბას მხოლოდ 5 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

შ. თევზაძე ადრე ორჯერ იყო გასამართლებული ქურდობისა და ძარცვისათვის. მიმდინარე წლის 17 იანვარს მან მოქ. ნ. სიხარულიძეს ჯიბიდან ამოაცალა ფული. აშკარად უსწოროდ მოიქცა ჩოხატაურის რაიონის სახალხო სასამართლო (მოსამართლე ვ. ტაბიძე), როდესაც გამოუსწორებელ ქურდს შ. თევზაძეს შეუფარდა 2 წლით პირობითი სასჯელი და აღსაზრდელად გადასცა ქ. ბათუმის ქარხანა „ელექტროვარის“ კოლექტივს (?).

შემდეგ ამხ. მ. ვეფხვაძემ მოიყვანა უსაფუძვლოდ მსჯავრდადების ფაქტები, აღნიშნა, რომ ზოგიერთი სახალხო სასამართლო სათანადო ყურადღებას არ აქცევს გამწესრიგებელი სხდომების მუშაობას, საფუძვლიანად არ სწავლობს წინასწარი გამოძიების მიერ შეკრებილ მასალებს, რის გამოც ადგილი აქვს უსაფუძვლოდ საქმეთა დამატებით გამოძიებაზე დაბრუნებას და პირიქით, არასრულყოფილად გამოძიებულ საქმეებზე განაჩენის არსებითად გამოტანას, რაც იწვევს დადგენილებებისა და განაჩენების გაუქმებას და საქმის განხილვის გაჭიანურებას.

— რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები,— ამბობს დასასრულ ამხ. მ. ვეფხვაძე, — ყველაფერს გააკეთებს ჩვენს მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა უსწრაფესად აღმოფხვრისათვის და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმისათვის.

თათბირზე გამოსულმა ფოთის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **გ. გვილავამ** სწორად ცნო ფოთის სახალხო სასამართლოს მიმართ გამოთქმული კრიტიკა, ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რაც ამ უკანასკნელ ხანებში ფოთში ტარდება საბჭოთა კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის მტკიცედ დაცვისათვის.

— კარგი იქნებოდა, — ამბობს იგი, — თუ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები უფრო ხშირად ჩამოვლენ ჩვენთან ადგილებზე, რაც საგრძნობლად შეგვიწყობდა ხელს ოპერატიულ მუშაობაში, ადგილებზე რთული საკითხების გადაწყვეტაში.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა **მ. გუგუჩიამ** დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა იმ ღონისძიებებს, რაც აფხაზეთში ტარდება სოციალისტური კანონიერების განმტკიცების და განსაკუთრებით საშიში ხასიათის დანაშაულობათა ბრძოლის საქმეში.

— სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, — ამბობს მ. გუგუჩია, — რომ აფხაზეთში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ისეთ სახის მძიმე დანაშაულობებს, როგორიცაა განზრახ მკვლელობა, სოციალისტური საკუთრების დატაცება, მოქალაქეთა ქონებისა და პირადი უშიშროების დანაშაულებრივი ხელყოფა, ბოროტეული ხულიგნობა, რაც ჩვენი საზოგადოებისათვის უცხოა.

შემდეგ ამხ. მ. გუგუჩია ამბობს, რომ საშიში დანაშაულის ჩამდენი პირები ყოველთვის როდი ისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით, არის შემთხვევები, როდესაც აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს, ასევე სახალხო მოსამართლეებს საშიში დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ გამოაქვთ ლიბერალური განაჩენები. ხოლო საგამომძიებლო ორგანოები კი ზოგჯერ ცუდად გამოძიებულ საქმეებს უგზავნიან სასამართლოებს.

— ჩვენი რაიონის მშრომელთა დიდი ნდობა და მხარდაჭერა მოიპოვეს ნებაყოფლობითმა სახალხო რაზმეულებმა,—ამბობს ბორჯომის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **ა. ნოზაძე**,— მათი მოქმედება დღითიდღე უფრო მეტ დადებით გავლენას ახდენს სოციალისტური წესრიგის განმტკიცებაზე.

შემდეგ ამხ. ა. ნოზაძე ეხება რა დანაშაულის ჩამდენი პირის ორგანიზაციაზე აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემის საკითხს, ამბობს, რომ ამ საქმეში არის მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციამ ცუდათ გაიგო ეს საკითხი. იშვიათი როდია ისეთი შემთხვევა, როდესაც შუამდგომლობას უწევენ ისეთ პირს, რომელიც ადრე ნამყოფი იყო პასუხისგებაში და კვლავ ჩაიდინა საშიში დანაშაული. ასე მოიქცა გორის ბამბეულის კომბინატის ხელმძღვანელობა, როდესაც შუამდგომლობა გაუწია საშიშ დამნაშავეს.

ყველაფერი რიგზე არ არის წალენჯიხის რაიონის სახალხო სასამართლოს მუშაობაში. ახალი ამოცანების შესაბამისად აქ ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა. სახალხო სასამართლო განაჩენების, გადაწყვეტილებების გამოტანისას უხეშად არღვევს მატერიალურ და საპროცესო ნორმებს, ამის შედეგია, რომ აქ ხშირად გამოაქვთ ლიბერალური განაჩენები. სხვა რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის ექვს თვეში წალენჯიხის სახალხო სასამართლოში განაჩენების გაუქმება 27,3 პროცენტს შეადგენს. ყოველივე ამას თავის გამოსვლაში რატომღაც გვერდი აუარა სახალხო მოსამართლე **ი. შენგელიამ.**

თათბირი მოელოდა, რომ კასპის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **ს. გიორგაძე** თავის სიტყვაში ღრმა ანალიზს გაუკეთებდა იმ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რაც კასპის სახალხო სასამართლოს მუშაობას გააჩნია. ნაცვლად ამისა ამხ. ს. გიორგაძე შეეცადა სახალხო სასამართლოს სერიოზული შეცდომები და ჩავარდნები კასპის რაიპროკურატურისათვის გადაებრალებინა.

სამხრეთ ოსეთის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **პ. შაორშაძემ** თავისი გამოსვლა მიუძღვნა სოციალისტური ცხოვრების ნორმების დაცვაში, საბჭოთა კანონიერების განმტკიცებაში, საზოგადოებრიობის მონაწილეობის საკითხებს.

რესპუბლიკის პროკურორი **მ. თოფურიძე** შეეხო პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების ერთობლივ მუშაობას ყოველგვარი დანაშაულებრიობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

— პროკურატურის ორგანოებში,—ამბობს ორატორი,—ჯერ კიდევ აღმოფხვრილი როდია მოწმეთა დაკითხვის ბიუროკრატიული მეთოდები. ხშირია შემთხვევა, როდესაც საქმეზე გამოძახებულ მოწმეს მთელ დღეს აცდენენ, რაც მათ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს, ასეთივე მდგომარეობაა მოწმეთა გამოძახების საქმეში სასამართლო პროცესებზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **გ. მაისურაძემ** და სამგორის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **გ. კაკაურიძემ.**

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ფ. დ. დუმბაძემ.**

მტკიცედ დავიცვათ სოციალისტური მართლწესრიგი

მილიციის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკურ თათბირზე

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ მშრომელთა აღზრდას შრომისმოყვარეობის, კოლექტივიზმის, სოციალისტური მორალის პრინციპების სულისკვეთებით. ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა წარმატებით მიდის კომუნიზმისაკენ, განსაკუთრებით მწვავედ ისმება საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების მტკიცედ დაცვის საკითხი.

ამ უკანასკნელ წლებში პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი ჩვენს ქვეყანაში მოქალაქეთა უფლებების მტკიცედ დაცვისათვის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამ ამოცანების შესრულების მიმდინარეობის ანალიზს, სისხლის სამართლის დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობასა და ღონისძიებების საკითხთა განხილვას მიეძღვნა მილიციის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც ამას წინათ მოიწვია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსმა, მილიციის III რანგის კომისარმა **გ. შელიამ.**

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, — თქვა მომხსენებელმა, — ხალხის შემოქმედებითი ინიციატივის კიდევ უფრო მძლავრი გაშლა გამოიწვია. პარტია და მთავრობა თანმიმდევრულად ატარებენ ღონისძიე-

ბებს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფისათვის, სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და **კულტურულ** მშენებლობაში მშრომელთა სულ **უფრო** ფართო მასების ჩაბმისათვის.

— მილიციის ორგანოებმა,—თქვა ამხ. გ. შელიამ, — ამ ბოლო დროს გარკვეული მუშაობა ჩაატარეს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში, მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება არ შეიძლება. გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

ანალიზი გაუკეთა რა სისხლის სამართლის დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის შედეგებს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში არის დანაშაულებრივ გამოვლინებათა ფაქტები. საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ კანონით დადგენილ ღონისძიებათა გამოყენებაში ერთგვარი შესუსტება შემჩნეულია დუშეთის, გეგეჭკორის, ორჯონიკიძის, თიანეთის, დმანისის, ბოგდანოვკისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

სამართლის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის დამახასიათებელი თავისებურება, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. გ. შელია, არის ის, რომ იგი უკვე აღარ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების, კერძოდ, მილიციის ორგანოების ფუნქციას. ამ ამოცანის შესრულებაში სულ უფრო მეტ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა საზოგადოებრიობა, მშრომელთა ფართო მასები.

ამავე დროს მილიციის ორგანოები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ იყენებენ მასების ძალას, მათ ჯეროვანი კონტაქტი ვერ დაამყარეს სახალხო რაზმებთან. მილიციის ორგანოებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა, ფართოდ გამოიყენონ შემთხვევით გზასაცდენილ პირებზე აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებანი, განახორციელონ პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებანი, დროზე აიცილონ თავიდან დანაშაულობანი.

ამ საპატიო საქმის განხორციელება მილიციის თვითეულ მუშაკს ავალებს ღრმად შეიგნოს მისი სამსახურებრივი მოვალეობა. ბეჯითად დაეუფლოს ოპერატიული მუშაობის ხელოვნებას, აიმაღლოს კულტურა, იყოს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებული, გულისხმიერად და მზრუნველად მოეპყროს მოქალაქეებს, დროზე მიიღოს ზომები მათი კანონიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. განუხრელად დაიცვას სოციალისტური კანონიერება.

ყოველმა ოპერატიულმა მუშაკმა, უბნის რწმუნებულმა და რიგითმა მილიციელმა თავის სამომსახურო ტერიტორიაზე უნდა გამოიჩინოს ოპერატიულობა, სიფხიზლე და ოსტატობა, რომ არ დაუშვას არც ერთი დანაშაული, ხოლო თუ ასეთი მოხდა, დროზე გამოავლინოს ბოროტმოქმედნი და ამით დაიმსახუროს ხალხის სიყვარული, მხარდაჭერა და პატივისცემა.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე **შ. რობაქიძე.** მან ილაპარაკა მილიციის ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებებზე, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სოციალისტური საკუთრების დატაცების, სპეკულაციისა და ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მილიციის აქტიური, ოპერატიული ბრძოლა ხშირად შეხამებული არ არის მუშაობასთან დანაშაულობათა თავიდან ასაცილებლად, პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებებთან.

სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის უფროსმა **გ. ხაზარაძემ** თათბირის მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ავტომობილის ავარიების ასაცილებლად, გაუმჯობესდეს საგზაო ზედამხედველობა როგორც მძღოლების, ისე ავტომეურნეობათა ხელმძღვანელების მიმართ. მან აღნიშნა, რომ მილიციის ცალკეული მუშაკები ლიბერალურად ეკიდებიან უშიშროების წესების დამრღვევთ.

რესპუბლიკაში საპასპორტო რეჟიმის ორგანიზაციისა და დაცვის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს საპასპორტო-სარეგისტრაციო განყოფილების უფროსმა **ლ. გიგიტაშვილმა.**

მილიციის უფროსებმა გურჯაანის რაიონის— **ვ. სინჯიაშვილმა,** ქობულეთის რაიონის — **ო. ბოლქვაძემ,** ქალაქ სოხუმის — **ო. ჯოლიამ,** ქალაქ ქუთაისის — **ა. ოსეფაიშვილმა,** ილაპარაკეს ნაკლოვანებებზე სოციალისტური მართლწესრიგის პრინციპების მტკიცედ დაცვისათვის ბრძოლაში, ღონისძიებებზე, რომელთა მიზანია მილიციის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესება.

სწორად სცნო რა კრიტიკა იმ აპარატის მიმართ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების უფროსმა **ა. გუგუამ** თქვა, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მილიციის მუშაკებს შორის, გაძლიერდეს მილიციის ორგანოების პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მთელი კოლექტივის სამსახურებრივი საქმიანობის შედეგებისათვის.

ქალაქ ბათუმის მილიციის უფროსმა **ვ. კონცელიძემ** დამსწრეთ გაუზიარა სამართლის დამრღვევებთან ბრძოლის გამოცდილება, უამბო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შშრომელთა აქტიურ დახმარებაზე მილიციის ორგანოებისადმი.

სამტრედიის რაიონის მილიციის უფროსი **კ. შავიშვილი** შეეცადა სპეკულანტთა და სხვა ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ სუსტი ბრძოლა აეხსნა იმით, რომ ამ რაიონის ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში არიან პირები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას. ასეთმა ახსნამ ვერ დააკმაყოფილა თათბირის მონაწილენი, რადგან იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, მილიციის მუშაკები მოვალენი არიან და აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ შესაბამისი ზემოქმედების ღონისძიებანი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით.

თათბირის მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა აგრეთვე წალენჯიხის რაიონის მილიციის უფროსის **ი. შონიას** და ონის რაიონის მილიციის უფროსის **ვ. ჯაფარიძის** გამოსვლამ, რომელთა მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. შევარდნაძე.** იგი დაწვრილებით შეეხო მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საკითხებს, ილაპარაკა კომკავშირული ორგანიზაციების კავშირის განმტკიცებაზე მილიციის ორგანოებთან.

კომკავშირული ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები, სკოლები და სხვა დაწესებულებები, რომლებსაც მინდობილი აქვთ ახალგაზრდების აღზრდა, მოვალენი არიან იყვნენ პრინციპული, შეურიგებელი იმათ მიმართ, ვინც უპატივცემულოდ ეპყრობა ჩვენს საბჭოთა კანონებს, არღვევს მათ. ამავე დროს მათ უნდა გააძლიერონ ყურადღება ადამიანისადმი. საჭიროა უფრო გულისხმიერად ვეპყრობოდეთ ადამიანებს, ვუნერგავდეთ მათ საბჭოთა მოქალაქის კეთილშობილურ თვისებებს.

მილიციის ორგანოებში წარმოებული გამოძიების დონის ამაღლების, სოციალისტური კანონიერების, მოქალაქეთა უფლებების მტკიცედ დაცვის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ **გ. ბიწაძემ.**

— ჩვენს დიად ქვეყანაში, — ამბობს ის, — ყველა პირობაა შექმნილი მშრომელი ადამიანის ბედნიერი ცხოვრებისათვის. ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში სასახელო შრომით გულშეჯერებული ადამიანი თავის კერას უბრუნდება. ბედნიერ ოჯახში ფუსფუსი ეხალისება, სიამოვნებით უსმენს პატარა მალხაზების ტიკტიკს. საღამოს კი ოჯახით გაისეირნებს მწვანედ მობიბინე ბაღებში, სკვერებში, განიერ ქუჩებსა და მოედნებზე. თანამოქალაქენი წყნარად საუბრობენ, თავაზიანად ესალმებიან, გზას უთმობენ ერთმანეთს, მაგრამ ამ ადამიანთა სიმშვიდეს, თუმცა იშვიათად, მაგრამ აქა იქ მაინც არღვევს ხოლმე თითო ოროლა მოქალაქე. კაპიტალიზმის ამ უხამსი გადმონაშთების აღკვეთაში, მილიციის ორგანოებთან ერთად, დიდ როლს ასრულებენ ჩვენი სახალხო რაზმელები, რომლებიც ფხიზლად დგანან სოციალისტური თანაცხოვრების წესების დაცვის სადარაჯოზე.

— საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთ— თქვა დასასრულს ამხ. გ. ბიწაძემ, — წინათ ძირითადად მილიცია, პროკურატურა, სასამართლო ებრძოდნენ, ახლა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში მშრომელები მონაწილეობენ და ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, რადგან ახლა მთელი რიგი ფუნქციები, რომელსაც სახელმწიფო ორგანოები ასრულებდნენ, თანდათანობით გადადის საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში. საჭიროა დღითიდღე ვაუმჯობესებდეთ აღმზრდელობითს მუშაობას მოსახლეობას შორის.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა გენერალ-მაიორმა **ი. ღარიბაშვილმა** ილაპარაკა სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევებთან ადმინისტრაციული ორგანოების ბრძოლის გაძლიერებისა და ამ საქმეში საზოგადოების უფრო აქტიური ჩაბმის შესახებ.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ფ. დუმბაძემ.** მან ილაპარაკა იმ დიდ მნიშვნელობაზე, რასაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ანიჭებენ საბჭოთა კანონიერების განუხრელ დაცვასა და განმტკიცებას. ამით მკაფიოდ გამოხატულია პარტიის ზრუნვა სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისათვის.

უკანასკნელ წლებში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების საქმიანობის გაძლიერებასა და გაუმჯობესებას, რამაც გამოიწვია სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევათა შესამჩნევი შემცირება. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, პროკურატურის, სასამართლოს, მილიციის ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ამ დარგში.

ამავე დროს, ამბობს ამხ. ფ. დუმბაძე, ჩვენ თვალი არ უნდა დავხუჭოთ სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარღვევის ფაქტების წინაშე. ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მუშაობაში. მილიციის ზოგიერთი მუშაკი თვითონაც არღვევს სოციალისტურ კანონიერებას. საჭიროა გადაჭრით გამოვავლინოთ წესრიგის ასეთი ვაი-დამცველები, რომლებიც არცხვენენ ჩვენი მილიციის მუშაკთა — საბჭოთა ადამიანების ინტერესების ფხიზელ გუშაგთა ავტორიტეტს. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყველა ღონისძიებით გააუმჯობესონ მუშაობა მილიციის ორგანოების მუშაკთა აღზრდისათვის, განამტკიცონ ეს ორგანოები უნარიანი, საქმის ერთგული მუშაკებით, გააძლიერონ პარტიული კონტროლი მათი საქმიანობისადმი.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ახორციელებენ პროფილაქტიკურ, აღმზრდელობით ღონისძიებებს, რომლებიც თავიდან აგვაცილებდა, ზოგჯერ კი სრულიადაც აღმოფხვრიდა ცალკეული პირების მიერ სოციალისტური წყობილებისათვის უცხო წარსულის გადმონაშთების გამოვლინების ფაქტებს. წესრიგის დამრღვევები ყველა ქალაქსა და სოფელში მხოლოდ ერთეულები არიან. ჩვენი ვალია შეუნელებელი კონტროლი გავუწიოთ თვითეულ მათგანს, ვიზრუნოთ მათ შრომითს მოწყობაზე და დავაკმაყოფილოთ მათი მატერიალურ-კულტურული მოთხოვნები.

იმ პასუხსაგები ამოცანების წარმატებით განხორციელება, რომელიც მილიციას აკისრია, თანბირზე აღნიშნულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, ამბობს დასასრულს ამხ. ფ. დუმბაძე, ბევრად არის დამოკიდებული იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაზე, მილიციის ორგანოების მთელი პირადი შემადგენლობის კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებაზე, მილიციის მუშაკთა საქმიანი კვალიფიკაციის გაუმჯობესებაზე. ჩვენი მილიციის მუშაკების ერთგულება თავიანთი საქმისადმი, მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი იმის საწინდარია, რომ ისინი პირნათლად შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

პ. სახეჩიძე,

გაზეთ „საბჭოთა მილიციელის“ რედაქტორის მოადგილე.

სასამართლო პრაქტიკა

სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

1. იმ შემთხვევაში, როდესაც თანამყოფმა მემკვიდრემ ფაქტიურ მფლობელობაში მიიღო სამემკვიდრეო ქონება — სახლი, მემკვიდრეობის უფლების სანოტარო წესით გაფორმება, ვადით შეზღუდული არ არის.

თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ 1959 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ქ. თბილისის პროკურორის მიერ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად აღძრული სარჩელი —გააუქმა ა. ი. იმედაშვილის სახელზე სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ გაცემული სამემკვიდრეო მოწმობა ვეძინის ქ. № 26 სახლის მის სახელზე დამტკიცების შესახებ და აღნიშნული სახლი გადასცა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, როგორც ბეითალმანი ქონება.

სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1959 წლის 16 ოქტომბრის დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 20 ივნისის დადგენილებით გააუქმა როგორც სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, ისე კოლეგიის დადგენილება და ქ. თბილისის პროკურორს უარი უთხრა მოთხოვნაზე სანოტარო კანტორის მიერ გაცემულ სამემკვიდრეო მოწმობის გაუქმების შესახებ, შემდეგ გარემოებათა გამო: საქმის მასალებით დადგენილია, რომ ზ. ს. წულუკიძის გარდაცვალების შემდეგ სადაო სახლი 1905 წელში სამემკვიდრეო წესით ფაქტიურ მფლობელობაში მიიღო მისმა დამ ე. ს. წულუკიძემ. მართალია, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 18 აპრილის № 16-დეკრეტით შემოღებული იქნა წესი, რომ და აღარ ითვლებოდა გარდაცვალებული ძმის კანონიერ მემკვიდრეთ, მაგრამ ამავე დეკრეტის მე-20 მუხლი ითვალისწინებდა, რომ მემკვიდრეობის ეს წესი შეეფარდებოდა ისეთ სამემკვიდრეო ქონებას, რომელიც ამ დეკრეტის გამოცემამდე მემკვიდრეებმა კანონით დადგენილი წესით დაიმტკიცეს ან ფაქტიურად მიიღეს.

ვინაიდან ე. ს. წულუკიძემ აღნიშნულ დეკრეტის გამოცემამდე ფაქტიურად ჩაიბარა თავის ძმის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი სამემკვიდრეო ქონება, ცხადია მასზე არ ვრცელდებოდა ამ დეკრეტის მოთხოვნა. ე. ს. წულუკიძე გარდაიცვალა 1934 წელს და სამემკვიდრეო ქონება — საცხოვრებელი სახლი ფაქტიურ მფლობელობაში მიიღო გარდაცვალებულის შვილმა ნიკოლოზ ივანესძე იმედაშვილმა, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ სამემკვიდრეო ქონება ჯერ ფაქტიურად ჩაიბარა და შემდეგ სანოტარო წესით გაიფორმა გარდაცვალებულის მეუღლემ ა. ი. იმედაშვილმა.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 428-ე მუხლის შენიშვნა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 10 აპრილის № 2 დადგენილების მე-3 მუხლი ითვალისწინებენ, რომ იმ შემთხვევაში თუ მემკვიდრეობის გახსნის ადგილზე თანამყოფ-მემკვიდრემ წერილობითი უარი არ განაცხადა სახელმწიფო სანოტარო კანტორაში მემკვიდრეობის მიღებაზე, ცნობილი უნდა იქნას, რომ მან მემკვიდრეობა მიიღო.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ იმედაშვილს კანონით დადგენილი წესით არამცთუ უარი არ განუცხადებია მემკვიდრეობის მიღებაზე, არამედ მიიღო იგი ფაქტიურ მფლობელობაში, ხოლო ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეობის უფლების სანოტარო წესით გაფორმება რაიმე ვადით შეზღუდული არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის არსებული დავების განხილვა სასამართლოს არ ექვემდებარება.

ჭიათურის სამრეწველო კომბინატის დირექციამ სახალხო სასამართლოში აღძრა სარჩელი ჭიათურის მარგანტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების მიმართ 2.519 მანეთის გადახდევინების შესახებ იმ მოტივით, რომ მოპასუხემ არ წაიღო სარეალიზაციოდ მისთვის დამზადებული 5 ტონა ნამცხვარი.

ჭიათურის ქალაქის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1960 წლის 14 ივლისის დადგენილებით გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე წარმოებით მოსპო იმ მითითებით, რომ სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის არსებული დავები უნდა გადაწყვიტოს სახელმწიფო არბიტრაჟმა და სასამართლოს განხილვას არ ექვემდებარება.

3. არ შეიძლება სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მოსპობა იმ საქმეებისა, რომლებიც შეეხება მშობლების დავას იმის შესახებ თუ რომელ მათგანთან უნდა იცხოვროს და იზრდებოდეს მათი არასრულწლოვანი შვილი.

ა. მ. მ-მა აღძრა სასამართლოში სარჩელი თავისი ყოფილი ქმრის თ. ვ. ს-ის მიმართ მათი შვილის ესმერალდას აღსაზრდელად მისთვის გადაცემის შესახებ.

ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 3 მარტის დადგენილებით საქმე მოსპო წარმოებით სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, როგორც ისეთი სარჩელი, რომელიც ერთხელ უკვე იყო გადაწყვეტილი სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

სახალხო სასამართლოს დადგენილება საქმის წარმოებით მოსპობის შესახებ ძალაში იქნა დატოვებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 12 მარტის დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 20 ივნისის დადგენილებით დააკმაყოფილა საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტი, გააუქმა როგორც სახალხო სასამართლოს, ისე უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილებები საქმის წარმოებით მოსპობის შესახებ და საქმე არსებითად განხილვისათვის გადასცა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს.

ის გარემოება, რომ 1957 წელში სასამართლოში მხარეთა შორის წარმოებდა დავა იმის შესახებ, თუ რომელ მშობელთან უნდა ცხოვრობდეს მათი მცირეწლოვანი შვილი და სასამართლოს გადაწყვეტილებით ბავშვი უნდა იზრდებოდეს მამასთან, არ უსპობს ბავშვის დედას უფლებას კვლავ მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ამ საკითხის ხელახლა გადაწყვეტა, თუ ამას ასაბუთებს იმით, რომ ბავშვის აღზრდის პირობები შეიცვალა და ბავშვის ინტერესები ამჟამად მოითხოვენ, რომ ის იზრდებოდეს დედასთან.

4. სარჩელი აღწერილიდან ქონების ამორიცხვის შესახებ შეიძლება წარადგინოს მესამე პირმა, რომელიც თვლის, რომ მსჯავრდადებულის ვადაში აღწერილი ქონება მის საკუთრებას შეადგენს და სასამართლო ვალდებულია განიხილოს სარჩელი არსებითად.

ქუთაისის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 6 ივნისის დადგენილებით წარმოებით მოსპო საქმე ო. მ. წიქორიძე-ჯიქიას სარჩელისა გამო მსჯავრდადებულ ი. გ. ქაროსანიძის და ბავშვთა საავადმყოფოს აღწერილობიდან ქონების — პიანინოს ამორიცხვის შესახებ იმ მოტივით, რომ სადაო პიანინო არ არის შეტანილი აღწერის სიაში მოსარჩელის გვარზე.

ამასთანავე, სახალხო სასამართლომ უფლება დაუტოვა მსჯავრდადებულ ი. გ. ქაროსანიძეს, ოომლის ვალშიც აღწერილია პიანინო, თვითონ აღძრას სარჩელი პიანინოს აღწერის სიიდან ამორიცხვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1960 წლის 14 ივლისის დადგენილებით გააუქმა ქუთაისის სახალხო სასამართლოს დადგენილება საქმის წარმოებით მოსპობის შესახებ და საქმე დაუბრუნდა იმავე სახალხო სასამართლოს შემდეგი მითითებებით:

ის გარემოება, რომ მოსარჩელეს გვარი არ არის მოხსენებული ქონების აღწერის სიაში, არ უსპობს მას უფლებას, როგორც მესამე პირმა, აღძრას სასამართლოში სარჩელი და მოითხოვოს ამორიცხვა ქონებისა, რომელიც მას თავის საკუთრებად მიაჩნია.

სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს მოსარჩელის განცხადების სისწორე და შეგროვილი მტკიცებების მიხედვით არსებითად გამოიტანოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ.

სისხლის სამართლის საქმეებზე

1. ხულიგანთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრის ექსცესი არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს ამ ჯგუფის დანარჩენ წევრებს.

თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამათლოს 1958 წლის 14 მაისის განაჩენით ს. სარქისიანი და გ. აკოფიანი ცნობილ იქნენ დამნაშავედ სსკ 75 მუხლის მეორე ნაწილით, აგრეთვე სსკ 19-144 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტით და ერთობლიობის პრინციპით, უმძიმესის დაფარვით მიესაჯათ 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1958 წლის 31 მაისის დადგენილებით დატოვებული იქნა ძალაში.

ს. სარქისიანს და გ. აკოფიანს მსჯავრი დაედოთ მასში, რომ 1957 წლის 15 დეკემბერს ამ საქმეში მსჯავრდადებულ მიქაელიანთან ერთად სრულიად უსაფუძვლოდ ასტეხეს დებოში, უცენზურო სიტყვებით აგინეს მოქ. მოქ. ც. მარტიროსიანი და ვ. აკოფიანი, შემდეგ კი ურთიერთ დახმარებით, მოკვლის მიზნით, დანით მძიმე ჭრილობა მიაყენეს მოქ. ც. მარტიროსიანს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტის საფუძველზე უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1960 წლის 13 ივნისის დადგენილებით ს. სარქისიანისა და მარტიროსიანის მიმართ მკვლელობის მცდელობის ნაწილში საქმე წარმოებით მოისპო შემდეგი საფუძვლებისა გამო:

ს. სარქისიანი და გ. აკოფიანი სსკ 19-144 მუხლის ნაწილში თავს დამნაშავედ არ ცნობენ.

დაზარალებული და საქმეზე მოწმედ დაკითხულნი ამ უკანასკნელთ დანაშაულში არ ამხელენ.

მესამე მსჯავრდადებულმა მიქაელიანმა აღიარა, რომ დაზარალებულს დანა ჩაარტყა მან.

არც წინასწარ და არც სამსჯავრო გამოძიებით არ არის დადგენილი, რომ სარქისიანმა და გ. აკოფიანმა რაიმე მონაწილეობა მიიღეს მოქ. ც. მარტიროსიანის მკვლელობის მცდელობაში და რომ ისინი შეთანხმებული იყვნენ ასეთზე.

მარტოოდენ ის ფაქტი, რომ ს. სარქისიანი და გ. აკოფიანი მონაწილენი არიან ა. მიქაელიანთან ერთად ხულიგნურ მოქმედებაში, რომლის დროსაც ამ უკანასკნელის მიერ დანით დაჭრილი იქნა ც. მარტიროსიანი, არ აძლევდა სასამართლოს საფუძველს ეცნო ისინი დამნაშავედ სსკ 19-144 მუხლში.

2. უსწორობა მსჯავრდადებულის კოლექტივზე გადაცემა, უკეთუ კოლექტივი თვითონ არ კისრულობს მის ხელახალ აღზრდასა და გამოსწორებას.

ჩოხატაურის რაიონის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 20 იანვრის განაჩენით რ. მეგრელიშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 75 მუხლის მეორე ნაწილით, აგრეთვე სსკ 152 მუხლით და ერთობლიობის პრინციპით, უმძიმესის დაფარვით მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შესაბამისად სსკ 50 მუხლისა შეუცვალა პირობითად და ის ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის გადასცა ჩაისუბნის სასოფლო საბჭოს.

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის პროტესტი განაჩენის ლმობიერების გამო გაუქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მების შესახებ, არ იქნა გაზიარებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ.

რ. მეგრელიშვილს მსჯავრი დაედო მასში, რომ 1959 წლის 27 დეკემბერს, იმყოფებოდა რა არაფხიზელ მდგომარეობაში, თავის ძმა ა. მეგრელიშვილთან ერთად ჩხუბი აუტეხა ავტომანქანაში მსხდომ მოქალაქეებს, აგინეს ისინი უცენზურო სიტყვებით და სცემეს.

გასაშველებლად მისულ ა. მგალობლიშვილს, რ. მეგრელიშვილმა დანა ჩაარტყა ბეჭის არეში, რის შედეგად მიაყენა ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება. მსუბუქი ხარისხის სხეულის დაზიანება მიაყენეს მეგრელიშვილებმა ერთ-ერთ მგზავრს — ა. მეგრელიშვილს.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გაუქმა, როგორც სახალხო სასამართლოს განაჩენი, ისე მოხსენებული განჩინება და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის გადასცა პროკურატურას შემდეგი საფუძვლებისა გამო:

ჩოხატაურის რაიონის პროკურატურამ არ გამოარკვია ანზორ და რევაზ მეგრელიშვილების ვინაობა, მათი საქმიანობა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის უბრალო მომართვის საფუძველზე ანზორ მეგრელიშვილის მიმართ საქმე წარმოებით მოსპო.

სასამართლომ რევაზ მეგრელიშვილის მიმართ სსკ 50 მუხლის შეფარდებას და მისი კოლექტივზე გადაცემას საფუძვლად დაუდვა ჩაისუბნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ერთპიროვნული შუამდგომლობა, რომლითაც ის ითხოვდა მსჯავრდადებულის კოლმეურნეობაზე გადაცემას ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის.

სასამართლომ გაიზიარა რა ასეთი შუამდგომლობა, არ მიიღო მხედველობაში, რომ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს არ აქვს უფლება ამ შემთხვევაში გამოხატოს სასოფლო საბჭოს ნება-სურვილი და, რაც მთავარია, მოითხოვოს და ვალდებულება იკისროს სხვისი — კოლმეურნეობის სახელით მსჯავრდადებულის ხელახალი აღზრდა და გამოსწორება.

3. კერძო ბრალდების საქმეზე სასამართლო ვალდებულია ზუსტად დაიცვას სამართალში მიცემულის ყველა პროცესუალური უფლებები.

წალკის რაიონის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 17 ივნისის განაჩენით ა. მუსტაფაევი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ 155 მუხლით და მიესაჯა სამი თვით შრომა-გასწორებითი მუშაობა, რაც შესაბამისად სსკ 50 მუხლისა შეეცვალა ერთი წლის პირობითი სასჯელით.

ა. მუსტაფაევს მსჯავრი დაედო მასში, რომ 1960 წლის 8 ივნისს ჩხუბის დროს, ჯოხის დარტყმით მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მოქ. კ. ალახვერდოვს.

მსჯავრდადებულის საკასაციო საჩივრის საფუძველზე აღნიშნული განაჩენი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 26 ივლისის განჩინებით გაუქმდა და საქმე ხელახალი განხილვისათვის სამართალში მიცემის სტადიიდან გადაეცა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს მოსამართლეთა სხვა შემადგენლობას შემდეგი საფუძვლებისა გამო:

სასამართლომ მიიღო რა დაზარალებულის განცხადება, რომლითაც ის ითხოვდა ა. მუსტაფაევის პასუხისგებაში მიცემას, არ იმსჯელა დადგენილებით ამ უკანასკნელის სამართალში მიცემის შესახებ და დაკმაყოფილდა განცხადებაზე უბრალო რეზოლუციის დადებით ამ უკანასკნელის სამართალში მიცემის შესახებ, რითაც უხეშად დაარღვია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალ-წარმოების 36 მუხლის მოთხოვნა.

სამსჯავრო გამოძიების დაწყებამდე სსკ 235 და 236 მუხლების მოთხოვნათა საფუძველზე სასამართლომ არ გააცნო ა. მუსტაფაევს საჩივრის შინაარსი, რითაც ფაქტიურად შეზღუდა ის დაცვის უფლებისაგან.

ა. მუსტაფაევმა სამსჯავრო გამოძიებაზე წარდგენილი ბრალდება უარყო, სასამართლომ კი გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა დაზარალებულის ჩვენებისა და საქმეზე წარმოდგენილ მოქ. მოქ. ტ. გეიდაროვისა და კ. ალახვერდოვის ახსნა-განმარტებების საფუძველზე, მაშინ, როდესაც სასამართლოს მიერ ისინი არ იყვნენ გამოწვეული და დაკითხული მოწმეებად.

იუმორის კუთხე

ზევრგან არა სწორად გაიგეს, გააყალბეს საზოგადოებრივი კოლექტივებისათვის აღსაზრდელად დამნაშავეთა გადაცემა.



— პატივცემულო უფროსო! გთხოვთ მიიღოთ ჩვენი სკოლის V კლასის ყველა მოსწავლის შუამდგომლობა.

— რის შესახებ?

— ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებელი, რომელიც დაპატიმრებული გყავთ ხულიგნობისათვის, ჩვენ გადმოგვცეთ აღსაზრდელად.

თემა ქ. თბილისის პროკურორის მოადგილის ვ. ხმალაძისა.
ნახ. ი. ქოქიაშვილის

ამბროლაურის, წალენჯიხის და ზოგიერთი სხვა რაიონის პროკურატურაში არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობა.

პროკურორი **ზედ**ამხედველი

ნახ. ი. კალაძის

ეცხოვეთის იუმორი

საყვარლის მოლოდინში



„თედი?“
„არა!“
„ჩარლი?“
„არა!“
„ანატოლი?“
„არა!“
„პეტერი?“
„არა!“

ამოღებულია გერმანული ჟურნალიდან „ფრაიე ველტ“ № 14. 31-III-1960 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ ყველა მკითხველს

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1961 წლის სარედაქციო გეგმის შედგენის სამუშაოთა დაწყებასთან დაკავშირებით, მკითხველთა სურვილებისა და შენიშვნების გათვალისწინებისა და ჟურნალის იდეურ-შინაარსობრივი სრულყოფის მიზნით სარედაქციო კოლეგია მოგმართავთ თხოვნით გამოთქვათ თქვენი მოსაზრება ჟურნალის საქმიანობისა და ჩვენი მომავალი მუშაობისათვის. კერძოდ სასურველია გვაცნობოთ:

1. რა საკითხებზე გსურთ გამოქვეყნდეს სტატიები და წერილები ჟურნალში 1961 წელს.

2. რომელი ახალი განყოფილების შემოღება იქნება სასურველი.

3. მიმდინარე წელს გამოქვეყნებული მასალებიდან, რომელმა გამოიწვია თქვენი ინტერესი.

4. თქვენი აზრით რომელ მასალას არ ჰქონდა წარმატება.

პასუხი გამოგზავნეთ შემდეგი მისამართით: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32.—

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ სარედაქციო კოლეგია.

ავტორთა საყურადღებოდ

1. მასალები რედაქციაში წარმოდგენილი უნდა იქნას მანქანაზე დაბეჭდილი სახით, ორ ინტერვალზე, ხელმოწერილი ავტორის მიერ. სტატიას, წერილს, კორესპონდენციას აუცილებელია დაერთოს შემდეგი ცნობები: ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, სამუშაოს ადგილი, მისამართი, ტელეფონის ნომერი.

2. თეორიული წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 12 გვერდს, სხვა მასალისა 8 გვერდს. რედაქცია დაინტერესებულია მიიღოს მოკლე ცნობები და შენიშვნები სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკულ-კონკრეტულ საქმეებზე.

3. ყველა ციტატა, რომელიც გამოყენებულია მასალაში, აუცილებელია გულდასმით შედარდეს პირველწყაროებს და ვიზირებულ იქნეს სტატიის ავტორის მიერ. ამასთან, წიგნის ავტორის დასახელებასთან ერთად, უნდა მიუთითოთ მისი გამოცემის წელსა და გვერდზე.

4. გამოუქვეყნებელი მასალა როგორც წესი, ავტორებს არ უბრუნდებათ.

5. სტატიები, რომლებიც უკვე გამოქვეყნებულია ან გადაგზავნილია სხვა პერიოდულ გამოცემებში, ჟურნალში არ გამოქვეყნდება.

რედაქციისაგან: ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ უახლოეს ნომრებში გათვალისწინებულია გამოქვეყნდეს წერილების სერია გამოჩენილი ქართველი იურისტების შესახებ. ამასთან დაკავშირებით რედაქცია თხოვნით მიმართავს იურიდიული დარგის ყველა მუშაკს, გამოჩენილი იურისტების ოჯახებს და ახლობლებს მოგვაწოდონ მასალები (ფოტოსურათები, ჩანაწერები, საარქივო დოკუმენტები, პირადი წერილები, გამოსვლები და სხვ.), რომლებიც ხელს შეუწყობენ გამოჩენილი ქართველი იურისტების ცხოვრებისა და მოღვაწეობის, რაც შეიძლება, სრულყოფილად გაშუქებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

მ. ლომიძე (რედაქტორი), **ბ. ბარათაშვილი, მ. ვეფხვაძე, მ. თოფურიძე, გ. ინწკირველი, ო. კაციტაძე** (რედაქტორის მოადგილე), **თ. წერეთელი.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-88-05

გადაეცა წარმოებას 18/VI-60; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/IX-60 წ;
ანაწყობის ზომა 7×12 ქაღალდის ზომა 70×108; პირობითი ფორმათა რაოდენობა 8,2;
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

შეკვ. 1436 **ტირაჟი** 5.000 **უე** 03892

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი",
თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат „Комунисти" Издательства ЦК КП грузии,
Тбилиси, ул Ленина, № 14.

ფასი 5 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 4

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР